



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კერძო სააღსრულებო სისტემა საქართველოში - გამოწვევები და განვითარების
პერსპექტივები

ნინო გოგელაშვილი

სამართლის ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2024 წელი

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გოგელაშვილი

30 მაისი, 2023 წელი

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საქართველოში მოქმედი, სახელმწიფო და კერძო სააღსრულებო სისტემების კვლევას. არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზისა და გამოწვევების გამოკვლევის საფუძველზე განსაზღვრულია სააღსრულებო სისტემის რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები და მეთოდები. მათ ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა.

ნაშრომის დასაწყისში წარმოჩენილია **აღსრულების სისტემის როლი და მნიშვნელობა**. მართლმსაჯულების შესახებ საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც გადაწყვეტილების გამოტანაზე, ასევე, მის აღსრულებაზე როგორც, პროცესის დამაგვირგვინებელ რგოლზე. აღსანიშნავია სააღსრულებო სისტემის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. დემოკრატიული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ეფექტიანობა და მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მრავალმხრივ დამოკიდებულია სააღსრულებო სისტემის ეფექტიანობაზე. გამართული სააღსრულებო სისტემა მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით და მათ შორის, საქართველოშიც, მნიშვნელოვნად გაიზარდა სააღსრულებო წარმოების პროცესში ჩართული ადამიანების რაოდენობა. შესაბამისად პრიორიტეტული გახდა სააღსრულებო წარმოების მხარეებს ან/და პოტენციურ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია სააღსრულებო სისტემის და მისი დანიშნულების თაობაზე, იცნობდნენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულია კვლევა. კვლევის ერთ-ერთი მიგნებაა, რომ საზოგადოებაში აღსრულების და სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლება-მოვალეობებზე ცნობადობა დაბალია.

ნაშრომში გამოკვლეულია **საქართველოში მოქმედი სახელმწიფო და კერძო სააღსრულებო სისტემების** შექმნა და განვითარება. წარმოდგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროსა და კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეების სტატისტიკური ანალიზი, რომლის შესაბამისად დადასტურებულია, რომ მოქალაქეთა მიმართვიანობა და საქმეთა წარმატებით აღსრულების მაჩვენებელი კერძო აღმასრულებლებთან შედარებით მაღალია.

ნაშრომში გაანალიზებულია არაერთი **საერთაშორისო რეკომენდაცია და რეზოლუცია** სააღსრულებო სფეროზე, რომელთა გათვალისწინებითაც შემოთავაზებულია არსებული სისტემის რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები და მეთოდები.

ნაშრომი წარმოადგენს **საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სააღსრულებო სისტემების შედარებით-სამართლებრივ კვლევას** სისტემის შემდეგ, კომპონენტებზე:

ორგანიზაციული მოწყობა. სააღსრულებო სისტემის მნიშვნელობაზე ცივილიზებულ სამყაროში საერთო თანხმობაა, თუმცა სისტემის განვითარების ტენდენცია ერთგვაროვანი არ არის. ყველა სახელმწიფოში არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ინტერესები და სამართლებრივი ტრადიციები, რაც განაპირობებს სააღსრულებო სისტემის განსხვავებულ მოწყობას. ნაშრომით წარმოჩენილია, რომ ევროპის მასშტაბით არსებულ მოდელებს შორის, შესაძლებელია სამი ძირითადი

ფორმის გამოყოფა. სასამართლოს დაქვემდებარებული აღმასრულებლები, აღმასრულებელ ხელისუფლებას (რომელიმე სამინისტროს) დაქვემდებარებული საჯარო მოხელეები და კერძო აღმასრულებლები. ასევე, არის ქვეყნები სადაც მოქმედებს შერეული მოდელი, მათ შორისაა საქართველო, ერთი მხრივ აღმასრულებლები არიან საჯარო მოხელეები და ამავე დროს საქმიანობენ კერძო აღმასრულებლები. ამასთან, ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ შეიმჩნევა კერძო მოდელზე გადასვლის ტენდენცია.

საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი. გამოკვლეულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები მათ შორის საქართველო, მოწონებულია პროფესიის კონტროლი ეთიკის კუთხით და განვითარებულია მოსაზრება, რომ ვინაიდან საქართველოში აღმასრულებლის პროფესიას არ აქვს ეთიკის მარეგულირებელი რაიმე ტიპის დოკუმენტი და შესაბამისად არც კონტროლის რაიმე მექანიზმი, მიზანშეწონილია აღმასრულებლებისთვის ეთიკის კოდექსის შემუშავება, რაც იქნება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პროფესიის უფრო მაღალ სტანდარტებზე აყვანისათვის.

სააღსრულებო მოსაკრებელი. სააღსრულებო მოსაკრებლის სტრუქტურა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ფუნქციონირებს, კრიტიკულადაა მიმოხილული საქართველოს შემთხვევაში სააღსრულებო სერვისებზე ფასწარმოქმნის საკითხი და ამავდროულად აღნიშნულია, რომ აღსრულების საერთაშორისო სტანდარტები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ მოსაკრებლის სისტემა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე.

პროფესიული კვალიფიკაცია გამოკვლეულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, თუ როგორ ხდება აღმასრულებლის პროფესიაში დაშვება და შემდგომი განვითარება, აღნიშნულია, რომ შესწავლილ ქვეყნებს, მეტ ნაკლებად, სათანადოდ აქვთ დარეგულირებული როგორც, პროფესიაში შესვლის, ასევე შემდგომი კვალიფიკაციის საკითხები. განხილული საქართველოს მაგალითი, საქართველოში არ არის სათანადოდ მოწესრიგებული აღმასრულებლად დანიშვნის პირობები, არ არსებობს რეგულაცია პროფესიაში მყოფი პირების შემდგომი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, არ არსებობს პროფესიის განვითარების სისტემა. ნაშრომში განვითარებულია აზრი შეიქმნას აღმასრულებელთა სკოლა. რომელიც, უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავებას დანერგვას და შემდგომ განვითარებას.

კვლევის დასასრულს მოცემულია **დასკვნები და რეკომენდაციები**, რომლებიც ეფუძნება დასმული საკითხების მეცნიერულ შესწავლასა და დამუშავებას.

დასკვნის სახით ავტორი განმარტავს, რომ საქართველოში კვლავ დგას აღსრულების **სისტემის მოდერნიზების საჭიროება** და ამასთან წარმოდგენილია ქმედითი რეკომენდაციები, რომელთა ჩამოყალიბებაშიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა.

ავტორი იმედოვნებს, რომ ნაშრომი თავისი არსით და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით საინტერესო იქნება აღსრულების სფეროს მკვლევრებისთვის ასევე, აღმასრულებლების, იურისტების და სხვა სააღსრულებო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის. კვლევის დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება შესაძლებელი იქნება აღსრულების საკითხით

დაინტერესებული სამთავრობო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში აღსრულების პოლიტიკის განსაზღვრაზე და სააღსრულებო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე.

Annotation

The dissertation examines the state and private enforcement systems in Georgia, conducting an in-depth analysis of their current state and investigating the challenges they face. Based on international standards and best practices, the study proposes strategic directions and methods for the reformation of the enforcement system.

The dissertation begins by highlighting **the role and importance of enforcement systems**, emphasizing its crucial role in the administration of justice and the economic development of the country. The effectiveness of the enforcement system directly affects the efficacy of businesses and the socio-economic status of citizens. However, the research reveals that awareness about enforcement, enforcement institutions, and the rights and obligations of parties involved in enforcement proceedings is generally low in society.

The study explores the creation and development of both **state and private enforcement systems in Georgia**. Statistical analysis confirms that citizens frequently seek out private enforcers, who demonstrate higher rates of successful enforcement. However, the research focuses solely on matters handled by private enforcement agencies.

Furthermore, the dissertation analyzes **international recommendations and resolutions** regarding enforcement, proposing strategic directions and methods for reforming the existing system.

The paper undertakes a **comparative-legal study of enforcement systems in Georgia and other countries**, examining their **organizational structures, supervision and control mechanisms, enforcement fees, and professional qualifications**. Various models are identified, including bailiffs subordinate to the court, civil servants under executive authority, and systems with solely private bailiffs. Georgia represents a mixed model, incorporating both public officials and private enforcement agents. The paper suggests a trend towards adopting a private model. The importance of developing a code of ethics for enforcement agents is highlighted, along with the need for fair and transparent enforcement fees. Additionally, the study emphasizes the lack of proper regulation for entry into the enforcement profession and ongoing professional development in Georgia. It proposes the establishment of a school of enforcers to address these issues.

The research concludes with recommendations and conclusions derived from the scientific study and analysis of the issues raised.

In summary, the dissertation emphasizes **the need to modernize** the enforcement system in Georgia and presents effective recommendations based on international standards and best practices.

The author anticipates that the research, with its findings and recommendations, will be of interest not only to enforcement researchers but also to executives, lawyers, and others involved in enforcement activities. The research findings and recommendations can be utilized by governmental and public organizations, including the Ministry of Justice of Georgia, responsible for shaping enforcement policies and ensuring the proper functioning of the enforcement system.

სარჩევი

თავი I აღსრულების სისტემის მნიშვნელობა და დანიშნულება.....	16
1. აღსრულება როგორც მართლმსაჯულების ინსტრუმენტი.....	16
2. სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა	21
3. ცნობადობა.....	23
თავი II აღსრულების ძირითადი ღირებულებები	28
1. საერთო სტანდარტები და პრინციპები	28
2. პროცესის მონაწილეები	30
3. პროცესის ვადები.....	35
4. მხარეთა შორის ბალანსის დაცვა და მედიაცია	39
თავი III საქართველოს საჯარო და კერძო სააღსრულებო სისტემები.....	46
1. ისტორიული ექსკურსი	46
1.1 გადაწყვეტილებათა აღსრულება ადრეულ ხანაში.....	46
1.2 გადაწყვეტილებათა აღსრულება საბჭოთა საქართველოში	50
2. თანამედროვე პერიოდის აღსრულება.....	52
2.1 აღსრულება როგორც სასამართლოსგან დამოუკიდებელი სტრუქტურა	52
2.2 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.....	53
2.3 ელექტრონული მმართველობა	56
2.4 აღმასრულებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრობა	58
2.5 „არასააღსრულებო“ სერვისები	60
3. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი	64
3.1 სისტემის დანერგვა	64
3.2 კერძო აღმასრულებელი	64
4. მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილება	68
5. სტატისტიკური ანალიზი.....	71
4.1 აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული საქმეები	71
4.2 კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეები.....	72
4.3 შედარებითი ანალიზი.....	72
თავი IV საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სააღსრულებო სისტემათა შედარებითი ანალიზი.....	77
1. ზოგადი მიმოხილვა.....	77
2. ორგანიზაციული მოწყობა.....	78

2.1 კერძო მოდელი საფრანგეთის მაგალითზე.....	78
2.2 საჯარო მოდელი და სისტემათა ცვლილებები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე	80
2.3 შერეული სააღსრულებო მოდელი ბულგარეთის მაგალითზე	83
2.4 საქართველოს მოდელის განვითარება	85
3. საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი.....	86
3.1 პროფესიის მეთვალყურეობა.....	86
3.2 პასუხისმგებლობის დაზღვევა.....	88
3.3 კერძო აღმასრულებელთა ზედამხედველობა საქართველოში.....	89
3.4 კერძო აღმასრულებელთა ზედამხედველობა ბულგარეთში	89
4. სააღსრულებო მოსაკრებელი	91
4.1 შრომის ანაზღაურება	91
4.2 მოსაკრებლის სისტემა საფრანგეთში	93
4.3 სააღსრულებო მომსახურების საფასური ბულგარეთში	94
4.4 აღსრულების საფასური საქართველოში.....	95
4.5 მოსაკრებლისგან გათავისუფლების ძირითადი პრინციპები	97
5. პროფესიული კვალიფიკაცია	99
5.1. პროფესიაში შესვლის ძირითადი პრინციპები	99
5.2 სტაჟირება	101
5.3 აღმასრულებლად დანიშვნა ლიეტუვაში.....	102
5.4 პროფესიაში შესვლის სტანდარტი საფრანგეთში.....	103
5.5 კერძო და საჯარო აღმასრულებლის დანიშვნა საქართველოში	106
6. ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი კომპონენტები	108
დასკვნა	111
დანართები.....	119
ბიბლიოგრაფია	133

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ნუსხა

აგბ - აღსრულების ეროვნული ბიურო

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გვ. - გვერდი

იხ. - იხილეთ

წ. - წელი

CEPEJ - ევროსაბჭოს კომიტეტი მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე

ECHR - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

UIHJ - აღმასრულებელთა (სასამართლო) მოხელეთა საერთაშორისო ასოციაცია

ENP – პროცესის ეროვნული სკოლა (საფრანგეთი)

CEA – (სამომავლო) აღმასრულებელთა პალატა

შესავალი

აღსრულება, (ნაშრომის ფარგლებში, აღსრულება გულისხმობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ საქმიანობას.) თავისი დანიშნულებით და იმ საკითხების მიხედვით რომელთა დარეგულირებაც მას განეკუთვნება, უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს. თანამედროვეობის ფაქტობრივმა და სამართლებრივმა მრავალფეროვნებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა ამ სფეროს.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს როგორც გადაწყვეტილების გამოტანაზე, ასევე, მის აღსრულებაზე. გამართული სააღსრულებო სისტემა მართლმსაჯულების არსებობის ერთადერთი და უპირობო გარანტიაა.

გამორჩეულად მნიშვნელოვანია აღსრულების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დემოკრატიული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის ეფექტურობა და მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მრავალმხრივ დამოკიდებულია სააღსრულებო სისტემის ეფექტურობაზე. აღსრულების დროული და სამართლიანი უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია შესაბამისი სააღსრულებო სისტემის არსებობა.

თემის აქტუალურობა სააღსრულებო სისტემის დანიშნულებიდან და მისი პრაქტიკული გამოყენებიდან გამომდინარეობს. გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელობა სათანადოდ არ იყო აღქმული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც. ყურადღება მეტადრე გამახვილებული იყო სასამართლო სისტემის რეფორმასა და განვითარებაზე. სააღსრულებო სისტემაზე ზრუნვა და სფეროს პოპულარიზაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის არაერთ გადაწყვეტილებაში, დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში ხსენებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს აღსრულებასაც და სამართლებრივი პროცესი უნდა ფოკუსირდეს არა მხოლოდ სასამართლოზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე, არამედ ეფექტიანი აღსრულების სისტემის განვითარებაზეც.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით და მათ შორის, საქართველოშიც, მნიშვნელოვნად გაიზარდა სააღსრულებო წარმოების პროცესში

ჩართული ადამიანების რაოდენობა. დღევანდელი მონაცემებით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია 400 286 საქმე. რაც გულისხმობს, რომ სულ მცირე ორჯერ მეტი სუბიექტია ჩართული სააღსრულებო წარმოებაში. პრობლემას წარმოადგენს საქმეთა ზემოაღნიშნული კრიტიკულად დიდი რაოდენობა. შეუძლებელია თანაბრად და დროულად იყოს დაცული ყველა მხარის ინტერესი, რითაც ირღვევა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. აღნიშნული კი ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის მართლმსაჯულების ხარისხზე.

საკითხი პრობლემურია იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივით განხორციელდა სააღსრულებო სისტემის არაერთი ცვლილება. დაინერგა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, თუმცა არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევა მოდელის ეფექტურობის შესახებ. სახელმწიფოს არ აქვს სისტემის ანალიზით მიღებული პასუხი, თუ რამდენად გაამართლა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტმა და ზოგადად, შერეულმა სააღსრულებო მოდელმა; რამდენად პასუხობს იგი მოქალაქეების, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციისა და სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებს და მოთხოვნებს, რა შედეგი მოუტანა სახელმწიფოს და რა მიმართულებით უნდა განვითარდეს. ამასთანავე, დღის წესრიგში კვლავ დგას სააღსრულებო სისტემის ხელახალი ცვლილების აუცილებლობა. საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების კოდექსის პროექტი, რომლის თანახმად, მოქმედი, სახელმწიფო და კერძო სააღსრულებო სისტემები ერთიანდება.

კვლევის მიზანია განვსაზღვროთ რა გავლენა იქონია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დანერგვამ და როგორი სააღსრულებო სისტემა საქართველოსთვის განვითარების ამ ეტაპზე ყველაზე ადეკვატური და დროული; საჭიროებს თუ არა დღეს მოქმედი სააღსრულებო სისტემა რეფორმირებას რეალური განვითარების გათვალისწინებით; რა მეთოდებით და როგორი პრიორიტეტებით უნდა განხორციელდეს რეფორმა; როგორი ტიპის ორგანიზაციული მოწყობით მიიღწევა შედეგიანობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

კვლევის ფარგლებში ჩვენი ამოცანა და საკვლევ კითხვებია:

- სააღსრულებო სისტემის მნიშვნელობისა და როლის წარმოჩენა, რომლითაც შეფასდება სისტემის მოწყობის (საჯარო და კერძო) გავლენა სააღსრულებო საქმიანობაზე.
- აღსრულების ძირითადი ღირებულებების განსაზღვრა; რომლითაც დადგინდება, როგორი მოწყობის სისტემით ხდება აღსრულების ძირითადი ღირებულებების მეტად გათვალისწინება და დაცვა; რა პრობლემები შეიძლება დადგეს კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დანერგვის შემთხვევაში.
- საქართველოს საჯარო და კერძო სააღსრულებო სისტემების გამოკვლევა, რომლითაც განისაზღვრება, თუ როგორი მოწყობაა საქართველოსთვის ყველაზე რელევანტური.
- სხვადასხვა ქვეყნის აღსრულების სისტემის განვითარების, აღსრულების საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების კვლევა, რომელიც გამოავლენს საუკეთესო პრაქტიკას სწორი და მიზანზე ორიენტირებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისთვის.
- ეფექტიანი სააღსრულებო საქმიანობის ძირითადი კომპონენტების განსაზღვრა, რომლითაც დადგინდება, თუ რამდენად სწორად იყენებს ყველა ძირითად კომპონენტს კერძო აღმასრულებელი თავის საქმიანობაში და ხომ არ რჩება რაიმე ყურადღების მიღმა.
- შემუშავდება დასკვნები და ქმედითი რეკომენდაციები.

ლიტერატურის მიმოხილვის საწყისად უნდა ითქვას, რომ აღსრულების სფეროზე სამეცნიერო ნაშრომების დეფიციტი ქართულ სამეცნიერო სივრცეში ერთმნიშვნელოვნად შეინიშნება.

კვლევისა და მასალების დამუშავების პირველ ეტაპზე, არსებობდა შიში, რომ ასევე მწირი იქნებოდა ლიტერატურა და სპეციალური წყაროები; გართულდებოდა შესაბამისი მასალების იდენტიფიცირება; თუმცა, ნაშრომები, რომელიც მოვიძიეთ, დავამუშავეთ და გამოვიყენეთ, საკმარისად დიდი რაოდენობის და მოცულობის აღმოჩნდა.

ლიტერატურის მიმოხილვა უნდა დავიწყოთ რაინჰოლდ ციპელიუსის „იურიდიული მეთოდების მოძღვრებით“, რომელმაც დაგვარწმუნა მიზნის მიღწევისთვის კვლევის მეთოდების განსაკუთრებულ მნიშვნელობაში. სამართალთან დაკავშირებით კი ეს ნიშნავს, თუ რა სახის კითხვებს აყენებს სამართალი და აზროვნების რომელი გზებით მიიღწევა პასუხები.

აღსანიშნავია არსენ ბურჯალიანის „სამართლის ფილოსოფია“. მიუხედავად კონკრეტული საკითხისა, სამართლის სფეროს კვლევისას, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს სამართლის ფილოსოფია და შეგვეძლოს სამართლის გონითი გააზრება, რაც ნიშნავს სამართლის ფილოსოფიურ ჭკრეტას. თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს გონიერი ადამიანი სამართლიანობას ცხოვრებაში, გვიხსნის ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ვილჰელმ ზაუერი ნაშრომში „სამართლიანობა“. ლიტერატურის გაანალიზებით, მეტად ვრწმუნდებით მართლმსაჯულების თემის აქტუალობასა და მისი აღსრულების მნიშვნელობაში.

აღსრულების საკითხების კვლევას ვიწყებთ ადრეული ხანით. ამისთვის ვიყენებთ საისტორიო წყაროებს და, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს. აღსანიშნავია ის ფასდაუდებელი სამუშაო, რომელიც ქართული სამართლის საკითხების შესწავლისთვის გასწია ივანე ჯავახიშვილმა. საკვლევი თემისთვის მნიშვნელოვანი მასალებია მიმოხილული ი. დოლიძის, ე. თაყაიშვილის, ივ. სურგულაძის, ვ. გაბაშვილი, ვ. მეტრეველის და სხვათა ნაშრომებში. აღნიშნული მასალების კვლევით მივედით დასკვნამდე, რომ აღმასრულებლის ინსტიტუტი ოდითგანვე არსებობდა და იქ, სადაც ხდებოდა საქმის განხილვა სასამართლო წესით, იყვნენ პირები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფდნენ.

საქართველოს თანამედროვე სააღსრულებო სისტემის კვლევისას, ძირითადად, ვყვრდნობით ეროვნულ კანონმდებლობას. სხვადასხვა ნორმატიული აქტის შესწავლით ჩვენ ქრონოლოგიურად და თანმიმდევრულად შევძელით აღსრულების სისტემის შექმნისა და განვითარების აღწერა. აღსანიშნავია, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები არ არსებობდა და მხოლოდ 2018 წელს გამოიცა შალვა ქურდაძის, გიორგი ქურდაძის, ნინო ხუნაშვილის და ზურაბ ჭყონიას ავტორობით. კანონის კომენტარების ეს

გამოცემა დაგვეხმარა სააღსრულებო წარმოების ცალკეული მუხლების გაანალიზებაში.

დისერტაციის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა აღსრულების ექსპერტის, ადრიანუს (იოს) უიტდეჰააგის მოსაზრებები და მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნები: „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა“, „აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში“. ჩვენს მიერ მოხდა ავტორის მიგნებების მეტწილად გაზიარება. აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ მკვლევრებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ სააღსრულებო სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ვინფრიდ შუშკე თავის ნაშრომებში საუბრობს სასამართლოს როლზე აღსრულებაში და ხაზს უსვამს სასამართლო კონტროლის აუცილებლობას. იგი სააღსრულებო სისტემის მოწყობის ჩვენგან განსხვავებულ მოდელს ემხრობა, რაც გვეხმარება სისტემათა შესახებ მოსაზრებების შეპირისპირებისა და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისთვის.

დისერტაციის მიზნებისთვის შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა. მათი და საქართველოს კანონმდებლობის შედარება-ანალიზით განმასხვავებელი და საერთო რეგულაციების იდენტიფიცირება მოვახდინეთ. ეფექტიანი აღსრულების ძირითადი კომპონენტების ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენეთ აღსრულების მსოფლიო კოდექსი და საერთაშორისო ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც ძალიან მრავლად მოიპოვება აღსრულების სფეროზე. მათ შორის აღსანიშნავია ევროსაბჭოს კომიტეტის მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ-ს მიერ გაცემული არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია.

შევისწავლეთ და მნიშვნელოვნად დაგვეხმარა საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებები. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებმა.

სადისერტაციო ნაშრომი ემყარება ზემოაღნიშნულ და სხვა სამეცნიერო ლიტერატურასა და სპეციალურ წყაროებს. ნაშრომში ვავითარებთ აზრს, რომ ევროპის მასშტაბით შეიმჩნევა სააღსრულებო სისტემათა ცვლილება საჯარო მოდელიდან კერძო მოდელზე გადასვლით. შესწავლილი მასალის კვლევის საფუძველზე, წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოს

სააღსრულებო სისტემის რეფორმის ის გზა, რომლითაც მიიღწევა შედეგიანობა და არის საქართველოში სააღსრულებო სისტემის განვითარებისთვის, ამ ეტაპზე ყველაზე ადეკვატური და დროული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკვლეული მასალით კვლევის მიზანი მიღწეულია.

კვლევის თეორიული საფუძველად და ნაშრომის თეორიულ ბაზად განისაზღვრა საქართველოს, სააღსრულებო სისტემის მოწყობის, კანონმდებლობა და ისტორიული განვითარებები. მათ შორის აღნიშნულ სფეროში არსებული ქართული და უცხოური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე საერთაშორისო რეკომენდაციების და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა.

განხორციელებული კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ **კვლევის სხვადასხვა მეთოდი**. ისტორიული კვლევის მეთოდით შევძელით გაგვეანალიზებინა საკვლევი საკითხის ისტორიული წარმომავლობა. შევისწავლეთ, თუ რა სახით გვხვდება ქართული სამართლის ისტორიაში სააღსრულებო სისტემის მსგავსი სტრუქტურა. დიალექტიკის და დიალექტიკური ლოგიკის მეთოდით გამოვიკვლიეთ თანამედროვე სააღსრულებო სისტემის შექმნა და განვითარება. საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შედარებით-სამართლებრივ მეთოდს, ვინაიდან კვლევის ნაწილი შედარებით კონტექსტში წარიმართა. ნორმატიული კვლევის მეთოდით განვახორციელეთ ნორმათა სამართლებრივი ანალიზი. ინტერიერისა და ექსტერიერის მეთოდით გავმიჯნეთ კანონის ტექსტი და კანონის აზრი. გამოვიყენეთ სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო სასამართლოების მიდგომებს აღსრულების საკითხებთან მიმართებაში. კვლევაში ჩავრთეთ ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების მეთოდები. სტატისტიკური მონაცემების კვლევის და ანალიზის მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ აღსრულების მოდელების შეპირისპირება. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით დავადგინეთ, თუ როგორია საზოგადოებაში აღსრულების შესახებ ცნობადობა. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნები უკეთ წარმოაჩინეს კერძო სააღსრულებო სისტემის ქართულ რეალობაში დანერგვის საჭიროებასა და დამკვიდრების სპეციფიკას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ის, რომ პირველად მოხდა საქართველოს სახელმწიფო და კერძო სააღსრულებო სისტემების შექმნისა და განვითარების კომპლექსურად განხილვა და სხვადასხვა ქვეყნის სააღსრულებო სისტემებთან შედარება. უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს დაინერგა საქართველოში კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, თუმცა არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევა მოდელის ეფექტურობის შესახებ და იმაზე, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს. ჩვენ მიერ დადასტურებულია სისტემის რეფორმის აუცილებლობა და შემოთავაზებულია რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები და მეთოდები, რა აუცილებელი ღონისძიებებია საჭირო იმისთვის, რომ აღსრულების საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები სრულად და დროულად დაინერგოს ქვეყანაში.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა საკვლევი თემის სიახლიდან გამომდინარეობს. აღსრულების სფეროზე სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოში საკმაოდ მწირია. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი უშუალო ასახვას პოვებს სამართლის მეცნიერებასა და სამეცნიერო წრეებში; კვლევას გამოიყენებენ სტუდენტები და საკითხით დაინტერესებულ პირები. ახალ სამეცნიერო ნაშრომებში, რომელიც ხელს შეუწყობს მოცემული კვლევის გარშემო ცოდნის გაღრმავებას და შემდგომი მეცნიერული კვლევების ჩატარებას; ნაშრომი საინტერესო იქნება აღმასრულებლების, იურისტების და სხვა სააღსრულებო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის მათ პრაქტიკულ საქმიანობაში. კვლევის დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება შეეძლება აღსრულების საკითხით დაინტერესებულ სამთავრობო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში აღსრულების პოლიტიკის განსაზღვრასა და სააღსრულებო სისტემის მუშაობაზე. თემის დამუშავება ხელს შეუწყობს ქართული საკანონმდებლო სივრცის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. მეტად თვალსაჩინოს გახდის იმ მოთხოვნების დანერგვის აუცილებლობას, რომელიც ქვეყანაში ეფექტიანი აღსრულების სისტემის არსებობას უზრუნველყოფს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომის მოცულობაა 141 გვერდი. იგი მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, თვრამეტ ქვეთავს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას. **პირველი თავი** ეძღვნება აღსრულების სისტემის როლის და მნიშვნელობის წარმოჩენას. გაანალიზებულია აღსრულების როლი როგორც მართლმსაჯულების, ასევე სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის კრილში; განხილულია საზოგადოებაში აღსრულების ცნობადობა და წარმოდგენილია კვლევა სააღსრულებო წარმოების მხარეებში აღსრულების ცნობადობის თაობაზე. **მეორე თავში** ჩამოყალიბებულია აღსრულების ძირითადი ღირებულებები; გამოკვლეულია აღსრულების საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები; მოცემულია მათი ქართულ რეალობასთან შესაბამისობა და გამოკვლეულია აღსრულების როგორი სისტემით მეტად ხდება ძირითადი ღირებულებების დაცვა. **მესამე თავი** მოიცავს საქართველოს სააღსრულებო სისტემის ისტორიულ ექსკურსს და თანამედროვე სააღსრულებო სისტემის შექმნა-განვითარებას. გაანალიზებულია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარება. წარმოდგენილია აღსრულების ეროვნული ბიუროს, ასევე კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეების სტატისტიკა და შედარებითი ანალიზი, აღნიშნულის საფუძველზე გამოკვლეულია რომელი სისტემით მეტად მიიღწევა გადაწყვეტილებათა სწრაფი და რეალური აღსრულება. ასევე, მიმოხილულია მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები. **მეოთხე თავში** განხილულია სააღსრულებო სისტემათა ორგანიზაციული მოწყობა სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა მოდელის მაგალითზე. გამოკვლეულია საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი, სააღსრულებო მოსაკრებელი, პროფესიული კვალიფიკაცია სხვადასხვა ქვეყანასა და საქართველოში. მოცემულია შედარებითი ანალიზი და გამოთქმულია შენიშვნები ზოგიერთი პრინციპის საქართველოში არ არსებობის ან არასაკმარისი ხარისხით არსებობის შესახებ. ნაშრომის ბოლო ნაწილი მოიცავს **დასკვნებს და რეკომენდაციებს**. დასკვნის სახით გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომელიც ნაშრომზე მუშაობისას იქნა მიღებული. ასევე, გაანალიზებული მასალებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომელთა ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა.

თავი I აღსრულების სისტემის მნიშვნელობა და დანიშნულება

1. აღსრულება როგორც მართლმსაჯულების ინსტრუმენტი

გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, შევხებით სასამართლოს როლსა და დანიშნულებას. სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულება დასაბამიდან დღემდე კაცობრიობის უდიდესი საზრუნავია.

სასამართლოს მთავარი მიზანია, დაამკვიდროს სამართლიანობა. თავად სამართლის არსში გარკვევაც საინტერესოა: სამართალი სამართლიანობის დამკვიდრების საშუალებაა, მექანიზმი, რომლითაც სამართლიანობა მიიღწევა. შინაარსობრივად ამ სიტყვის ფუძე „მართის“, ანუ სწორისაგან წარმოდგება და მხოლოდ შემდეგ მიიღო სამართლის მნიშვნელობა¹. „სამართლიანობის გარეშე ადამიანების არსებობას არანაირი ფასი არა აქვს“ - კანტის ეს სიტყვები, რომელსაც ხშირად იმოწმებენ, კარგად ასახავს, რა როლს ანიჭებს გონიერი ადამიანი ამ ცნებას². სამართლის მთავარი ფუნქცია ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგებაა, რათა მათი ცხოვრება ჰარმონიული გახდეს და დაიცვას სამართლებრივი უსაფრთხოება. სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის დავის გადაწყვეტა შემდეგნაირად შეიძლება: პოზიტიური სამართალი, რომელიც კანონითა და ძალაუფლებითაა უზრუნველყოფილი, უპირატესია მაშინაც, თუკი უსამართლო და ხალხისთვის ნაკლებსასარგებლო დებულებებს მოიცავს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონსა და სამართლიანობას შორის დავა მიაღწევს ისეთ გაუსაძლის ხარისხს, რომ კანონმა, როგორც „ნაკლოვანმა სამართალმა,“ უნდა დაუთმოს სამართლიანობას.³

სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლოს გარეშე შეუძლებელია. სწორედ სასამართლოა ყველაზე გამორჩეული ინსტიტუცია სამართლიანობის მისაღწევად, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ხალხი ენდობოდეს მას. ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტებში დაასაბუთა, რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქეთა მიერ ნდობა: სასამართლო ის ორგანოა, რომელსაც იურიდიულ უფლება-მოვალეობათა

¹ მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა მერიდიანი; თბილისი 2009წ. გვ.17.

² ზაფერი ვ. სამართლიანობა, გამომცემლობა იუსტიცია, 2022წ. გვ.51.

³ რადბრუხი გ. კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი, სამართლის ჟურნალი, თსუ, თბილისი 2012 წ. გვ.322.

განმტკიცება და დავების გადაწყვეტა ევალება. საზოგადოება სწორედ ასე უნდა აღიქვამდეს მათ როლს და დანიშნულებას. ადამიანები პატივს უნდა მიაგებდნენ მას, ენდობოდნენ და სჯეროდეთ, რომ სასამართლო სათანადოდ შეასრულებს ამ ფუნქციას.

სასამართლოს თანამედროვე ცნება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, წარმოადგენს სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებას; საკუთრივ, მოსამართლეებს - თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას და მექანიზმს, რომლითაც ხორციელდება მართლმსაჯულება⁴.

სასამართლო მართლმსაჯულების გზით აღსრულებს სამართლიანობას. მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, ნიშნავს სასამართლოს მიერ საქმეების განხილვას, კანონით დაცული სიკეთის სასამართლო წესით დაცვას და დამრღვევთა მიმართ სახელმწიფო იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. მართლმსაჯულებად არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესი. მას აღსრულების სტადიებიც განეკუთვნება. სწორედ სასამართლო წარმოების ბოლო ეტაპია აღსრულება.

სასამართლო ყოველთვის გამორჩეულ და განსაკუთრებულ ინსტიტუტად მოიაზრებოდა. მისი მთავარი ფუნქცია ოდითგან იყო სამართლიანობის დამკვიდრება. მას ჰქონდა გარკვეული მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოდ ითვლებოდა. ჯერ კიდევ რესპუბლიკის პერიოდის რომის (ჩვ.წ.აღ-მდე 509-27წ.წ.) სახელმწიფო წყობილება იცნობს სახელმწიფო ორგანოებს, როგორცაა: სახალხო კრება, სენატი, მაგისტრატურა. მაგისტრები ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა თანამდებობის პირები იყვნენ და სხვადასხვა უფლებამოსილება ჰქონდათ, მათ შორის, სასამართლო საქმეთა განხილვა. ჰყავდათ თავიანთი მოსამსახურეები: მწერლები, აღმრიცხველები, მცველები, შიკრიკები, აღმასრულებლები.⁵ სწორედ ამ დროიდან

⁴გოცირიძე ე. გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში. თსუ, თბილისი 2007წ. გვ. 353-354.

https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Eva_Gociridze.pdf (გამოხმობილია 12.04.23.)

⁵ მეტრეველი ვ. რომის სამართალი; გამომცემლობა მერიდიანი; თბილისი 2009წ. გვ.38.

ეხმარებოდნენ მოსამართლეებს აღმასრულებლები, რომელთაც მიღებული გადაწყვეტილებები სისრულეში მოჰყავდათ.

საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებულია, რომ აუცილებელია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს,⁶ რომელთა შორისაა სამართლიანი სასამართლოს უფლება. „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“⁷.

მნიშვნელოვანია, შევხვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც. პრეცედენტის განმსაზღვრელ საქმესთან მიმართებაში - „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“⁸, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი გამოიყენება არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე სამოქალაქო საკითხებზე სამართალწარმოების დაწყების უფლებასთან დაკავშირებით, არამედ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფადაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო პროცესი სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებით კი არა, მისი აღსრულებით სრულდება.

მსგავსი განმარტებებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ არაერთ გადაწყვეტილებაში. 2008 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის, არამედ, გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად,

⁶ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 4, პუნქტი 2.

⁷ იქვე. მუხლი 31, პუნქტი 1.

⁸ EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 19 March 1997 Strasbourg HORNSBY v. GREECE №18357/91.

რამდენადაც იგი მოჩვენებით ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და პირს ართმევს ამ უფლებით სარგებლობის ყველანაირ პრაქტიკულ საშუალებას.⁹

საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებულია, რომ „სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“¹⁰. სასამართლო, თავის მხრივ, თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს და ადგენს მხარეთათვის სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციით და სხვა სამართლებრივი აქტებით განმტკიცებული უფლება - პირის მიერ თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის შესახებ აზრს დაკარგავდა, თუ რეალურად ვერ განხორციელდებოდა. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას და არსებობს სათანადო სააღსრულებო სისტემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტავს: „სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლო აქტების აღსრულების კომპეტენცია არ არის სასამართლო სისტემის იურისდიქცია. იგი განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას. ხოლო, თავის მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღსრულებლობა, მაშინ როცა, ჯეროვანი და ეფექტიანი მართლმსაჯულება მიიღწევა არა ოდენ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების

⁹საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს-325-316(კ-08)

¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 82.

გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონშესაბამისი, დროული აღსრულების უზრუნველყოფით.“¹¹

აქვე შევხებით თავად აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს. სამართლებრივ სახელმწიფოში აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული სათანადო დოკუმენტით. სააღსრულებო დოკუმენტის ფორმა და სახეობა ვერ იქნება მხარეთა შეთანხმების საგანი, ვინაიდან ამ პროცესში ყოველთვის ხდება სახელმწიფოებრივი ჩარევა კერძო უფლებებში. კანონი განსაზღვრავს, რომელი დოკუმენტის საფუძველზე შეიძლება აღსრულება და ადგენს მისი მოპოვების და შესრულების მექანიზმებს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია აღსრულების ქვემდებარე აქტები,¹² რომელთა ჩამონათვალიც საკმაოდ ვრცელია. აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, არამედ, აღსასრულებლად მიექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად, საქართველოსთვის სავალდებულოა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სანოტარო აქტი; გირავნობის მოწმობა და სხვა. დასკვნის სახით, სააღსრულებო წარმოების მეშვეობით ხდება სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოთა დადგენილების იძულებით განხორციელება. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპებს კი სწრაფი, ეფექტიანი და რაც მთავარია, კანონშესაბამისი აღსრულება წარმოადგენს.¹³ უწყებას, რომელსაც აღსასრულებელი დოკუმენტის გამოცემის უფლებამოსილება აქვს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია: ყოველთვის ახსოვდეს, რომ აღმასრულებელმა კანონის მიხედვით უნდა შეძლოს მისი აღსრულება.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება № 49-47(კს-07).

¹² საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი I ზოგადი დებულებები, მუხლი 2.

¹³ ქურდაძე შ. ქურდაძე გ. ხუნაშვილი ნ. ჭყონია ზ. 2018წ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი გვ. 29.

ქართულ რეალობაში ვხვდებით გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება შეუძლებელია. ამან განაპირობა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების სახით ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების საფუძველი შეიძლება გახდეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულება ფაქტობრივ გარემოებათა გამო შეუძლებელია.¹⁴ ამასთან, გადაწყვეტილება არ უნდა იყოს იმდენად ღიად ფორმულირებული, რომ შეიძლებოდეს მისი აღსრულების ეტაპზე შევსება. სააღსრულებო ფურცელი კანონით დაწესებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.¹⁵

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, თუ მისი შესრულება ფაქტობრივი მიზეზების გამო შეუძლებელია. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი¹⁶.

შემაჯამებლად უნდა ითქვას, რომ მართლმსაჯულება, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, თავის თავში მოიცავს აღსრულებასაც, რასაც მოწმობს ზემოაღნიშნული ფაქტები.

2. სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

აღსანიშნავია აღსრულების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. დემოკრატიულ სახელმწიფოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიური განვითარება და მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა სრულად დამოკიდებულია სააღსრულებო სისტემის ეფექტურობაზე. შესაბამისად, წარმოებისა და სხვა ნებისმიერი ბიზნესის ეფექტურობაც გამართული სააღსრულებო მექანიზმების არსებობის პირდაპირ პროპორციულია.¹⁷

¹⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VII აღსრულების გადადება, შეწყვეტა, შეჩერება, აღსასრულებელი დოკუმენტის უკან დაბრუნება. მუხლი 35.

¹⁵ იქვე. თავი V აღსრულება მუხლი 21.

¹⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ თავი IV ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, მუხლი 60.

¹⁷ ჭყონია ზ. რამდენიმე რეკომენდაცია მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტიანობისთვის, სამართალი და მსოფლიო. 2015 წ. გვ. 99.

დაუშვებელია კარგი სააღსრულებო სისტემის ეკონომიკური ასპექტების ჯეროვნად შეუფასებლობა. ეკონომიკური ზრდის მიზნით, აუცილებელია მძლავრი და კონკურენტუნარიანი ბიზნეს სექტორის შექმნა, ვადაგადაცილებული გადახდა ან გადაუხდელობა საფრთხეს უქმნის როგორც ბიზნესის, ასევე მომხმარებელთა ინტერესებს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ბიზნეს და ეკონომიკური რეიტინგები, როგორებიცაა: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგი ან მსოფლიო კონკურენციის ინდექსი, სახელმწიფოსთვის რეიტინგში შესაბამისი ნიშნის მინიჭებისას ყოველთვის ითვალისწინებენ, თუ რამდენად სწრაფად და ხარისხიანად არის შესაძლებელი სახელმწიფოში დარღვეული უფლების აღდგენა. ქვეყანა, სადაც არ არის ეფექტური სააღსრულებო სისტემა, ინვესტორისთვის არ არის მიმზიდველი, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სასამართლოს და აღსრულების ეფექტურობის შესწავლის კვლევები ცხადყოფს, რომ ქვეყნები, სადაც ეფექტური სასამართლო და სააღსრულებო მექანიზმებია ბევრად უფრო საინტერესოა ინვესტორებისთვის და ასეთ ქვეყნებში ბევრად მეტი კომპანიები ოპერირებენ.¹⁸

თავისთავად ნათელია, რომ საიმედო აღსრულების სისტემას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ფინანსური სისტემისთვის და წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის, ეკონომიკური განვითარების და საქართველოს სოციალური კეთილდღეობის ქვაკუთხედს.¹⁹ შესაბამისად არაეფექტური სააღსრულებო სისტემა ნეგატიურ გავლენას ახდენს, როგორც მართლმსაჯულებაზე, ასევე, ქვეყნის ეკონომიკაზე.

ევროპული სააღსრულებო სამართალი ემსახურება ქვეყნებში ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას, რისთვისაც გადამწყვეტია, რომ აღსასრულებელი უფლების მოპოვება და მისი სისრულეში მოყვანა არ იდგეს საფრთხის წინაშე. აღსრულება პირველ რიგში ემსახურება კრედიტორის ინტერესებს და ასევე უნდა იცავდეს მოვალეს უსამართლო ან არაპროპორციული აღსრულებისგან. “ევროსაბჭოს მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ერთიანობის უფრო მაღალი დონის

¹⁸ THE WORLD BANK'S Why it matters in Enforcing Contracts - Doing Business - World Bank Group (გამოხმობილია 06.04.2023.)

¹⁹ უიტდეკაავი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 4.

მიღწევა საპარლამენტო დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით იმ საერთო იდეებისა და ფასეულობების რეალიზაციის მიზნით, რომლებიც საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენენ და სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მიღწევას უწყობენ ხელს. მოცემული მიზნის მიღწევა დასახულია ევროსაბჭოს შესაბამისი ორგანოების მეშვეობით საერთო მიზნების განხილვისა და მათი რეალიზაციის შესახებ ღონისძიებების შეთანხმების მიღწევის გზით”.²⁰ ამდენად უნდა ითქვას, რომ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია აღსრულების სისტემის როლი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

3. ცნობადობა

გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელობა სათანადოდ არ იყო შეფასებული, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც. ყურადღება მეტად მახვილდებოდა სასამართლო სისტემის რეფორმაზე და განვითარებაზე. სააღსრულებო სისტემის განვითარებაზე სათანადო ზრუნვა დაიწყო მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში ხსენებული სამართლიანი სასამართლოს უფლება აგრეთვე, მოიცავს აღსრულებას და სამართლებრივი პროცესი უნდა ფოკუსირდებოდეს არა მხოლოდ სასამართლოზე და გადაწყვეტილების გამოტანაზე, არამედ აგრეთვე, ეფექტიანი აღსრულების სისტემის განვითარებაზე²¹.

სააღსრულებო სისტემის დანიშნულებიდან და მისი პრაქტიკული გამოყენებიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა აღსრულება და მისი მნიშვნელობა. დაიწყო სფეროს პოპულარიზაცია და განვითარებაზე ზრუნვა.

²⁰ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (90) Regarding the adoption of the revised statute of the Council of Europe 32st meeting 1990.
https://static1.squarespace.com/static/63e63a0e6bd006803f20644/t/63ffd40d223cfa64d58b4ccf/1677710349816/Council%2Bof%2BEurope%2B-%2BRecommendation%2B90_7_EN.pdf- (გამოხმობილია 06.04.2023.)

²¹ EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 19 March 1997 Strasbourg HORNSBY v. GREECE №18357/91.

იმისთვის რომ უკეთ გავიგოთ სააღსრულებო სამართლის პრობლემები, საჭიროა გავიაზროთ ზოგადად სამართლებრივ სისტემაში სააღსრულებო სამართლის ადგილი, კლასიკური სამართლის მოძღვრების თანახმად თუ სამართალს დავყოფთ სამ სფეროდ: კერძო სამართალი, საჯარო სამართალი და სისხლის სამართალი, მაშინ სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება. ვინაიდან, მისი საგანია სახელმწიფო ფუნქციის შესრულება, სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო და კანონით გათვალისწინებულ სხვა უწყებათა გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულება. აღნიშნული ლეგიტიმურია არა კრედიტორის კერძო სამართლებრივი მოთხოვნით, არამედ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილებით. მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი მოქალაქეთა დავებში წესრიგი აღადგინოს და დაიცვას იძულების გზით. ის რომ სააღსრულებო ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოიყენოს იძულება ვერ იქნება ლეგიტიმური კრედიტორის კერძო სამართლებრივი დაკვეთით, არამედ არის მხოლოდ სააღსრულებო კომპეტენციის გამოვლინება.²²

ყურადსაღებია თავად სახელმწიფოს დამოკიდებულება აღსრულების ინსტიტუტის მიმართ და ზოგადად ამ მიმართულებით სახელმწიფო მიდგომები. მთავრობები, რიგ შემთხვევებში, იჩენენ შემწყნარებლობას დავალიანების გადაუხდელობის ზოგადი კულტურის მიმართ. არსებობს რისკი, რომ აღსრულების ეფექტური სისტემის გარეშე შეიძლება განვითარდეს „კერძო მართლმსაჯულების“ სხვა ფორმები და უარყოფითი შედეგი მოჰყვეს საზოგადოების ნდობას სამართლებრივი სისტემისადმი.²³ საჭიროა სახელმწიფოს გააჩნდეს თანმიმდევრული პოლიტიკა აღნიშნულზე და შესაბამისად დაგეგმოს სამომავლო განვითარებები.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება აღსრულების ზომების შესახებ. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ტარდება

²² შუმკე ვ. სააღსრულებო სამართალი. თბილისი. 2011წ. გვ.37.

²³ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003. https://uihj.com/archive-ujhj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022.)

საინფორმაციო კამპანიები, აქტიურია სოციალურ ქსელში მათი გვერდი. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო აქტიურად აწარმოებს პრევენციულ კამპანიას ფინანსურ ვალდებულებებთან და მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. მომზადდა პრევენციული ხასიათის გრაფიკული ვიდეოები, რათა მოქალაქეები მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებული საკუთარი უფლებებისა და ვალდებულების შესახებ. პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს პროგრამა, რომელიც საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ლექცია-სემინარების ჩატარებას ითვალისწინებს.²⁴

საზოგადოებაში აღსრულების შესახებ ცნობადობის გამოსარკვევად, მოვიძიეთ მასალები, მათ შორის კვლევები საკითხთან დაკავშირებით. ბოლო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულზე რაიმე ტიპის კვლევა არ ჩატარებულა. ამდენად, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა სოციალური კვლევა.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. უდავოა, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებულ ტექნიკადაა მიჩნეული.

კვლევაში მონაწილეობა დაეფუძნა ნებაყოფლობითობის, ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპს. ამასთან რესპონდენტებს საწყის ეტაპზევე განემარტათ კვლევის მიზანი.

შერჩევის მახასიათებლები: გამოკითხვის ჩასატარებლად შეირჩა სამი, ყველაზე მსხვილი, ტერიტორიული სააღსრულებო ბიურო. თბილისის, აჭარისა და გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროები. რესპონდენტებად შევარჩიეთ სააღსრულებო წარმოების მხარეები, იმის გათვალისწინებით, რომ მხარე არ ყოფილიყო წარმომადგენელი ან/და იურისტი.

კვლევის ინსტრუმენტი: კვლევა ჩატარდა ზემოაღნიშნულ ტერიტორიულ სააღსრულებო ბიუროებში 2023 წლის აპრილში. პირისპირ გამოკითხვის მეთოდით. შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა სამ დახურულ კითხვას.

²⁴ აღსრულების ეროვნული ბიურო www.nbe.gov.ge (გამოხმობილია 06.04.2023.)

რესპონდენტებს დაესვათ კითხვები შემდეგი ფორმულირებით:

სანამ გახდებოდით სააღსრულებო წარმოების მხარე

➤ *გსმენიათ თუ არა აღსრულების შესახებ*
დიახ არა

➤ *გსმენიათ თუ არა სააღსრულებო საქმიანობის სპეციფიკის შესახებ*
დიახ არა

➤ *გქონდათ თუ არა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლება-მოვალეობებზე*
დიახ არა

კვლევის შედეგები: სულ გამოიკითხა 155 რესპონდენტი; მათ შორის თბილისის სააღსრულებო ბიუროში 105 პირი, რაც არის საერთო რაოდენობის 68%, აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროში 25 პირი, რაც არის საერთო რაოდენობის 16%, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში 25 პირი, რაც არის საერთო რაოდენობის 16%. (იხ. დანართი 1)

კითხვებზე პასუხები შემდეგი სახისაა:

1. გსმენიათ თუ არა აღსრულების შესახებ - დადებითი პასუხი 71; უარყოფითი 84.

2. გსმენიათ თუ არა სააღსრულებო საქმიანობის სპეციფიკის შესახებ - დადებითი პასუხი 43; უარყოფითია 112.

3. გქონდათ თუ არა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლება-მოვალეობებზე - დადებითი პასუხი 18, უარყოფითი 137.

(იხ. დანართი 2)

კვლევა ჩაშლილ იქნა გენდერულ ჭრილში (იხ. დანართი 3).

ასევე, გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი 4).

ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ დაბალია საზოგადოებაში აღსრულების შესახებ ცნობადობა. ადამიანები არ იცნობენ სააღსრულებო წარმოებისას მათ უფლება-მოვალეობებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ გამოწვევის დაძლევა. აღსრულების შესახებ ცნობადობა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც პროფესია ემსახურება მართლმსაჯულების აღდგენას. სახელმწიფოს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ამ სფეროს პოპულარიზაცია. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს აღსრულების ორგანოს მუშაობის შესახებ, რათა თუ ისინი გახდნენ სააღსრულებო წარმოების მონაწილეები შეძლონ სათანადოდ საკუთარი უფლება-მოვალეობების შესრულება. სააღსრულებო მექანიზმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მართლმსაჯულების განვითარების კუთხით.

სანამ უშუალოდ სააღსრულებო სისტემის მოწყობაზე ვიმსჯელებდეთ, სათანადოდ უნდა გავიაზროთ აღსრულების ადგილი და გავლენა ქვეყნის ინსტიტუციურ განვითარებაში. ბუნებრივია, ისმის კითხვა – რისთვის სჭირდება სახელმწიფოს აღსრულების ეფექტური სისტემა? აღსრულების როლის წარმოჩენით ნათელი ხდება, თუ რა მნიშვნელობისაა სათანადო სააღსრულებო სისტემის არსებობა ქვეყნის მართლმსაჯულების და ეკონომიკური განვითარებისთვის, რამდენად საჭიროა საზოგადოება იცნობდეს და სათანადოდ აფასებდეს ამ ინსტიტუტს. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

თავი II აღსრულების ძირითადი ღირებულებები

1. საერთო სტანდარტები და პრინციპები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, აღსრულების სფეროში საქმიანობის დონე მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახლა უკვე ბევრად მეტი ადამიანი დგას სააღსრულებო წარმოების წინაშე. მათ შორის საქართველოშიც მნიშვნელოვნად გაიზარდა სააღსრულებო წარმოების პროცესში ჩართული ადამიანების რაოდენობა. ამდენად, მნიშვნელოვანია სათანადო, ადამიანის უფლებებზე მორგებული სააღსრულებო მექანიზმების არსებობა.

სხვადასხვა სახელმწიფოში აღსრულების პროცედურები განსხვავებულადაა ორგანიზებული, მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია აღსრულების სფეროში საერთო სტანდარტების არსებობა.

2001 წლის 4 და 5 ოქტომბერს, მოსკოვში ჩატარდა ევროპის საბჭოს ქვეყნების იუსტიციის მინისტრების 24-ე კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია „ზოგად მიდგომებზე და საშუალებებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების მისაღწევად“. კონფერენცია შეჯერდა რომ სახელმწიფოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების სათანადო და ეფექტური აღსრულება უაღრესად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებში ეფექტური და სანდო მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის. კონფერენციამ სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის ევროპულ კომიტეტს თხოვნით მიმართა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში საერთო სტანდარტების და პრინციპების ევროპულ დონეზე იდენტიფიცირების მიზნით, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეკომენდაცია. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 17 წევრი სახელმწიფოებისთვის აღსრულების შესახებ. მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 851-ე შეხვედრაზე²⁵. ასევე, ევროსაბჭოს კომიტეტმა მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე სასამართლო გადაწყვეტილებების

²⁵ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003. https://uihj.com/archive-uihj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022.)

აღსრულება შეიყვანა პრიორიტეტების სიაში. სხვადასხვა ორგანოს მიერ შემუშავებული და მიღებული რეკომენდაციები, იძლევა საშუალებას სახელმწიფომ მათი გათვალისწინებით შექმნას მარტივი და ეფექტიანი კანონის უზენაესობასთან შესაბამისი აღსრულების მექანიზმები, გააუმჯობესონ სააღსრულებო პროცედურები, რომლის ძირითადი პრინციპები და მიზნები მორგებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებზე. ეს რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები ეფუძნება ეფექტიანობას, გამჭვირვალებას და აღქმადობას. ისინი არ აწესებენ იდეალურ სისტემას, რადგან ვერ იარსებეს აღსრულების იდეალური სისტემა. ამ დოკუმენტების მიზანია დააწესონ აღსრულების საბაზისო საფუძვლები²⁶.

სააღსრულებო წარმოებას თან სდევს კოორდინაცია და თანამშრომლობა საჯარო ინტერესების, სამართლებრივი უსაფრთხოების და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა, ყოველივე ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღსრულების პროცესში²⁷. თავად აღსრულება კომპლექსური ურთიერთობაა მინიმუმ სამ ინტერესთა შორის. კრედიტორი, მოვალე და აღმასრულებელი ორგანო. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმასრულებელი ორგანო წარმოებაში ჩართულია არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ კრედიტორი მხარის, დადასტურებული უფლების, იძულებით აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, რაც უნდა იქნეს მიღწეული მხარეების მიმართ თანაბარი მოპყრობით, უნდა მოხდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ისე რომ გათვალისწინებულ იქნეს მოვალის ინტერესები.

სხვადასხვა სახელმწიფოში აღსრულების სისტემები განსხვავებულია, მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია აღსრულების სფეროში საერთო სტანდარტების არსებობა. პრაქტიკული თვალსაზრისით ასეთი ჰარმონიზაცია არ არის აუცილებელი თუმცა, სასარგებლო იქნებოდა საერთო სტანდარტებისა და პრინციპების დადგენა, რომლებიც დაეხმარება სახელმწიფოებს თავისი კანონმდებლობებისა და პრაქტიკის დახვეწაში, სასამართლო გადაწყვეტილებების

²⁶ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ.12.

²⁷ Perez-Ragone I. Constitution, Fundamental Rights and Law of Enforcement 2014. P. 600.

<https://www.ufrgs.br/caar/wp-content/uploads/2014/10/Session-4.2.pdf> (გამოხმობილია 14.05.22.)

აღსრულებაში²⁸. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ქვეყნის, მისი ისტორიის და კულტურის შესაბამისი სააღსრულებო სისტემა. ამასთან, სააღსრულებო სისტემის მოწყობის (საჯარო თუ კერძო) განსხვავების მიუხედავად დაცული უნდა იქნეს აღსრულების ძირითადი სტანდარტები და პრინციპები.

2. პროცესის მონაწილეები

2014 წელს, სასამართლო მოხელეთა საერთაშორისო ასოციაციამ, რომელიც 88 წევრი სახელმწიფოთი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს გლობალურ სამართლებრივ ორგანიზაციას, გამოსცა აღსრულების მსოფლიო კოდექსი²⁹, რომელიც არის საერთაშორისო სტანდარტების კრებული აღსრულების სფეროში. სადაც აღნიშნულია, რომ აღსრულება, ნიშნავს სასამართლო და სხვა არა სასამართლო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას კანონის შესაბამისად, რომელიც მხარეებს ავალებს გარკვეული ზომების გატარებას, გარკვეული ქმედებებისგან თავის შეკავებას ან გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი თანხის გადახდას.³⁰

აღსრულების მსოფლიო კოდექსი აგრეთვე აღწერს აღსრულების ფუნდამენტურ უფლებებს მხარეებისთვის. აღსრულების კოდექსის თანახმად, ნებისმიერ კრედიტორს, რომელიც ფლობს აღსრულებად საბუთს აქვს მის აღსრულებაზე ეფექტიანი წვდომის უფლება იმ მოვალესთან მიმართებით, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას, ეს უფლება მინიჭებულია დისკრიმინაციის გარეშე და მოთხოვნის ოდენობის მიუხედავად³¹. კრედიტორის მსგავსი განმარტება გვაქვს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონშიც „სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება

²⁸ გოგელაშვილი ნ. აღსრულების უფლება, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი. №36, თბილისი 2018წ. 87.გვ.

²⁹International Union of Judicial Officers https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამოხმობილია 22.01.2022.)

³⁰ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003. https://uihj.com/archive-uihj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022.)

³¹ Global Code of Enforcement. Article 1. https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამოხმობილია 22.05.2022.)

იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელთა სასარგებლოდ ან/და ინტერესებისათვის მიღებულია კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილება“. აქვე განმარტებულია მეორე მხარის დეფინიციაც „სააღსრულებო წარმოებაში მოვალეა ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომლებსაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება ავალდებულებს, შეასრულონ განსაზღვრული მოქმედებები ან თავი შეიკავონ განსაზღვრული მოქმედებების შესრულებისაგან.³² სააღსრულებო წარმოების განხორციელებისას მნიშვნელოვანია აღსრულება წარიმართოს ისე, რომ დაცული იყოს მხარეთა შორის არსებული უფლებებისა და ინტერესების ბალანსი, რაც თავისთავად უნდა განხორციელდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საფრთხის შეუქმნელად.

CEPEJ-ს 2009 სახელმძღვანელო უთითებს რომ: უნდა არსებობდეს აღსრულების ეფექტიანი, მაგრამ სამართლიანი პროცესი; აღსრულება შეიძლება მიღწეულ იქნას, როდესაც მოპასუხეს აქვს გადაწყვეტილების დაკმაყოფილების საშუალება ან შესაძლებლობა; აღსრულებამ უნდა დაიჭიროს სწორი ბალანსი მხარეთა უფლებებს შორის; სახელმწიფომ უნდა განახორციელონ აღსრულების პროცესის მონიტორინგი და მიიღოს შესაბამისი ზომები ყველა მხარის პროცესუალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად;³³

სააღსრულებო წარმოების მხარეები მიუხედავად მათი სტატუსისა, ვგულისხმობთ ფიზიკური პირი იქნება იგი, იურიდიული, თუ სხვა ტიპის ორგანიზაციული წარმონაქმნი, ამასთან თუ იგი იქნება სახელმწიფო უწყება სააღსრულებო წარმოების პროცესში თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით, საქმეებში სადაც, სახელმწიფო წარმოადგენს მოვალე მხარეს განსხვავებული

³² საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი IV სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები. მუხლი. 15¹.

³³ EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009. P. 6-8. Guidelines - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int) (გამოხმობილია 22.05.2022.)

რეგულაცია მოქმედებს, მათ შორის ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ვადაც კი განსხვავებულია მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციას ბევრად მეტი დრო აქვს განსაზღვრული ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებისთვის³⁴. სახელმწიფო, როგორც მოვალე, პრივილეგირებულ მდგომარეობაშია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სააღსრულებო სისტემისადმი ნდობას და მოლოდინს³⁵. აღსრულების მსგავსი პროცედურები არ შესაბამეა აღსრულების ევროპულ სტანდარტებს. საქმეები სადაც მოვალე მხარეა სახელმწიფო უწყება ბევრად უფრო სწრაფად უნდა სრულდებოდეს და არ უნდა იყოს იძულებითი აღსრულების საჭიროება. როგორც წესი, ევროპის ქვეყნებში, სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმეები, იძულებით აღსასრულებლად, იშვიათად ხვდება. სახელმწიფო ჩვეულებრივ ემორჩილება და ნებაყოფლობით ასრულებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ განსხვავებული რეალობაა საქართველოში.

ასევე, მნიშვნელოვანია მხარეებმა ითანამშრომლონ აღსრულების პროცესის განმავლობაში და შეასრულონ კანონით მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები და ხელი შეუწყონ აღსრულების პროცესს. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სტანდარტებში ხაზგასმულია მხარეთა აქტიური ჩართულობა აღსრულების პროცესში. მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება ითანამშრომლონ აღსრულების პროცესის განმავლობაში; ხოლო შესაბამისი სტრუქტურები პასუხისმგებელი არიან ხელი შეუწყონ მხარეების ასეთ თანამშრომლობას.³⁶ სააღსრულებო პროცესში მოვალისა და კრედიტორის გარდა შეიძლება სხვა მხარეებიც მონაწილეობდნენ. მნიშვნელოვანია რომ სააღსრულებო პროცესში მონაწილე ყველა პირს სათანადო უფლებამოსილება ჰქონდეს მინიჭებული, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიონ აღმასრულებელს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაში. თავად აღსრულების პროცესი კი უნდა იყოს მოქნილი, ნათელი და გამჭვირვალე. ეს აგრეთვე საშუალებას აძლევს მხარეებს უფრო ეფექტურად გაიგონ მათი როლი და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.

³⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი XVI ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე აღსრულების წესი. მუხლი. 90⁴.

³⁵ უიტდეჰააგი ა. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა. 2013 წ. გვ. 89.

³⁶ EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009. P. 70. Guidelines - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int) (გამოხმობილია 22.05.2022.)

აღსრულების პროცესის მონაწილეა და წარმოებას უზრუნველყოფს აღმასრულებელი. აღსრულების შესახებ ევროსაბჭოს კომიტეტის მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ-ს რეკომენდაცია აღმასრულებელს განმარტავს როგორც პროფესიონალს, რომელიც ჩართულია აღსრულებაში, „აღმასრულებელი ნიშნავს პირს, რომელსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება განახორციელოს აღსრულების პროცესი, იმისდა მიუხედავად, ეს პირი სახელმწიფოს მიერ არის დაქირავებული თუ არა“³⁷ აღმასრულებლები საქმიანობას ეწევიან როგორც საჯარო მოხელის სტატუსით ასევე ლიცენზიის საფუძველზე კერძო, დამოუკიდებელი პირების სახით.

აღმასრულებელი საქმიანობის განხორციელებისას უნდა იყოს მიუკერძოებელი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება მიიჩნევა რომ ხელს უწყობს აღსრულების პროცესის ეფექტიანობას. აღმასრულებლის მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა და ამას შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს მათ შორის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ამბობს: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.“³⁸ აღნიშნულ საკითხს ეხება აღსრულების მსოფლიო კოდექსიც სადაც, აღნიშნულია რომ: „სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ დებულებები იმის შესახებ, რომ ყველა შესაბამისმა ორგანომ, იქნება ის საჯარო თუ კერძო, რაც შეიძლება ჩქარა გაუმხილონ აღსრულების განმახორციელებელ პროფესიონალებს ყველა ინფორმაცია, რაც მათ აქვთ მოვალის ადგილსამყოფლის, რეგისტრირებული ან ძირითადი საქმიანობის ადგილის, ისევე როგორც მისი აქტივების შემადგენელი ელემენტების შესახებ. ამ

³⁷ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers’ Deputies) 2003. https://uihj.com/archive-uihj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022.)

³⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი IV სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები, მუხლი 17.

ორგანოებს არ აქვთ უფლება დაფარონ ინფორმაცია პროფესიული კონფიდენციალურობის საბაბით.³⁹

ეფექტური აღსრულების ხელშეწყობის მიზნით CEPEJ-ს 2009 წლის სახელმძღვანელო დირექტივების შესაბამისად რეკომენდებულია, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ, რომელსაც აღსრულების პროცესში საჭირო ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზა გააჩნია, მიაწოდოს ინფორმაცია აღმასრულებელს დადგენილ ვადებში მონაცემთა დაცვის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.⁴⁰ რა თქმა უნდა, ამასთან მიმართებით აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

აღსრულების ფუნდამენტური საკითხია ხელმისაწვდომობა, CEPEJ 2009-ის სახელმძღვანელო მოითხოვს აღმასრულებელთა გეოგრაფიულ გადანაწილებას ქვეყნის მასშტაბით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაძლო მხარეების რაც შეიძლება ფართო დაფარვა. ეს ეხება როგორც ქვეყნებს, სადაც აღმასრულებელი არის საჯარო მოხელე, ასევე ქვეყნებს, სადაც აღსრულება ხორციელდება კერძო აღმასრულებლების მიერ. ასევე, მნიშვნელოვანია, აღმასრულებლის მხრიდან, სათანადო კომუნიკაციის არსებობა მხარეებთან. რაც გულისხმობს როგორც პირდაპირ კომუნიკაციას, ასევე შეტყობინებების ჩაბარების სათანადო მეთოდების არსებობას. მნიშვნელოვანია რომ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იყოს უზრუნველყოფილი. აღმასრულებლებმა უნდა უზრუნველყონ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კომუნიკაციის კარგი სისტემა და მოქმედებების გამჭვირვალებობა სააღსრულებო წარმოების ყველა ეტაპზე, იმ პირობით, რომ ყველა მხარის უფლებები სათანადოდ იქნება დაცული.

აღსრულების პროცედურების ადმინისტრირება აღმასრულებლებისთვის მარტივი უნდა იყოს. უმთავრესად აღმასრულებელს უნდა გააჩნდეს სათანადო დამოუკიდებლობა, მათ შორის გასატარებელი ზომების შერჩევის

³⁹ Global Code of Enforcement. Article 2. https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამოხმობილია 22.05.2022.)

⁴⁰ EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009. P. 43. Guidelines - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int) (გამოხმობილია 22.05.2022.)

თვალსაზრისითაც, რაც კერძო აღსრულების სისტემის შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ მეტად არის დაცული. მათ შორის საქართველოშიც ნაკლებად ხდება კერძო აღმასრულებლის საქმიანობაში ჩარევა, მაშინ როცა საჯარო მოწყობის შემთხვევაში აღმასრულებელს ყავს არა ერთი ზემდგომი და მითითების მიმცემი სააღსრულებო მოქმედების პროცესში.

3. პროცესის ვადები

სახელმწიფოში კანონმდებლობა სრულყოფილად უნდა აღწერდეს სააღსრულებო მოქმედებების ვადებს. საქმის მწარმოებელ აღმასრულებელს ან/და მხარეებს არ უნდა ჰქონდეთ ამ ვადების ინტერპრეტირების საშუალება. CEPEJ-ის სახელმძღვანელო დირექტივებში გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები გონივრულ ვადებში უნდა განხორციელდეს და იმავდროულად წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ ისეთი მოკლე ვადები, რომ აღსრულების პროცესი ხელოვნურად დასრულდეს.⁴¹ აღსრულების მსოფლიო კოდექსი უთითებს, რომ აღსრულება უნდა განხორციელდეს კანონით გაწერილ დროს, ეროვნული კანონმდებლობით დაწესებული დროის გარდა სხვა დროს აღსრულების წარმოება არ უნდა ხდებოდეს⁴².

საგულისხმოა, რომ არა მხოლოდ დროული აღსრულება, არამედ ასევე დღემდე აქტუალურია გადაწყვეტილების გამოტანის დროულობა. სწორედ აღნიშნულ თემაზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ლ. ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁴³ სადაც, აღნიშნულია რომ სასამართლო წარმოება 8 წელი და 11 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, რაც ყოვლად დაუშვებელია. გადაწყვეტილების დროული შეუსრულებლობის მიზეზი

⁴¹ EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009. P. 63. Guidelines - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int) (გამოხმობილია .05.2022.)

⁴² Global Code of Enforcement. Article 7. https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამოხმობილია 22.05.2022.)

⁴³ EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 10 February 2009 Strasbourg. Case Kharitonashvili v. Georgia №41057/04

არ შეიძლება იყოს მოსამართლის უმოქმედობა, ასევე ვერ იქნება გაზიარებული ის გარემოება, რომ საქმის სიმრავლის და ქრონიკული გადაჭარბებული დატვირთულობა გამო ვერ ხდება საქმეების განხილვა. ამასთან მიუთითა იმაზე, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს მისი სისტემის ისე ორგანიზება, რომ გარანტირებულ იქნას უფლების გონივრულ ვადაში გამოყენების შესაძლებლობა.

აღსრულების ორივე მხარისთვის მისაღები პირობებით წარმართვა არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული რომელიმე მხარის მიერ. მაგალითად პროცესის ხელოვნურად გაჭიანურება, რაც ხშირად სააღსრულებო მოქმედებების გასაჩივრებაში შეიძლება იყოს გამოხატული, ერთგვარი გამოწვევაა სახელმწიფოებისადმი, რომ დანერგოს მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება პროცესის ბოროტად გამოყენების პრევენცია. აღნიშნულ თემას აღსრულების შესახებ ევროსაბჭოს კომიტეტის მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ-ს რეკომენდაციაც ეხება და მიუთითებს, რომ სააღსრულებო პროცესი არ უნდა გადაიდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული მიზეზი. გადადება შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლოს მიერ გადასინჯვას⁴⁴. ასევე, რიგ შემთხვევებში წარმოიშობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების აუცილებლობა, რაც ძირითადად გამოწვეულია აღმასრულებლისა და მხარისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებებით, რომლებიც აფერხებს სააღსრულებო წარმოების მსვლელობას. წარმოების შეჩერების შემდგომ, შეჩერების მიზეზების აღმოფხვრისთანავე, ხდება წარმოების გაგრძელება.

საქართველოს კანონმდებლობაც თავისთავად იცნობს როგორც აღსრულების პროცესის შეჩერებას, ასევე გადადებას. საკითხზე აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაკუთრებულ შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით

⁴⁴ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003. https://uihj.com/archive-uihj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022.)

შესაძლებელია აღსრულების შეჩერება⁴⁵, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სადაც, დავის საგანი იყო სწორედ აღნიშნული საკითხის კონსტიტუციურობა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. დაკმაყოფილდა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე.⁴⁶ აღნიშნულით კიდევ ერთხელ მოხდა ხაზგასმა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სასამართლო კონტროლი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას.

აღსრულების შეჩერება შესაძლებელია და მას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მაგალითად მოვალის ქონებრივი მდგომარეობა და ის, რომ იგი შესაძლებელია იყოს ვალაუვალი, თუმცა ეს არ უნდა იყოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის მიზეზი. მსგავს საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე ვ. ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და დადგინდა, რომ მოვალის უსახსრობა შეიძლება იყოს აღსრულების დაყოვნების გამამართლებელი მიზეზი თუმცა, ვერ იქნება გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალის გადაუხდელობის გამართლება⁴⁷. როდესაც საუბარია ძალიან ხანგრძლივ სააღსრულებო წარმოებაზე, ასევე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები გონივრულ ვადებში უნდა განხორციელდეს და არ უნდა დაწესდეს ისეთი მოკლე ვადები, რომ აღსრულების პროცესი ხელოვნურად დასრულდეს. კანონით უნდა იქნეს განსაზღვრული ნათელი და ზუსტი კრიტერიუმები აღსრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს საქმის ხასიათისა და სირთულიდან გამომდინარე.⁴⁸

⁴⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VII აღსრულების გადადება, შეწყვეტა, შეჩერება, აღსასრულებელი დოკუმენტის უკან დაბრუნება მუხლი 36

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2016 წლის 30 სექტემბერი №1/2/596 ;

⁴⁷ EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 7 May 2002 Strasbourg. Case Burdov v. Russia №59498/00

⁴⁸ EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009. P. 63. Guidelines - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int) (გამოხმობილია 22.05.2022.)

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ვხვდებით ჩანაწერს სადაც მითითებულია სააღსრულებო წარმოების ეტაპები: აღსრულების დაწყება; ქონებაზე ყადაღის დადება; აუქციონის ჩატარება; კრედიტორისთვის თანხის გადაცემა⁴⁹. სააღსრულებო წარმოების პროცესი მხოლოდ ამ მოქმედებებისგან არ შედგება, თუმცა ძირითად ეტაპებად თანხის გადახდევინების კატეგორიის საქმეებზე შესაძლოა ეს ეტაპები ვიგულისხმოთ. ყველა ამ ეტაპის უკან დგას პროცედურები რომელთა ვადები ასევე კანონით არის გაწერილი, თუმცა რიგ შემთხვევებში ხდება კანონით გაწერილი ვადების დარღვევა, რაზეც მიუთითებს ის გარემოება, რომ ბიუროს წარმოებაში მრავლად არის დაგროვილი საქმეები. გარდა საქმეების სიმრავლისა ვხვდებით საკანონმდებლო პრობლემებსაც. მაგალითად, ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია უნდა გამოცხადდეს ქონებაზე ყადაღის დადებიდან ერთ თვეში,⁵⁰ კანონის ეს მოთხოვნა როგორც წესი უმეტესობა სააღსრულებო წარმოებაში დარღვეულია. ამას განაპირობებს ისიც, რომ დაყადაღებული ქონება საჭიროებს შეფასებას, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების დეპარტამენტის დებულებით შემფასებელი დამკვეთის წერილობითი მომართვის მიღებიდან 30 დღეში, ხოლო დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, 45 დღეში ამზადებს ქონების შეფასების დასკვნას.⁵¹ მოძრავი ნივთების შემთხვევაში ასევე პრობლემურია დაყადაღებული ნივთების მოვალის საცხოვრებელიდან გამოტანა, რაც ასევე დროს და რესურსს საჭიროებს. კანონმდებლობა და არსებული პრაქტიკა არ არის თანხვედრაში, მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების ასახვა საკანონმდებლო დონეზე.

აღსანიშნავის ის საკითხი რომ კანონი არ შეიცავს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროის განმსაზღვრელ ნორმებს. სააღსრულებო მოქმედებების დროს თავად საქმის მწარმოებელი აღმასრულებელი განსაზღვრავს და ასევე შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ თავად

⁴⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი V აღსრულება მუხლი. 25¹.

⁵⁰ იქვე. თავი XIII იძულებითი აუქციონი მუხლი 69.

⁵¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების დეპარტამენტის დებულება. მუხლი 7.

სააღსრულებო წარმოების მხარეებმა.⁵² ამდენად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეგულაციების ისეთი სახით ჩამოყალიბება, რომ მისი შესრულება შესაძლებელი იყოს აღმასრულებლისთვის და ასევე არ იქნეს დარღვეული რომელიმე მხარის უფლებები.

სააღსრულებო პროცესის იმ ვადების დაცვა, რომელიც კანონით არის დადგენილი, განსხვავებულად ხდება კერძო და საჯარო მოწყობის შემთხვევებში. საქართველოში კერძო აღმასრულებლები, ბევრად უფრო ეფექტურები არიან ვადების დაცვის მხრივ. აღნიშნულს ადასტურებს ჩვენს მიერ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული კვლევა, რომლის მიხედვით სააღსრულებო წარმოების ხანგრძლივობა კერძო აღსრულების შემთხვევაში ბევრად ნაკლებია, ასევე ნაკლებია საქმეთა გაჭიანურება.

4. მხარეთა შორის ბალანსის დაცვა და მედიაცია

სააღსრულებო წარმოების პროცესში მნიშვნელოვანია თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი მხარეთა შორის უფლებათა დაცვის ბალანსი, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესების საუკეთესო გადაწყვეტილებით წარმართონ პროცესი და დაასრულონ წარმოება. აღსრულების პროცესში სათანადო ბალანსი უნდა იყოს დაცული მხარეებს შორის, მათი საუკეთესო ინტერესების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დებულებების გათვალისწინებით.⁵³

წარმოების პროცესში რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესების შეპირისპირება. კრედიტორი მიმართავს სააღსრულებო ორგანოს, რათა მოხდეს გადაწყვეტილების სწრაფი და რეალური აღსრულება. მას ააქვს კანონიერი მოლოდინი და ნდობა სააღსრულებო დაწესებულების მიმართ. მოვალის

⁵² ქურდაძე შ. ქურდაძე გ. ხუნაშვილი ნ. და ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი ნაწილი I. თბილისი. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. 2018 წ. გვ. 258.

⁵³ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003. https://uihj.com/archive-uhj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022)

ინტერესია სააღსრულებო წარმოების პროცესში მაქსიმალურად მოხდეს მისი გათვალისწინება, არ შეეზღუდოს ქონებრივი უფლებები იმაზე მეტად, ვიდრე მისი ვალდებულებაა, თავად ჩაერთოს ისეთ პროცესებში როგორცაა სააღსრულებო მოქმედებების დროის დაგეგმვა, განსაზღვროს უპირატესად რომელი ქონებიდან მოახდინოს ვალდებულების შესრულება და სხვა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღსრულების სფეროს ერთ ერთი წამყვანი ექსპერტი მიუთითებს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (განსაკუთრებით ყოფილი სოციალისტური ქვეყნები) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ქვეყნების უმეტესობაში დისბალანსი არსებობს მოვალისა და კრედიტორის ინტერესებს შორის. მოვალისთვის უფრო ადვილია აღსრულების შეფერხება სამართლებრივი მექანიზმების საკუთარ ინტერესებში გამოყენების გზით.⁵⁴ ამდენად საყურადღებოა სააღსრულებო წარმოების პროცესში არ დაირღვეს ინტერესთა ბალანსი და რომელიმე მხარეს არ მიადგეს დაუსაბუთებელი ზიანი.

მხარეთა ინტერესების დაბალანსება ასევე გულისხმობს პროპორციულობის ბალანსს. სააღსრულებო წარმოებისას დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი. პროპორციულობის პრინციპი ეხება კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს, თუმცა შესაძლოა აგრეთვე შეეხოს გამოსაყენებელი აღსრულების ღონისძიებას. აღსრულების განხორციელებული პრაქტიკული ქმედებები უნდა იყოს მოთხოვნის ოდენობასთან პროპორციული. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2021 წლის 21 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სააღსრულებო ორგანო უნდა ცდილობდეს აღსრულების შედეგის მკვეთრი დისპროპორციის შემცირებას. სწორედ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად მისაღები რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო აღსრულების პროცესში მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას

⁵⁴ უიტდეჰააგი ა. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა. 2013 წ. გვ. 89.

გაითვალისწინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, მხედველობაში მიიღოს სააღსრულებო ზომის პროპორციულობა⁵⁵. აღნიშნულს ეხება აღსრულების მსოფლიო კოდექსი. სადაც, მითითებულია, რომ აღსრულების დონისძიება უნდა იყოს მოთხოვნის ოდენობის პროპორციული⁵⁶.

სააღსრულებო წარმოების განხორციელებისას გვაქვს შეხება ისეთ ძირითად უფლებებთან როგორცაა საკუთრება, თავისუფლება, საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამდენად, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს თანაზომიერების პრინციპი, რომელიც უნდა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი სწორედ აღნიშნულ პრინციპს გამოხატავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია⁵⁷. უფლებათა შეზღუდვის ფარგლები უნდა პასუხობდეს მიზანს, სააღსრულებო წარმოებისას ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც კრედიტორის ასევე მოვალის ინტერესები.

სააღსრულებო წარმოების პროპორციულობის შემოწმებისას შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ ოთხი ძირითადი კომპონენტით 1. შეზღუდვას უნდა ჰქონდეს სათანადო მიზანი, 2. მიღებული ზომები უნდა იყოს რაციონალურად დაკავშირებული ამ მიზნის შესრულებასთან. 3. მიღებული ზომები უნდა იყოს აუცილებელი, ვინაიდან არ არსებობს ალტერნატიული ზომები ნაკლები ზიანის მიყენებით. 4. უნდა იყოს ბალანსი მიღწეული მიზნის მნიშვნელობასა და ძირითადი უფლების შეზღუდვის სოციალურ მნიშვნელობას შორის⁵⁸. ასეთი შედარებებით შესაძლებელია ძირითადი უფლებების შეზღუდვის პროპორციულობის განსაზღვრა.

საერთაშორისო წესები ამახვილებენ ყურადღებას აღსრულებაში მედიაციის მნიშვნელობაზე. CEPEJ 2009 სახელმძღვანელო დირექტივებიდან შესაძლოა დავასკვნათ, რომ აღმასრულებლის როლი სააღსრულებო წარმოებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ აღსრულებით. აღმასრულებელს ასევე შეიძლება

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება Nბს-881(კ-19) <https://www.supremecourt.ge/ka/cases> (გამოხმობილია 06.04.2023.)

⁵⁶ Global Code of Enforcement. Article 27, 28. https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამოხმობილია 22.05.2022.)

⁵⁷ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. მუხლი 18

⁵⁸ I. Constitution, Fundamental Rights and Law of Enforcement 2014. P. 607.

<https://www.ufrgs.br/caar/wp-content/uploads/2014/10/Session-4.2.pdf> (გამოხმობილია 14.05.22.)

“სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომი მედიაციის“ ფუნქციაც დაეკისროს სააღსრულებო წარმოების ეტაპზე.⁵⁹

საქართველოში სულ უფრო და უფრო იხვეწება მედიაციის ინსტიტუტი. მიღებულ იქნა კანონი მედიაციის შესახებ. სადაც განმარტებულია, რომ მედიაცია არის პროცესი რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით⁶⁰. აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს მხარეთა ინტერესების დაცვისა და მედიაციის დეპარტამენტი, რომლის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქმიანობის განხორციელებისას მხარეთა ან/და მესამე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირება, აგრეთვე „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება და მოქნილი სოციალური პოლიტიკის დანერგვა, განვითარება და განხორციელება.⁶¹ აღნიშნული ელემენტების სააღსრულებო წარმოების ეტაპზე შემოტანა და დანერგვით ხელი შეეწყობა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებას, პროცესი წარიმართება მხარეთა საუკეთესო ინტერესების დაცვით. მისასალმებელია აღნიშნული პოლიტიკა, რომლითაც ცალსახად უნდა მოხდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქმის წარმოებისას მხარეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევების მინიმუმამდე შემცირება და გაუმჯობესდეს მხარეთა შორის არსებული უფლებებისა და ინტერესების ბალანსის დაცვა.

პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოს მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას. CEPEJ-ს 2009 წლის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ როდესაც მხარეები ერთმანეთში ათანხმებენ აღსრულების ვადებს, არცერთი პროცედურა არ

⁵⁹ უიტდეჰააგი ა. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა. 2013 წ. გვ. 99.

⁶⁰ საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ. თავი I; მუხლი 2.

⁶¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის მხარეთა ინტერესების დაცვისა და მედიაციის დეპარტამენტის დებულება. მუხლი 2.

უნდა უშლიდეს ხელს ასეთი შეთანხმების განხორციელებას.⁶² „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ვალდებულების შესრულების განწილვადებას⁶³, სადაც არის დათქმა, რომ ვალდებულების შესრულების განწილვადება შესაძლებელია მხოლოდ 12 თვემდე ვადით. აღნიშნული ცალსახად ეწინააღმდეგება საერთაშორისო მიდგომებს და უზღუდავს მხარეებს ნების გამოვლინებას. მიზანშეწონილია მოხდეს ამ ნორმის საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ შესრულების განწილვადების ვადა, აღსრულების საერთო ხანდაზმულობის ფარგლებში. ბიუროს პოლიტიკა გაძლიერდეს მხარეთა ინტერესების დაცვა და მედიაცია სააღსრულებო წარმოების ეტაპზე ასევე მხარდაჭერილი უნდა იქნეს ნორმატიული აქტებით.

ძირითადი კონფლიქტი კრედიტორის აღსრულების უფლებასა და მოვალის ფუნდამენტურ უფლებებს შორის დაძლეულ უნდა იქნას აღმასრულებლის მიერ სწორედ მხარეთა შორის ბალანსის შენარჩუნების გზით. მინიმალური სტანდარტები რაც უნდა იქნეს აღიარებული მოვალის პერსპექტივიდან შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანური ღირსება, საკუთრების დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ოჯახის და პერსონალური მონაცემების დაცვა. ყველა ამ უფლების შეზღუდვა უნდა შესაბამებოდეს მიზანს ამდენად მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპით იყოს მართული სააღსრულებო პროცესი, წახალისდეს მედიაცია და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობით შესრულებას. სააღსრულებო წარმოებისას მნიშვნელოვანია მოვალის ინტერესების დაცვა, რაც თავისთავად უნდა განხორციელდეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საფრთხის შეუქმნელად.

საქართველოს რეალობაში პრობლემები ვლინდება სააღსრულებო წარმოების ეტაპზე - როგორც მხარეთა უფლებების ბალანსის, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით. მოვალისთვის შესაძლებელია, სამართლებრივი მექანიზმების საკუთარი ინტერესების

⁶² EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009. P. 70. Guidelines - European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) (coe.int) (გამოხმობილია 22.05.2022.)

⁶³ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი IV სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები მუხლი 18⁴.

შესაბამისად გამოყენებით შეაფერხოს აღსრულება, რითაც ილახება კრედიტორის უფლება, მიაღწიოს სწრაფ აღსრულებას. ამასთან, კრედიტორსაც აქვს შესაძლებლობა, ბოროტად გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება. როგორც აღვნიშნეთ, აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანია პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინება, რომელიც, როგორც წესი, ეხება კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს და შესაძლოა, შეეხოს უშუალო აღსრულების ღონისძიებას. სააღსრულებო ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნის ოდენობას. პრაქტიკაში აღნიშნულ პრინციპს არ იცავენ. სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე მოვალე რეგისტრირდება მოვალეთა რეესტრში, რითაც ეზღუდება ყველა რეგისტრირებული ქონების განკარგვის უფლება. ამავე დროს, ყადაღდება მოვალის სახელზე რეგისტრირებული ქონება და საბანკო ანგარიშები - მოთხოვნის ოდენობის მიუხედავად, რითაც სამართლიანობის, პროპორციულობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები ირღვევა. ამდენად მნიშვნელოვანია სათანადო სააღსრულებო სისტემის არსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღსრულების პროცესის ბალანსის დაცვით წარმართვა და ამასთან ხელი შეეწყოს სააღსრულებო მედიაციის განვითარებას, რომელიც მეტ წილად განვითარებულია კერძო სააღსრულებო მოწყობის ქვეყნებში.

აღსრულების ძირითადი სტანდარტები და პრინციპები, ასევე ფუნდამენტური მიდგომები მხარეების და მათი უფლებების მიმართ გასათვალისწინებელია ყველა შემთხვევაში, მიუხედავად სააღსრულებო სისტემის მოწყობისა. საფუძვლიანია ეჭვი, რომ კერძო სააღსრულებო სისტემის შემთხვევაში აღნიშნულის მიღწევა ბევრად უფრო მეტ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე საჯარო მოწყობისას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მეტად ცენტრალიზებულად ხდება პროცესის მართვა. ასევე საგულისხმოა, რომ სიტყვა “კერძო”, აღნიშნავს აღმასრულებლის სტატუსს და იგი ფართოდ გამოიყენება, მნიშვნელოვანია რომ ეს ტერმინი სწორად იქნას გაგებული. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინი “კერძო” ქმნის უარყოფით შთაბეჭდილებას პროფესიის მიმართ. საზოგადოებამ შეიძლება დაუკავშიროს აღმასრულებლის საქმიანობა „კერძო მართლმსაჯულებას“, ვალდებულების შესრულების მოთხოვნას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და კონტროლის გარეშე. ტერმინ

„კერძოს“ გამოყენებას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგი მოსახლეობის ნდობაზე სამართლებრივი სისტემის მიმართ და მის სანდოობაზე.⁶⁴ ნათელი უნდა იყოს, რომ აღმასრულებელი არის პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერაა უფლებამოსილია წარმართოს აღსრულების პროცესი

მიუხედავად კერძო თუ საჯარო მოწყობისა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, სათანადოდ იყოს დაცული აღსრულების ძირითადი ღირებულებები და მათ შორის რა თქმა უნდა პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მხარეთ უფლებებს, მათი ინტერესების დაცვას და მედიაციის შესაძლებლობას. აღნიშნული უნდა დარეგულირდეს მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩოთი, რომელიც საერთო იქნება ნებისმიერი სისტემური მოწყობისთვის.

⁶⁴ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 79

თავი III საქართველოს საჯარო და კერძო სააღსრულებო სისტემები

1. ისტორიული ექსკურსი

1.1 გადაწყვეტილებათა აღსრულება ადრეულ ხანაში

საქართველოს სამართლის სისტემის ისტორია საქართველოს სახელმწიფოებრიობის პარალელურად ვითარდებოდა. საისტორიო წყაროების თანახმად, ქართული სახელმწიფოებრიობა და სამართალი ჩვ.წ.ა. პირველ ათასწლეულში ყალიბდება და ბუნებრივია მრავალი ცვლილება განიცადა. ძველ ქართულ სამართალში მრავლად არის ცნობები ადრეული დროის სასამართლოსა და მისი დანიშნულების თაობაზე.

ქართულ სამართალში მოსამართლეობა გამგებლობასა და მართვას ნიშნავდა.⁶⁵ ვინაიდან ფეოდალურ ეპოქაში სასამართლო ხელისუფლება გადაჯაჭვული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, სასამართლოს ფუნქციებს სხვადასხვა ეპოქაში ირგებდნენ მეფე, დარბაზი, მდივანბეგი, ხევისთავი და ასე შემდეგ. ვინაიდან არ არსებობდა გასაჩივრების ზემდგომი ინსტანციები, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამონაკლისის სახით მაინც მეფესთან შეიძლებოდა უსამართლოდ მიჩნეული განაჩენის გასაჩივრება.⁶⁶ მეფის განაჩენი კი გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა. მას ვერცერთი ფეოდალი ვერ შეეწინააღმდეგებოდა. მეფეს შეეძლო თავისი ინიციატივით გადაესინჯა ნებისმიერი განაჩენი ან შეეჩერებინა მისი აღსრულება.⁶⁷ მაშასადამე, მეფე, როგორც უმაღლესი მმართველი, უმაღლესი მოსამართლის მანტიასაც ატარებდა.

მიღებული გადაწყვეტილებები, რა თქმა უნდა, სისრულეში მოყვანას საჭიროებდა. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, იყვნენ პირები, რომლებიც ამა თუ იმ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას იძულებით ახორციელებდნენ. მაგალითად, საერო შინაარსის სამართლის

⁶⁵ იმნაიშვილი ი. ა. შანიძის რედაქციით. 1949წ. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი.

⁶⁶ სურგულაძე, ი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1952წ. თბილისი. გვ. 306.

⁶⁷ კეკელია, მ. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბილისი 1970წ. ტ.1. გვ.119.

ძეგლებიდან გრიგოლ ერისთავთერისთავის დაწერილი შიომღვიმის მონასტრისადმი (1246-1248წ.წ.), რომელიც ეხება შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის საკითხს, ნახსენებია, რომ გრიგოლ ქართლის ერისთავს ჰყავს მოურავი, მამასახლისი, ციხისთავი, გზირი, მსახური და სხვა⁶⁸, ძეგლში ასევე მოხსენიებულია მესაბანჯრე - ცხვრის ფარის ძოვებისთვის გათვალისწინებული საბანჯაროს გადასახადის ამკრეფი, ხოლო გზირი, ადმინისტრაციული შინაარსის დაბალი მოხელეა - ბრძანების ადგილზე მიმტანი და გამომცხადებელი⁶⁹. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის ადმინისტრაციულ დაყოფებში გვხვდება ისეთი ტიპის მოხელე, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სამართლებრივი ძეგლია ხელმწიფის კარის გარიგება, არავითარი პირდაპირი ცნობები არ მოიძებნება, თუ როდის არის ის შედგენილი. ამის გამორკვევას მისი შინაარსი და მასში აღნიშნული ისტორიული ამბები ეხმარება⁷⁰. კარგად ჩანს, თუ რა უფლება-მოვალეობანი გააჩნდათ სახელმწიფოს სხვადასხვა რანგის მოხელეებს და თუ როგორ უნდა აღესრულებინათ მათზე დაკისრებული საქმეები. მასში გაწერილია სახელმწიფო წყობის მართვა-გამგეობისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის წესები. ამ ძეგლით ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე.

საყურადღებოა ვახტანგ VI დასტურლამალი, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი ისტორიული წიგნი. ის ქართული სახელმწიფოს სამართლის უმთავრეს ძეგლს წარმოადგენს (1707-1709წ.წ.) მასში მოყვანილია სხვადასხვა საკანონმდებლო მასალა. მათ შორის ისეთიც, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფალთა და მათდამი დაქვემდებარებულ მოხელეთა წესისა და რიგის დადგენას. აღნიშნული წყაროები იუწყება, რომ მოხელეს, რომელსაც განკარგულებისა და ბრძანების გაცემა შეეძლო, ხელისუფალი და გამგებელი ერქვა, ბრძანების ამსრულებელ მოხელეს კი საქმის მოქმედი, რომელიც შედარებით

⁶⁸ სურგულაძე, ი. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები 2002წ. გვ.38.

⁶⁹ სურგულაძე, ი. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები 2002წ. გვ.45.

⁷⁰ თაყაიშვილი, ე. (რედ) ხელმწიფის კარის გარიგება 1920წ. გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი.

დაბალი თანამდებობის მცირე მოხელე იყო. საქმის მოქმედს სისრულეში უნდა მოეყვანა ხელისუფალის ყოველგვარი განკარგულება, სამოხელეო მოვალეობის შესრულებისას დადგენილი წესით⁷¹ უნდა ეხელმძღვანელა. აღნიშნული იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ამ დროის საქმის მოქმედნი დღევანდელი აღმასრულებლების მსგავსნი არიან. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მათ განსაზღვრული ჰქონდათ წესი, თუ როგორ უნდა ემოქმედათ.

ასევე, უნდა აღინიშნოს მდივანბეგის ინსტიტუტი. მდივანბეგი ანუ მსაჯულთუხუცესი ქართლის სამეფოს უმაღლესი მსაჯული იყო, ვახტანგის სამართლის წიგნის⁷² მიხედვით იგი იყო მოსამართლეთა უფროსი, მთავარი მოსამართლე, რომელსაც სამართლის ქმნა ევალებოდა. მას უნდა გაერჩია ყველა საჩივარი და სარჩელი⁷³, აქედანვე ირკვევა, რომ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული მას წინასწარ მეფისთვის უნდა ეცნობებინა, რომელიც სამეფოს უზენაესი მსაჯული იყო. მდივანბეგი და სასამართლოს სხვა წევრები საბჭოდ მეფის ბრძანებით სხდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებული და საგანგებო საქმის განხილვა თავად მეფის კომპეტენციაში შედიოდა. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ მდივანბეგის კომპეტენციაში შედიოდა როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო საქმეების განხილვა. მდივანბეგის სასამართლოში შედიოდნენ: 1. მდივანბეგი ანუ მსაჯულთუხუცესი, რომელიც ასევე იყო სასამართლო წარმოების მაკონტროლებელიც. ის იყო სამდივანბეგო სასამართლოს თავმჯდომარე; 2. მსაჯულნი ანუ მოსამართლენი; 3. მდივანი, რომელიც ადგენდა ოქმებს და წერდა განაჩენს; 4. იასაულნი, რომელიც ორ კატეგორიად იყოფოდნენ. ერთნი ახდენდნენ გამომძიებელ-გამომკითხველის ფუნქციას, ხოლო მეორე კატეგორიის იასაულებს დამნაშავე უნდა შეეპყროთ და განაჩენი სისრულეში მოეყვანათ. 5. მემათრახენი და 6. მოწმის მაძებარნი.⁷⁴

⁷¹ გაბაშვილი, ვ. დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით ენიშნის მოამბე 1943წ. გვ. 163.

⁷² იქვე. გვ. 181.

⁷³ იქვე. გვ. 181.

⁷⁴ იქვე. გვ. 184.

საინტერესოა იასაულის ინსტიტუტი. იასაული სულხან-საბას განმარტებით ქართულად მანდატურს ნიშნავს⁷⁵. იასაული, როგორც ვიწრო აღმასრულებელი ფუნქციის შემსრულებელი, მმართველობის მრავალ უწყებას ემსახურებოდა. დასტურლამალში გვხვდება მრავალი სახის იასაულები იმისდა მიხედვით, თუ რომელ სამსახურს ეწეოდნენ ისინი: დაცვის სამსახურს, სასამართლოს გადაწყვეტილებას ან განაჩენის სისრულეში მოყვანის და სხვა. იასაულს ევალეობდა არა მარტო გადაწყვეტილებათა და ოქმების, არამედ მეფის ან სხვა სათანადო უფლებამოსილ პირთა ცალკეულ ბრძანება განკარგულებათა და ზოგჯერ ზეპირი მითითებების აღსრულებაც. ამრიგად, იასაული ქართულ სამართალსა და სამოხელეო წყობაში ზოგადი ცნებაა და იგი სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად აღმსრულებელია. იასაულზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მოთხოვნის ხარისხიანი და დროულად აღსრულება, ამიტომ საქმის აღსრულებით დაინტერესებული მხარე ყოველთვის ითხოვდა ობიექტურ იასაულს.

გამოკვლეულ იქნა, თუ როგორი იყო აღსრულების წესი ქართულ ჩვეულებით სამართალში. ტრადიციული ქართული სამართალი რელიგიური პოსტულატებიდან მომდინარეობს. ფეოდალური ხანის საქართველოში საერო და საეკლესიო სამართალი გვერდიგვერდ არსებობდა. ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი შეიცავდა როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხასიათის დადგენილებებს. ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სასამართლოები მთელ საქართველოში იყო. მას ზნეობით გამორჩეული და სამართლის მცოდნე პირები აღასრულებდნენ. მაგალითად, სვანეთში მათ მოურავები (მორევეები) ერქვათ; ფშავში ფშაურ რჯულით ყოველგვარ საქმეს განიხილავდნენ და გადაწყვეტდნენ თემის მიერ არჩეული ხევისბერები და რჯულის კაცები; ხევსურეთში ასევე რჯულის კაცები; ქართლში იყო ამორჩეული კაცების ინსტიტუტი და სხვა. მსაჯული და მედიატორი ხალხის რწმენით, ღვთის კაცია, რადგან საღვთო საქმეს მშვიდობის და სამართლიანობის დამყარებას ემსახურება. იგი ახორციელებდა მართლმსაჯულებას და თავისივე გამოტანილი გადაწყვეტილება თავადვე

⁷⁵ ორბელიანი სულხან-საბა (1991) ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ.

მოჰყავდა სისრულეში.⁷⁶ კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც საქმეები ირჩეოდა და ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება, იყვნენ პირები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფას ახდენდნენ.⁷⁷

აღსრულების დანიშნულებისა და აღმასრულებლის საქმიანობის რეტროსპექტივაში კვლევის შედეგად უნდა ითქვას, რომ საქართველოში სახელმწიფოებრიობის განვითარების პარალელურად, სამართლის სისტემაც ვითარდებოდა და იქ, სადაც საქმეებს არჩევდნენ და გადაწყვეტილებას იღებდნენ, იყვნენ პირები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მის შესრულებას. ისტორიული მონაცემებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოდითგანვე არსებობდა აღსრულების სახელმწიფო ინსტიტუტი და ფუნქციური აღსრულების მექანიზმები.

1.2 გადაწყვეტილებათა აღსრულება საბჭოთა საქართველოში

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღსრულება საბჭოთა პერიოდში, რომელიც 30-იანი წლების საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში ჩამოყალიბდა. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა საქართველოს აღსრულების სისტემა, რომელიც სრული სახით შეიქმნა 1938 წელს მიღებული კანონის „სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების შესახებ კანონის“⁷⁸ შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისტემის მიერ უარყოფილი იყო კერძო საკუთრება და პრიორიტეტი ენიჭებოდა სახელმწიფო და კოოპერაციულ საკუთრებას და სწორედ ამაზე იყო მორგებული სააღსრულებო კანონმდებლობაც.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში განასხვავებდნენ რამდენიმე სტადიას. ესენი იყო: სასამართლოში საქმის აღძვრა, საქმის წინასწარი მომზადება, საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, საჩივრისა და პროტესტის განხილვა საკასაციო ან ზედამხედველობის წესით ზემდგომ სასამართლოში, საქმის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და სასამართლო

⁷⁶ ჟორდანია გ. სახალხო სასამართლოები გაზეთი : „ზაკავკაზიე“ №257 თბილისი 1911.

⁷⁷ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 6-8

⁷⁸ კანონი სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ. გამომც. „სახელგამი“. თბილისი 1939წ.

გადაწყვეტილებათა აღსრულება. ამრიგად, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება სამოქალაქო სამართლის პროცესის დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენდა და სწორედ ამ სტადიაში ეძლეოდათ მხარეებს შესაძლებლობა, განეხორციელებინათ სასამართლოს გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლება.

აღსრულებას იცნობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი⁷⁹, რომლის თანახმად, დაზარალებულს შეეძლო აღედრა სამოქალაქო სარჩელი ბრალდებულისა და იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ეკისრებოდა მატერიალური პასუხისმგებლობა ბრალდებულის მოქმედებისათვის.

საბჭოთა სააღსრულებო სისტემას გააჩნდა სააღსრულებო დოკუმენტის გაცემის წესი. საბჭოთა სასამართლოს აღმასრულებელს გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავდა სათანადო სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც სასამართლო გასცემდა გადაწყვეტილების, განაჩენისა და დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

სააღსრულებო ფურცლის მიღების შემდგომ აღმასრულებელი იწყებდა საქმის წარმოებას. გამოვყოფდით იმ გარემოებას, რომ კანონი მოსამართლეს ავალდებულებდა ყოველდღიურ რეჟიმში გაეწია კონტროლი სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობაზე, ვინაიდან სწორედ მოსამართლეები იყვნენ პასუხისმგებელი სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ სააღსრულებო წარმოების ეტაპებსა და მაშინდელ განსახორციელებელ ქმედებებს შორის ბევრი საერთოა. საბჭოთა წარსულის გავლენა იგრძნობა თითქმის ყველა სფეროში და მათ შორის სააღსრულებო წარმოებაშიც.⁸⁰

⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 14. „საბჭოთა საქართველო“ 1963წ. თბილისი.

⁸⁰ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 9-10

2. თანამედროვე პერიოდის აღსრულება

2.1 აღსრულება როგორც სასამართლოსგან დამოუკიდებელი სტრუქტურა

1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შემდეგ, 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სხვადასხვა ინსტიტუტის და მათ შორის სააღსრულებო სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილება. საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. რომელიც აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების, არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს.⁸¹ კანონი ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისს.

მანამდე კი, 90-იანი წლების საქართველოში სასამართლო აღმასრულებლები ექვემდებარებოდნენ შესაბამის რაიონულ სასამართლოებს და განთავსებულნი იყვნენ სასამართლოს შენობაში. აღსრულების სისტემა რეალურად არსებობდა მხოლოდ იმ რაიონულ სასამართლოებში, სადაც წარმოდგენილი იყვნენ სასამართლო აღმასრულებლები. აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ სასამართლო პროცესის გაგრძელებას. არ იკვეთება სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომელიც ახდენდა აღნიშნული პირების კოორდინირებას, პრაქტიკის ერთგვაროვნებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს. 1999 წელს სასამართლო სისტემიდან სასამართლო აღმასრულებლები გამოცალკევდნენ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სააღსრულებო დეპარტამენტი⁸².

⁸¹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი I ზოგადი დებულებანი მუხლი 1.

⁸² გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 10.

სააღსრულებო დეპარტამენტს კონტროლს უწევდა იუსტიციის სამინისტრო და იგი წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს. სამსახურს ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავდა ორი მოადგილე. ერთი - აღმოსავლეთ, მეორე კი დასავლეთ საქართველოს კურირებდა. მათ დაქვემდებარებაში იყო სააღსრულებო წარმოების განყოფილება, სადაც ხდებოდა შემოსული განცხადებებისა და პრეტენზიების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება. რაც შეეხება აღმასრულებლებს, ისინი კვლავ სასამართლო აღმასრულებლად იწოდებოდნენ და ერთიანდებოდნენ ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროების მიხედვით. სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელობდა ბიუროს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა იუსტიციის მინისტრი სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.⁸³

2000 წელს, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, სააღსრულებო დეპარტამენტთან ერთად არსებობა დაიწყო და დღემდე ფუნქციონირებს აღსრულების პოლიცია⁸⁴.

2.2 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

2008 წელს განხორციელდა მორიგი, სტრუქტურული ცვლილება და ჩამოყალიბდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - აღსრულების ეროვნული ბიურო. ამ ცვლილების საფუძველზე კიდევ უფრო გაიზარდა სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითად და უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა.⁸⁵ სააღსრულებო წარმოებისას ხელმძღვანელობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით და სხვა საკანონმდებლო თუ

⁸³ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 10-11

⁸⁴ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2000 წლის 5 დეკემბერი კანონი №636.

⁸⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №220 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 3.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. ბიუროს ორგანიზაციული მოწყობა განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის №220 ბრძანებით აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების თაობაზე.

აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო პროცესის მართვას უზრუნველყოფს ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით. ტერიტორიულ სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელობს სააღსრულებო ბიუროს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.⁸⁶ დღეის მდგომარეობით აღსრულების ეროვნული ბიუროს შემადგენლობაში შედის რვა ტერიტორიული სააღსრულებო ბიურო. ბიუროებისათვის სამოქმედო იურისდიქცია განსაზღვრულია და უფლებამოსილებას ახორციელებენ ტერიტორიული პრინციპის დაცვით.

სააღსრულებო ბიუროები ძირითადად დაკომპლექტებულია აღმასრულებლებით, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სააღსრულებო პროცესს. აღმასრულებლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.⁸⁷ სააღსრულებო წარმოების განხორციელების მიზნით, ყველა სააღსრულებო ბიუროში დასაქმებულ აღმასრულებელს განსაზღვრული აქვს სამოქმედო ტერიტორია. სააღსრულებო ფურცელი და აღსასრულებელი გადაწყვეტილება წარედგინება აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.⁸⁸ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით.

აღსანიშნავია, რომ ცვლილება განიცადა სააღსრულებო პოლიციის სტრუქტურამაც. დღეს უკვე აღსრულების პოლიციის სამმართველო წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს.⁸⁹ სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და

⁸⁶ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი II აღსრულების ორგანოები, მუხლი 5.

⁸⁷ იქვე. თავი II აღსრულების ორგანოები მუხლი 4 პუნქტი 6.

⁸⁸ იქვე. თავი V აღსრულება, მუხლი 25.

⁸⁹ იქვე. თავი III¹ აღსრულების პოლიცია.

ანგარიშვალდებულია მის წინაშე. სააღსრულებო პოლიციის სამმართველოს მიზანია აღმოუჩინოს დახმარება აღმასრულებლებს და დაიცვას ისინი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, აგრეთვე უზრუნველყოს აღსრულების პროცესში მონაწილე სხვა პირების უსაფრთხოება, უზრუნველყოს სააღსრულებო მოქმედებების უსაფრთხო პირობებში ჩატარება და სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი.⁹⁰

აღსრულების პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე მინისტრთან შეთანხმებით, ხოლო აღსრულების პოლიციელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. აღსრულების პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, მასზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და შესაბამისად სარგებლობს სოციალური დაცვით. პოლიციელის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო.⁹¹

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას აღსრულების პოლიციელი არის ხელისუფლების წარმომადგენელი და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა. მისი მოთხოვნების შეუსრულებლობა და პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით⁹².

სააღსრულებო პოლიციის სამმართველოს უფროსის და პოლიციელის უფლება–მოვალეობები დარეგულირებულია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით; საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით. აქვე აღსანიშნავია, რომ აღსრულების პოლიციის სამმართველოს პოლიციელებს ენიჭებათ სპეციალური წოდება, წოდების მინიჭება ხდება თანამდებობრივი მდგომარეობის,

⁹⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №923 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 4.

⁹¹ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 10-14

⁹² იქვე. მუხლი 8.

ნამსახურობის წლების, კვალიფიკაციისა და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად⁹³.

2.3 ელექტრონული მმართველობა

აღსანიშნავია ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით აღსრულების სისტემაში გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის სააღსრულებო წარმოების ელექტრონული პროგრამის შექმნა. 2010 წლის 1 იანვრიდან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სააღსრულებო საქმის წარმოება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით დაიწყო.⁹⁴ პროგრამა წარმოადგენს ელექტრონულ სააღსრულებო წარმოებას. ეს არის მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობა ყველა იმ სააღსრულებო მოქმედების შესახებ, რომელიც ტარდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ. ელექტრონული სააღსრულებო წარმოების პროგრამის მეშვეობით მუშაობამ მნიშვნელოვნად დაზოგა ადამიანური და დროის რესურსი, პროცესი გახდა გამჭვირვალე, ცალკეული სააღსრულებო პროცედურების განხორციელება კი ბევრად მოქნილი და ეფექტური.⁹⁵

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ სააღსრულებო წარმოების შესახებ მონაცემები გამოტანილია ვებ-გვერდზე,⁹⁶ რომლის საშუალებითაც აღსრულებაში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ მყისიერად გაეცნონ დეტალურ ინფორმაციას სააღსრულებო საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მიიღონ საქმეში არსებული მასალები და თვალი მიადევნონ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის პროცესს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სააღსრულებო წარმოების პროცესში ელექტრონული აუქციონის დანერგვა. ინტერნეტ აუქციონმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქონლის გაყიდვის გზები. ელექტრონული ვაჭრობა ბევრად უფრო მოქნილი და მარტივია, ამასთან მასში მონაწილეობა მსოფლიოს ნებისმიერი

⁹³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №242 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომსახურებისთვის სპეციალური წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4.

⁹⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №221 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2.

⁹⁵ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 14-15

⁹⁶ აღსრულების ეროვნული ბიურო. <https://nbof.reestri.gov.ge/> (გამოხმობილია 01.05.22.).

წერტილიდან არის შესაძლებელი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მომხმარებლების რაოდენობას⁹⁷.

აღსრულების ეროვნული ბიუროც არ ჩამორჩა განვითარებებს. ბიურო დარბაზში აუქციონის წესით ქონების რეალიზაციიდან, 2011 წლის თებერვალში, სრულად გადავიდა ელექტრონულ აუქციონზე.⁹⁸

დარბაზში აუქციონის ჩატარება მეტ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ვერ ხდებოდა აუქციონის შესახებ ინფორმაციის სათანადოდ გავრცელება, გაზეთის საშუალებით ინფორმირება ვერ ფარავდა ყველა პოტენციურ მყიდველს. ამასთან აუქციონს როგორც წესი ესწრებოდა მოვალე მხარე რომელიც, ახდენდა ემოციურ გავლენას მყიდველებზე. აუქციონის ჩატარება მოითხოვდა მეტ დროს და მასზე იხარჯებოდა დიდი რესურსი. ხშირი იყო აუქციონის გასაჩივრებები და ისმებოდა კითხვები აუქციონის სანდოობასთან დაკავშირებით.

ყველაფერ ამის და ციფრული განვითარებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა სააღსრულებო წარმოების ეტაპზე ვაჭრობა გამხდარიყო ელექტრონული. შემუშავდა რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები და მეთოდები, მათ ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო კარგი პრაქტიკა. რეფორმის შდეგად: გაიზარდა აუქციონში მონაწილეთა რაოდენობა, შეიქმნა მეტად კონკურენტუნარიანი გარემო, მიღწეულ იქნა სრული გამჭვირვალობა; გამოირიცხა კორუფციული რისკები, გაუმჯობესდა დროის და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, მნიშვნელოვნად შემცირდა აუქციონის გასაჩივრებები. სააღსრულებო წარმოების ეტაპზე ელექტრონული ვაჭრობა წარმატებულ რეფარმად უნდა შფასდეს.

2010 წლის 1 იანვრიდან კიდევ ერთ ინოვაციას ჩაეყარა საფუძველი, ამოქმედდა მოვალეთა რეესტრი, რომელიც არის სისტემატიზებული ელექტრონული ერთობლიობა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნთა მონაცემების შესახებ, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს აღსრულება, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და უზრუნველყოფილი

⁹⁷ Encyclopedia Britannica auction Definition | Britannica Money (გამოხმობილია 25.05.22.)

⁹⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №21 იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ.

მოთხოვნის მოვალისა. პირი მოვალეთა რეესტრში შეიტანება დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ დაიწყება სააღსრულებო წარმოება.⁹⁹ მოვალეთა რეესტრი აერთიანებს მოვალეების შესახებ ინფორმაციას და ამავდროულად წარმოადგენს მოვალის სახელზე სამომავლოდ რეგისტრირებული ქონების მოძიების სწრაფ საშუალებას. იგი ითვალისწინებს სახელმწიფო, საბანკო და სხვა დაწესებულებების ვალდებულებას, რომ მათ რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ ქონების რეგისტრაციისთანავე და ასევე საბანკო დაწესებულების მიერ, რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ ახალი საბანკო ანგარიშების გახსნისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია საქმის მწარმოებელ აღმასრულებელს. ამასთან აღნიშნულ ქონებაზე გაავრცელონ ყადაღა.¹⁰⁰ მრავალი ევროპული ქვეყნის მისწრაფებაა ასეთი ტიპის მოვალეთა რეესტრის ჩამოყალიბება.¹⁰¹

2.4 აღმასრულებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრობა

აღსრულების ეროვნული ბიურო, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდა აღმასრულებელ მოხელეთა საერთაშორისო ასოციაციასთან, ასოციაციის წევრობის საკითხზე.

აღმასრულებელ მოხელეთა საერთაშორისო ასოციაცია (UIHJ) დაფუძნდა 1952 წელს.¹⁰² ამჟამად მას 88 წევრი ქვეყანა ჰყავს. ის ხელს უწყობს ეროვნული, სამართლებრივი პროცესების და საერთაშორისო შეთანხმებების გაუმჯობესებას. იგი არის გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრი. ის არის ევროსაბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის მუდმივი დამკვირვებელი წევრი.¹⁰³ მასში პროფესიონალი და პრაქტიკოსი ექსპერტები მუშაობენ პროცედურულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო შეთანხმებებზე; აღმასრულებელთა პროფესიის გაძლიერებისა და გამრავალფეროვნების მიზნით, ხელს უწყობენ ახალი იდეების, პროექტებისა და ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებას მსოფლიოში. ასოციაციაში ახალი წევრის მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოს ასოციაციის საერთაშორისო

⁹⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი IV¹ მოვალეთა რეესტრი, მუხლი 19¹.

¹⁰⁰ იქვე. თავი IV¹ მოვალეთა რეესტრი, მუხლი 19².

¹⁰¹ შუშკე ვ. სააღსრულებო სამართალი. თბილისი 2011წ. 48გვ.

¹⁰² აღმასრულებელ მოხელეთა საერთაშორისო ასოციაცია Home (uihj.com) (გამოხმობილია 12.02.23.)

¹⁰³ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 20017წ. გვ. 15.

კონგრესი წარმოადგენს, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ იკრიბება. 2012 წლის 2-4 მაისს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ კეიპტაუნში გამართულ აღმასრულებელთა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესში მიიღო მონაწილეობა. სწორედ 2012 წელს, 21-ე კონგრესზე გახდა აღსრულების ეროვნული ბიურო ასოციაციის სრულფლებიანი წევრი, სადაც ორასამდე მონაწილე დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გაწევრიანებას და ხაზგასმით აღნიშნა ის წარმატებები, რაც უკანასკნელ წლებში გატარებული რეფორმების შედეგად იქნა მიღწეული საქართველოს აღსრულების სისტემაში¹⁰⁴.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო სხვადასხვა ქვეყნის სააღსრულებო სისტემის წარმომადგენლებთან. შეისწავლა მათი სამუშაო სპეციფიკა და ის სიახლეები, რაც დანერგილია სააღსრულებო საქმიანობის სფეროში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სექტემბერში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აღმასრულებელთა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციაში 35-მდე ქვეყნის 150 დელეგატი მონაწილეობდა.¹⁰⁵ კონფერენცია ეძღვნებოდა აღსრულების პროცესში ახალ ტექნოლოგიებსა და ციფრული მმართველობის დანერგვის საკითხებს. ღონისძიებას საქართველოს იუსტიციის მინისტრი, აღმასრულებელთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი, მმართველი საბჭოს წევრები და სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები ესწრებოდნენ. სერვისების გაციფრულების და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით აღსრულების ეროვნულ ბიუროში არაერთი სიახლეა დანერგილი, მათ შორის, ციფრული არქივი, ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, გამარტივებული საქმისწარმოების პლატფორმა და სხვა თანამედროვე ციფრული სერვისები.¹⁰⁶

¹⁰⁴ აღსრულების ეროვნული ბიუროს http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=5245 (გამოხმობილია 01.05.22.).

¹⁰⁵ აღსრულების ეროვნული ბიურო http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32&info_id=8716 (გამოხმობილია 10.02.23.).

¹⁰⁶ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 15-16.

2.5 „არასააღსრულებო“ სერვისები

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, სხვადასხვა ქვეყნის სააღსრულებო სისტემების მუშაობის და სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სერვისების გაცნობის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომხდარიყო აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის გაფართოება და გარდა, ძირითადი სააღსრულებო წარმოების პროცესისა, დანერგილიყო ახალი „არასააღსრულებო“ სერვისები. სწორედ ამ მიზნის ფარგლებში დაინერგა ახალი სერვისები.

2012 წლიდან აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამარტივებული წარმოების მომსახურება ამოქმედდა, წარმოების ეს ფორმა განიხილავს თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ ვადამოსულ მოთხოვნებს, რომელზეც არსებობს ვალის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება და რომელიც არ უკავშირდება რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებას¹⁰⁷.

გამარტივებული წარმოების სერვისი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და აპრობირებული. საქართველოში ამ მომსახურების დანერგვაც სწორედ შვედური და ფრანგული გამოცდილების, სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით განხორციელდა. აღსრულების ეროვნულ ბიუროში დანერგილი გამარტივებული წარმოების მოდიფიცირებული მომსახურება მხარეებს საშუალებას აძლევს დავა შედარებით სწრაფად, ეფექტურად, ორივე მხარისთვის მისაღები პირობებით და ნაკლები დანახარჯებით მოაგვარონ.

გამარტივებული წარმოების მონაწილე სუბიექტები არიან აპლიკანტი და რესპონდენტი. „აპლიკანტი არის პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული ფულადი სახის ვადამოსული მოთხოვნა და რომელიც მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით, ხოლო რესპონდენტი არის პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აპლიკანტის მოთხოვნა“¹⁰⁸. წარმოების დაწყებისთანავე რესპონდენტს უშუალოდ ბარდება შეტყობინება მის წინააღმდეგ მიღებული

¹⁰⁷ აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ. გვერდი https://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=690 (გამოხმობილია 01.05.22.).

¹⁰⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი XVI ¹ გამარტივებული წარმოება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით მუხლი 91³

აპლიკაციის შესახებ და პარალელულად განემარტება ის შესაძლო ნეგატიური შედეგი, რომელიც მის მიერ ვალის გადაუხდელობას შეიძლება მოჰყვეს.

გამარტივებული წარმოება მედიაციის ელემენტებს შეიცავს. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ შეთანხმდნენ ფულადი ვალდებულების ოდენობის ან გადახდის ვადის თაობაზე, მხარეებს ექმნებათ რეალური შესაძლებლობა მიაღწიონ ორმხრივად მისაღებ შედეგს. საბოლოოდ გამარტივებული წარმოების შედეგად გამოიციმა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ რომელიც არის აღსრულების ქვემდებარე აქტი.¹⁰⁹

აღსრულების ეროვნული ბიუროს ეს მომსახურება ფასიანია. გამარტივებული წარმოების საფასური არის გამარტივებული წარმოებისას აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების საფასური.¹¹⁰ აპლიკანტის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარდგენისას ხდება სააპლიკაციო საფასურის გადახდა, და შესაძლებელია მისი რესპონდენტზე დაკისრების მოთხოვნა, ხოლო ძირითად საფასურს იხდის რესპონდენტი მის მიერ დავალიანების ან დავალიანების ნაწილის დაფარვის დროს.¹¹¹

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 2012 წლის აგვისტოდან მომხმარებლებს ახალი მომსახურება ფაქტების კონსტატაცია შესთავაზა. სერვისი დაინერგა ფრანგული და ჰოლანდიური გამოცდილების საფუძველზე, ამ ქვეყნების წარმომადგენელი ექსპერტების რეკომენდაციებით, სოციალური კვლევისა და მისი შედეგების გათვალისწინებით.

აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ფაქტების კონსტატაციას დაინტერესებული მხარის მიმართვის ან სასამართლო დავალების საფუძველზე. ფაქტების კონსტატაცია გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ

¹⁰⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი I ზოგადი დებულებანი მუხლი 2

¹¹⁰ იქვე. თავი XVI ¹ გამარტივებული წარმოება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით მუხლი 91¹⁰

¹¹¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 144 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 10.

არსებული მდგომარეობის ასახვას. იგი გამოიყენება ისეთ გარემოებებთან მიმართებით, რომელთა აღქმა და აღწერა შესაძლებელია. ფაქტების კონსტატაცია დასაშვებია დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ფაქტების კონსტატაციის შესახებ დგება ოქმი, რომელიც შემდგომ შესაძლებელია მტკიცებულებად იქნას გამოყენებული.¹¹²

ფაქტების კონსტატაცია არის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანაზღაურებადი საქმიანობა. მისი საფასურის ოდენობა და გადახდის პირობები, ასევე ფაქტების კონსტატაციის შედეგად მიღებული მტკიცებულებების შენახვის ვადა, საფასურის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.¹¹³

ფაქტების კონსტატაცია უნიკალური საშუალებაა მომხმარებლისთვის დააფიქსიროს ფაქტი, ამ სერვისით მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს: ქონების გაქირავებამდე მისი მდგომარეობის ასახვისათვის; სამეზობლო დავებისას; ჩუქების; გაყრის; ქონების გაყოფის; მემკვიდრეობით მიღების დროს ქონების სრული ინვენტარიზაციისათვის; შესრულებული სამუშაოს აღწერისთვის, მაშინ, როდესაც დამზადებული ნივთი ან საქონელი არ აკმაყოფილებს კონტრაქტის პირობებს; საავტორო უფლებების დაცვისათვის; ელექტრონული მიმოწერის, დაფიქსირებისათვის; განქორწინების პირობების შეუსრულებლობისას; სტიქიური უბედურების ან და მრავალი სხვა სიტუაციებისას ფაქტის დასადაგენად.

ფაქტების კონსტატაციის სერვისი მნიშვნელოვნად ამცირებს სასამართლო პროცესების ხანგრძლივობას მტკიცების სტადიის ხარჯზე; ვინაიდან მისი ოქმი სასამართლოში მტკიცებულებად გამოიყენება. ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერებას და ახდენს უფლებათა წინასწარგანზრახული დარღვევის პრევენციას.

ფაქტების კონსტატაცია არ წარმოადგენს დავის მოგვარების ინსტიტუტს, მაგრამ პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ამ სერვისის გამოყენების შემთხვევაში როდესაც

¹¹² საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი XVI² ფაქტების კონსტატაცია მუხლი 2.

¹¹³ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 144 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 11.

მტკიცებულების სიცხადიდან და მისი მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ორივე მხარე მეტ ნაკლებად იაზრებს სასამართლო დავის სავარაუდო დასასრულს, მხარეები თავად რიგდებიან სასამართლოს გარეშე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, ამ სერვისის როგორც ძალიან კარგი ინსტრუმენტის გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად აამაღლოს ჩვენს სახელმწიფოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.¹¹⁴

აღსრულების ეროვნული ბიურო 2009 წლიდან სთავაზობს მომხმარებლებს შეფასების სერვისს. აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს შეფასების დეპარტამენტი, რომლის მიზანია აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, შეფასებასთან დაკავშირებული საჭიროებების დროული და ხარისხიანი უზრუნველყოფა, აგრეთვე, მესამე პირებისათვის შეფასების მომსახურების გაწევა.¹¹⁵ ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ შეფასების დეპარტამენტი არა მხოლოდ აღსრულების მიზნებისთვის, არამედ ნებისმიერი პირის მომართვის საფუძველზეც ახდენს ქონების შეფასების მომსახურების გაწევას. შეფასება ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების და მოქმედი კანონმდებლობათა სრული დაცვით, სერტიფიცირებული შემფასებლების მიერ. სერვისის ღირებულება განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით¹¹⁶ და იგი მიბმულია შესაფასებელი ქონების სახეობაზე.

უნდა აღინიშნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სწრაფვა მუდმივი განვითარებისკენ და ის, რომ ბიურო არ უშინდება ახალ-ახალ გამოწვევებს და „არასააღსრულებო“ სერვისების დანერგვა და არსებობა კიდევ უფრო აფართოებს აღსრულების ეროვნული ბიუროს დანიშნულებას.

¹¹⁴ უიტდეჰააგი ა. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა - ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში. გვ. 398-399

¹¹⁵ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2.

¹¹⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №144 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე დანართი №1.

3. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი

3.1 სისტემის დანერგვა

2008 წლიდან იწყება საქართველოში კერძო სააღსრულებო სისტემის დანერგვა. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღება სააღსრულებო სისტემის რეფორმირების ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ. საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 19 დეკემბერს მიიღო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც კერძო სააღსრულებო საქმიანობის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ პროექტის შესაბამისად, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.

ვინაიდან საქართველოს არ ჰქონდა კერძო სააღსრულებო საქმიანობის გამოცდილება, მიზანშეწონილად ჩაითვალა ორივე სისტემის თანაარსებობა და ქვეყანაში დღემდე ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო აღსრულება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სახით, ასევე კერძო აღსრულება, დამოუკიდებელი კერძო აღმასრულებლების სახით.

3.2 კერძო აღმასრულებელი

კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე¹¹⁷. სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიას შესაბამისი წესით გასცემს აღსრულების ეროვნული ბიურო.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს კრედიტორის მიმართვისა და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სააღსრულებო საქმიანობად ასევე მიიჩნევა, დაინტერესებული პირებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით.

¹¹⁷ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14⁶.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია და შეზღუდვები. კერძოდ: კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები და თუ სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს¹¹⁸.

სააღსრულებო წარმოების ეტაპზე სააუქციონო მომსახურების მიღების მიზნით, კერძო აღმასრულებელმა უნდა მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს. მას არ აქვს უფლებამოსილება თავად წარმართოს იძულებითი საჯარო აუქციონი. კანონის თანახმად, იგი ახორციელებს აუქციონის მოსამზადებელ პროცედურებს, მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, წარუდგენს მას სააუქციონო დოკუმენტაციას და იხდის სააუქციონო მომსახურებისათვის დადგენილ საფასურს. კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ფაქტობრივი მონაცემების სისწორეზე. აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია მხოლოდ აუქციონის ჩატარების დღეს განხორციელებული, ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის კანონთან შესაბამისობისთვის. ყველა სხვა მოსამზადებელ თუ აუქციონის შემდგომ მოქმედებას ახორციელებს კერძო აღმასრულებელი საკუთარი პასუხისმგებლობით.¹¹⁹

კერძო აღმასრულებელს შეუძლია მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მიიღოს სხვადასხვა მომსახურება. მაგალითად: მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით მოახდინოს საჯარო შეტყობინების აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ. გვერდზე გამოქვეყნება; მოითხოვოს, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, სააღსრულებო პოლიციის დახმარება. კერძო აღმასრულებელი სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და შესაბამისად, შეიძლება დადგეს მისი უსაფრთხოების და

¹¹⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14⁷.

¹¹⁹ იქვე. თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14⁷.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის რისკი. კანონი აძლევს მას უფლებას, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში დაიხმაროს აღსრულების პოლიცია.¹²⁰

კერძო აღმასრულებლისთვის ყველა მომსახურება, რომელსაც იღებს აღსრულების ეროვნული ბიუროსგან, მათ შორის სავალდებულოდ მისაღები მომსახურება, როგორც არის სააუქციონო მომსახურება, არის ფასიანი და იგი ვალდებულია გადაიხადოს კანონით დაწესებული საფასური.¹²¹ ასევე, განსაზღვრულია კერძო აღმასრულებლის მიერ საქმის წარმოების პირობები და წესი, იგი ვალდებულია საქმე აწარმოოს სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით და გადაიხადოს საფასური პროგრამით სარგებლობისათვის.¹²²

რაც შეეხება, კერძო აღმასრულებლის პასუხისმგებლობას, იგი პასუხისმგებელია სააღსრულებო წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისათვის¹²³. კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე მონიტორინგს, ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.¹²⁴

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს კერძო აღმასრულებლის მიერ გაწეული საქმიანობისთვის დაწესებულ საზღაურს. საზღაურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარესთან დადებული ხელშეკრულებით. კრედიტორის მიერ გადახდილი ან გადასახდელი საზღაურის გადახდა ეკისრება მოვალეს და იგი ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. არ შეიძლება მოვალეს

¹²⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14¹⁸.

¹²¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №144 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 4.

¹²² საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება № 88 კერძო აღმასრულებლების მიერ სააღსრულებო საქმისწარმოების განხორციელების პირობებისა და ფორმის განსაზღვრის შესახებ.

¹²³ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14¹⁶.

¹²⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №140 კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დავისრების წესის დამტკიცების თაობაზე.

დაეკისროს საზღაურის გადახდა დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით.¹²⁵

დღეისათვის სულ საქართველოში 28 ლიცენზირებული კერძო აღმასრულებელი საქმიანობს.¹²⁶

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის საფუძველზე დაინერგა ჯანსაღი კონკურენცია სააღსრულებო საქმიანობის სფეროში; საზოგადოებას მიეცა ალტერნატიული აღსრულების არჩევის საშუალება, გაიზარდა სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების ხელმისაწვდომობა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წლიდან დღემდე, როგორც საკანონმდებლო კუთხით ასევე ტექნიკური თვალსაზრისით კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის განსავითარებლად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. განვითარების სტრატეგიის არ არსებობის გამო ხდება ამ ინსტიტუტის დაკნინება, ამავდროულად კი, სახელმწიფო სააღსრულებო სისტემის განვითარებაზე საკმაოდ დიდი რესურსი იხარჯება. მეტიც, ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებით მოხდა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შესუსტება მიუხედავად იმისა, რომ არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევა ამ მოდელის ეფექტურობის შესახებ. სახელმწიფოს არ ააქვს სისტემის ანალიზით მიღებული პასუხი, თუ რამდენად გაამართლა კერძო სააღსრულებო სისტემის მოდელმა, პასუხობს თუ არა იგი არსებულ გამოწვევებს, როგორც მოქალაქეების, ასევე სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციისა და სახელმწიფოს მოთხოვნებს, რა შედეგი მოუტანა სახელმწიფოს და რა მიმართულებით უნდა განვითარდეს აღნიშნული სისტემა.¹²⁷

¹²⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები მუხლი 38.

¹²⁶ აღსრულების ეროვნული ბიურო http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=695 (გამოხმობილია 10.04.23.).

¹²⁷ გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023. გვ. 17-20.

4. მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილება

ვფიქრობთ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების ახალი კოდექსი.¹²⁸ ახალი კოდექსი აწესრიგებს აღსასრულებელი დოკუმენტების აღსრულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს აღმასრულებელთა პალატის მოწყობისა და ფუნქციონირების წესს, აღმასრულებელთა სტატუსს და საქმიანობის წესს, აგრეთვე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მომსახურების გაწევის წესსა და პირობებს.¹²⁹

აღნიშნული ცვლილებით თვისობრივად იცვლება აღსრულების სისტემა. მთავარი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ უქმდება დღეს მოქმედი ეგრეთ წოდებული შერეული სისტემა და იქმნება აღმასრულებელთა პალატა, რომელიც იქნება აღმასრულებელთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პროექტის მიხედვით აღმასრულებელთა პალატის წესდებას მიიღებს აღმასრულებელთა პალატის საერთო კრება. აღმასრულებელთა პალატის საქმიანობაზე სამართლებრივ, საფინანსო-ეკონომიკურ და სხვა სახის ზედამხედველობას კი განახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. კანონპროექტი ითვალისწინებს იმას, რომ ყველა აღმასრულებელი აღმასრულებლად დანიშნვისთანავე უნდა გახდეს აღმასრულებელთა პალატის წევრი, ხოლო წევრობა შეუწყდება აღმასრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე. კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად აღმასრულებელს თანამდებობაზე დანიშნავს იუსტიციის მინისტრი, რომელიც იმავდროულად განსაზღვრავს აღმასრულებლის სამოქმედო ტერიტორიას. კოდექსი იქვე განმარტავს, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს აღმასრულებლად დანიშნული პირი.

მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ისიც, რომ პალატასთან ერთად რჩება აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც იტოვებს საკმაოდ დიდ უფლებამოსილებას. მათ შორის: განახორციელოს აღმასრულებელთა საქმიანობაზე

¹²⁸ საქართველოს პარლამენტი <https://parliament.ge/legislation/21636> (გამოხმობილია 06.04.2023.)

¹²⁹ საქართველოს პარლამენტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> აღსრულების კოდექსი, მუხლი 1 (გამოხმობილია 06.04.2023.)

მუდმივი დისციპლინური, ეკონომიკური და სამართლებრივი ზედამხედველობა; აღმასრულებელთა პალატას/ აღმასრულებელს, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ მიაწოდოს ყველა ის მომსახურება, რომელიც აუცილებელია სააღსრულებო საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად.¹³⁰ მათ შორისაა სააუქციონო მომსახურება და სხვა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო იტოვებს უფლებამოსილებას აღსრულოს გარკვეული კატეგორიის საქმეები. კერძოდ, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირის - ინსპექტორის მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საწინააღმდეგოდ წარმოებული საქმეების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდუმლოების გრიფის მქონე საქმეების აღსრულებას, ასევე განკარგავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული გირაოს და განრიდების ფარგლებში არსებულ თანხას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.¹³¹ ამასთან. აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის აღსრულების პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის მეშვეობით აღსრულოს უძრავი ქონების შემძენის განცხადების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ საქმეები, მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის შესახებ სააღსრულებო საქმეები.¹³²

საქართველოს კანონის პროექტზე „აღსრულების კოდექსი“-ს განმარტებითი ბარათის თანახმად, მოძველებული კანონმდებლობა და ეგრეთ წოდებული

¹³⁰ საქართველოს პარლამენტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> აღსრულების კოდექსის პროექტი მუხლი 62 (გამოხმობილია 06.04.2023.)

¹³¹ საქართველოს პარლამენტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> აღსრულების კოდექსის პროექტი მუხლი 62 (გამოხმობილია 06.04.2023.)

¹³² საქართველოს პარლამენტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> აღსრულების კოდექსის პროექტი მუხლი 3 (გამოხმობილია 06.04.2023.)

შერეული სისტემის არაეფექტიანობა დასახელდა ახალი კოდექსის შემუშავების ძირითად მიზეზად.

მოქმედი კანონი მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. აღსრულების სფეროში არ არსებობს ერთიანი სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტი, კანონში არასრულად არის ასახული სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა არსებობს სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრაქტიკული ხასიათის პრობლემა, ხოლო კანონში წლების მანძილზე შეტანილი ცვლილებების სიმრავლის გამო გართულებულია კანონისა და მისი შინაარსის აღქმადობა, კანონმა დაკარგა ფორმა და სტრუქტურა რაც ართულებს მის გამოყენებას.¹³³ ვკითხულობთ განმარტებით ბარათში.

ასევე, ორგანიზაციული მოწყობის არაეფექტიანობა დასახელდა ახალი კოდექსის შემუშავების მიზეზად. არსებული სისტემის მიხედვით, აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების კომპეტენცია, როგორც სახელმწიფო ორგანოს - იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ისე კერძო აღმასრულებლებს გააჩნიათ. ამდენად, აღსრულების კოდექსის პროექტის შექმნის მთავარი მიზეზი გახდა აღსრულების სფეროში ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტის კოდექსის და ეგრეთ წოდებული შერეული სისტემის გამთლიანების აუცილებლობა¹³⁴. აქვე უნდა ითქვას, რომ კანონპროექტით როგორც აღვნიშნეთ აღსრულების ეროვნულ ბიუროს კვლავ რჩება გარკვეული კატეგორიის საქმეების აღსრულება, ამდენად კვლავ აქტუალურია ეგრეთ წოდებული შერეული სისტემის პრობლემა, მოცემული კანონპროექტი არ წარმოადგენს აღნიშნული საკითხის სრულად გადაწყვეტას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეულ სისტემებს შორის არსად არ გვხვდება მსგავსი სახის მოწყობა.

¹³³საქართველოს პარლამენტი (გამოხმობილია 06.04.2023.)

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856>

¹³⁴ საქართველოს პარლამენტი (გამოხმობილია 06.04.2023.)

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269856>

5. სტატისტიკური ანალიზი

4.1 აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული საქმეები

განხილული საკითხების უკეთ წარმოსაჩენად და გასაანალიზებლად აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური მონაცემები. ჩვენს მიერ მოხდა, აღსრულების ეროვნული ბიუროს 2023 წლის 29 მაისის №36651 წერილით საფუძველზე, მიღებული მონაცემების დამუშავება.

2023 წლის აპრილის თვის მონაცემებით აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია ჯამში 400 286 სააღსრულებო საქმე. აღნიშნული რაოდენობა თავის თავში მოიცავს როგორც სასამართლო ასევე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემულ სააღსრულებო დოკუმენტების რაოდენობას. მათ შორისაა ყველა ტიპის კატეგორიის საქმე და ასევე ყველა ტიპის მხარეების. იგულისხმება როგორც ფიზიკური პირები ასევე იურიდიული პირები და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის საკმაოდ დიდი რაოდენობა, იძულებითი აღსრულების საქმეებისა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებით. საინტერესო სურათს იძლევა საქმეების რაოდენობა ჩაშლილი კატეგორიების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ საქმეებიდან ყველაზე მეტი არის ადმინისტრაციული ჯარიმის კატეგორიის საქმე, მრავლადაა არა უზრუნველყოფილი კატეგორიის სამოქალაქო საქმეები, გამოვყოფდით ალიმენტის კატეგორიის საქმეებს რომელიც ვთვლით, რომ საგანგაშოდ დიდი რაოდენობისაა. (იხილეთ დანართი №1) ასევე, დამუშავდა საქმეთა კატეგორიების პროცენტული შეფარდება ჯამური რაოდენობის ჭრილში. (იხილეთ დანართი №2)

ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა საქმეების გადანაწილება ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროების მიხედვით. არ არის გასაკვირი რომ ყველაზე მეტი საქმე რაოდენობით მოდის თბილისის სააღსრულებო ბიუროზე. (იხილეთ დანართი №3)

ასევე, დამუშავდა ბიუროების მიხედვით საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი (იხილეთ დანართი №4)

4.2 კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეები

საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, კერძო აღმასრულებელი ვალდებულია წელიწადში ერთხელ აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინოს სტატისტიკური ინფორმაცია თავის წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების შესახებ¹³⁵, ამდენად ჩვენს მიერ გამოთხოვილ იქნა საქმეთა რაოდენობა 2022 წლის მდგომარეობით.

გამოყოფდით იმ გარემოებას, რომ დღეს საქართველოში სულ საქმიანობს 28 ლიცენზირებული კერძო აღმასრულებელი¹³⁶. აღსანიშნავია, რომ მათ კანონით შეზღუდული აქვთ გარკვეული კატეგორიის საქმეების წარმოება და ასევე შეზღუდული აქვთ ისეთი საქმის წარმოებაში მიღება სადაც, აღსასრულებელი მოთხოვნა აღემატება 500 000 ლარს¹³⁷. კერძო აღმასრულებლები ვერ იღებენ საქმეებს სადაც, მხარე არის სახელმწიფო. შესაბამისად მათ წარმოებაში არ აქვთ ადმინისტრაციული, თუ სხვა ისეთი კატეგორიის საქმეები. კერძო აღმასრულებლები აწარმოებენ მხოლოდ იმ საქმეებს სადაც, მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები.

კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში, დარჩენილი საქმეების ჯამი 2022 წლის მდგომარეობით შეადგენს 30 658 საქმეს. ასევე, საინტერესოა კატეგორიების მიხედვით საქმეთა გადანაწილება. (იხილეთ დანართი №5). კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეების საერთო რაოდენობის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ზემოაღნიშნული შეზღუდვები და დასაქმებულ კერძო აღმასრულებელთა რაოდენობა.

4.3 შედარებითი ანალიზი

საკითხის შესაფასებლად, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია აღსრულების ეროვნული ბიუროსა და კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეების შედარება.

¹³⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14¹².

¹³⁶ აღსრულების ეროვნული ბიურო http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=695 (გამოხმობილია 10.05.23.)

¹³⁷ იქვე. თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14⁷.

მოხდა აღსრულების ეროვნული ბიუროს და კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში მიღებული და შესრულებული (შესრულება თავის თავში მოიცავს აღსრულებას და დასრულებას) საქმეების შედარება, იმ კატეგორიების ჭრილში რომელი კატეგორიის საქმეების წარმოებაც კანონით დასაშვებია კერძო აღმასრულებლებთან.

კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში მიღებული მოძრავი და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საქმეთა რაოდენობა საერთო ჯამში აჭარბებს აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ იმავე კატეგორიის საქმეთა რაოდენობას. იგივე სურათია სხვა კატეგორიის საქმეებში. რაც შეეხება არა უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეებს აღსრულების ეროვნულ ბიუროში არა უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეების შემოსვლა ბევრად მეტია ვიდრე კერძო აღმასრულებლებთან. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას იმით, რომ როგორც წესი არა უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეები ითვლება უფრო რთულად აღსასრულებელ კატეგორიად და ხშირია ასეთი კატეგორიის საქმეების მოვალეთა ვალაუვალობა, რაც არის მიზეზი იმისა, რომ სააღსრულებო წარმოებები ვერ სრულდება. ასევე რთულად აღსასრულებელ კატეგორიას განეკუთვნება გამოსახლების და ალიმენტის საქმეები, ამ კატეგორიის საქმეების აღსრულება, უმეტეს შემთხვევაში, დროში იწელება. აღნიშნული გააზრებული აქვთ კერძო აღმასრულებლებს და როგორც წესი ისინი თავად ამბობენ უარს მსგავსი კატეგორიის საქმეების მიღებაზე. მოქმედი კანონმდებლობა იძლევა საშუალებას კერძო აღმასრულებელმა თავად, მიიღოს გადაწყვეტილება საქმის წარმოებაში მიღება არ მიღების თაობაზე.

ინფორმაციულია შესრულებული საქმეების მაჩვენებლის შედარებაც. აქაც შემოსულ საქმეთა რაოდენობის მსგავსად, გარკვეული კატეგორიების მიხედვით, კერძო აღმასრულებელთა მიერ დასრულებული საქმეების მაჩვენებელი ბევრად მაღალია. (იხილეთ დანართი №6)

თვალსაჩინოებისთვის შედარებულ იქნა 2022 წლის მანძილზე ბიუროში და კერძო აღმასრულებლებთან შემოსული და შესრულებული (დასრულდა; აღსრულდა) უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეები. (იხილეთ დანართი №7). ასევე, 2022 წლის მანძილზე ბიუროში და კერძო აღმასრულებლებთან შემოსული

და შესრულებული (დასრულდა; აღსრულდა) სხვა კატეგორიის საქმეები. (იხილეთ დანართი №8) ასევე, 2022 წლის მანძილზე ბიუროში და კერძო აღმასრულებლებთან შემოსული და შესრულებული (დასრულდა; აღსრულდა) არა უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეები. (იხილეთ დანართი №9)

იმის გათვალისწინებით, რომ სულ 28 კერძო აღმასრულებელი საქმიანობს საქართველოს მასშტაბით და მათი უმეტესობა თბილისში, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიურო ტერიტორიული ორგანოებით ფარავს სრულიად საქართველოს და მათში დასაქმებულია დაახლოებით 200-მდე აღმასრულებელი, აღნიშნული მონაცემების გაანალიზება იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ საკმაოდ მაღალია კერძო აღმასრულებელთან მიმართვიანობა. ასევე, საქმეთა შესრულების მაჩვენებელიც გაცილებით უკეთესია კერძო აღმასრულებელთა მიერ საქმეების წარმოებისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ საქმეთა შესწავლა ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა რაოდენობისა და მისი შესრულების მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. ბიუროს წარმოებაში ნაშთის სახით არსებული ამ კატეგორიის საქმეთა რაოდენობა (2023 წლის აპრილის მდგომარეობით - 250 025 საქმე) გვაფიქრებინებს, რომ ჯარიმებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. მნიშვნელოვანია, ბიურომ დამატებითი ღონისძიებები გაატაროს მათ აღსასრულებლად. ამავე დროს, დასაფიქრებელია ჯარიმების მიმართ ქვეყნის ზოგადი პოლიტიკა. განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფოს დამოკიდებულება და ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა საზოგადოების ქცევის ჩამოყალიბებაზე. საკმაოდ დიდხანს არსებობდა შემწყნარებლური დამოკიდებულება ჯარიმის გადაუხდელობის ზოგადი კულტურისადმი. ამას მოწმობს არაერთი ნორმატიული აქტი, რომლითაც მოქალაქეები პერიოდულად თავისუფლდებოდნენ ადმინისტრაციული სახდელისგან, რაც საბოლოოდ, უარყოფითად მოქმედებს მათ ქცევაზე, ახალისებს ჯარიმის გადაუხდელობას და არათანაბარ პირობებს უქმნის კანონმორჩილ და ურჩ მოქალაქეებს.

საქართველოს თანამედროვე სააღსრულებო სისტემის კვლევის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივით

სააღსრულებო სისტემა შეიცვალა. 2008 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებით, რა დროსაც ჩამოყალიბდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - აღსრულების ეროვნული ბიურო, სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა. აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობა მეტად გაფართოვდა და მის საქმიანობას სხვადასხვა სერვისი დაემატა. მათ შორის, მოვალეთა რეესტრი, ფაქტების კონსტატაცია, გამარტივებული წარმოება, შეფასება. მუდმივად ვითარდება ელექტრონული სერვისები. აღსანიშნავია ბიუროს წარმატებები საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების კუთხით. ბიურო არის კარგად ორგანიზებული, ფართო უფლება მოსილების მქონე ორგანიზაცია და ამასთან მისი შემოსავალი წლიურად მილიონობით ლარს შეადგენს.

ბუნებრივია ისმის კითხვა თუ რამ განაპირობა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღება სააღსრულებო სისტემის რეფორმის ნაწილი იყო. იმის გამო, რომ საქართველოს არ ჰქონდა კერძო სააღსრულებო საქმიანობის გამოცდილება, მიზანშეწონილად ჩაითვალა ორივე სისტემის თანაარსებობა და ქვეყანაში დღემდე ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო აღსრულება - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სახით, ასევე კერძო აღსრულება დამოუკიდებელი კერძო აღმასრულებლების ჩართულობით. შეიქმნა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, რომლის საფუძველზე სააღსრულებო საქმიანობის სფეროში დაინერგა ჯანსაღი კონკურენცია; საზოგადოებას მიეცა ალტერნატიული აღსრულების არჩევის საშუალება, გაიზარდა სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტიან აღსრულებაზე წვდომა. იმ პერიოდში გაცხადებული პოლიტიკით, იგეგმებოდა ამ ინსტიტუტის გაძლიერება და ქვეყნის ეტაპობრივად, სრულად გადასვლა კერძო სააღსრულებო სისტემაზე. მოგვიანებით ეს მიდგომა რადიკალურად შეიცვალა. შექმნის დღიდან, როგორც საკანონმდებლო, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის განვითარებისთვის არაფერი გაკეთებულა. პირიქით, სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებით ეს ინსტიტუტი დაკნინდა. ამავდროულად, სახელმწიფო სააღსრულებო სისტემის განვითარებაზე საკმაოდ დიდი რესურსი დაიხარჯა. ამასთან, კვლავ დგას სისტემის რეფორმირების

საკითხი და როგორც აღვნიშნეთ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების ახალი კოდექსი. ამდენად, საქართველოში აღსრულების სისტემის განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არსებობს ხედვა და გრძელვადიანი პოლიტიკა სააღსრულებო სისტემის განვითარების მიმართულებით. საგულისხმოა ის მონაცემებიც, რომელიც მივიღეთ სტატისტიკური კვლევის საფუძველზე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მიუხედავად არა თანაბარი პირობებისა საქმეთა შესრულების ვადა და ხარისხი კერძო აღმასრულებლების შემთხვევაში გაცილებით უკეთესია.

თავი IV საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სააღსრულებო სისტემათა შედარებითი ანალიზი

1. ზოგადი მიმოხილვა

სააღსრულებო სისტემის მნიშვნელობაზე ცივილიზებულ სამყაროში საერთო თანხმობაა, თუმცა სისტემის განვითარების ტენდენცია ერთგვაროვანი არ არის. ყველა სახელმწიფოში არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ინტერესები და სამართლებრივი ტრადიციები, რაც განაპირობებს სააღსრულებო სისტემის განსხვავებულ მოწყობას.

ზოგადად, სხვადასხვა ევროპულ იურისდიქციას უკავია განსხვავებული პოზიცია აღსრულების პროცესთან დაკავშირებით. ნათელია, რომ ვადაგადაცილებული გადახდა ან გადაუხდელობა საფრთხეს უქმნის როგორც ბიზნესის, ასევე მომხმარებელთა ინტერესებს. ევროსაბჭოს კომიტეტმა მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე (CEPEJ) დაასკვნა, რომ სისტემის ეფექტურობასთან დაკავშირებით არსებული სხვაობა რისკის წინაშე აყენებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ ბიზნესებს, როგორც საგადახდო დავალებების აღსრულების ეფექტურ სისტემას და იმ სისტემებს შორის კონკურენციას, სადაც აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას.¹³⁸ ქვეყნებმა დაიწყეს ზრუნვა, რათა მათი კანონმდებლობა შესაბამისობაში იყოს აღსრულების სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებთან, აქცენტი კეთდება დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

კვლევის შედეგად, ევროპის მასშტაბით არსებულ მოდელებს შორის, შესაძლებელია სამი ძირითადი ფორმის გამოყოფა. სასამართლოს დაქვემდებარებული აღმასრულებლები, სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო მოხელეები და ეგრეთ წოდებული კერძო აღმასრულებლები.¹³⁹ ასევე,

¹³⁸ EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) ENFORCEMENT OF COURT DECISIONS. FRANCE. <https://rm.coe.int/european-commission-for-the-efficiency-of-justice-cepej-enforcement-of/168078829e> (გამოხმობილია 25.05.22.)

¹³⁹ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.13. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 20.05.2022.)

არის ქვეყნები სადაც შერეული მოდელია, ერთის მხრივ აღმასრულებლები არიან საჯარო მოხელეები და ამავე დროს საქმიანობენ კერძო აღმასრულებლები.

მიუხედავად საჯარო, თუ კერძო მოწყობისა, მნიშვნელოვანია აღმასრულებლის სტატუსი. პირებმა, რომელთაც დაევაღათ აღსრულება, უნდა უზრუნველყონ აღსრულების მაღალი ხარისხი, მაღალი იურიდიული კვალიფიკაციის მოთხოვნით¹⁴⁰. აღმასრულებელი უნდა იყოს მიუკერძოებელი, კვალიფიციური, ანგარიშვალდებული, ხელმისაწვდომი, მოტივირებული და ეფექტიანი. სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი აღმასრულებლის სამუშაო პირობები, ადამიანური და მატერიალური რესურსები. ნათელია, რომ აღმასრულებელს საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელება ევალება და იგი უფლებამოსილია სახელმწიფოს მიერ, შესაბამისად იგი უნდა მოქმედებდეს სათანადოდ, მაღალი პროფესიონალური და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

2. ორგანიზაციული მოწყობა

2.1 კერძო მოდელი საფრანგეთის მაგალითზე

საკითხის უკეთ წარმოჩენისთვის გამოკვლეულ იქნა როგორც საქართველოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნის განვითარებები და მიღწევები აღსრულების სისტემის ორგანიზაციული მოწყობის კუთხით.

განვიხილოთ საფრანგეთის რესპუბლიკის მაგალითი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს კერძო სააღსრულებო სისტემის. საფრანგეთში სააღსრულებო საქმიანობას კერძო აღმასრულებლები ახორციელებენ. აღმასრულებელს შეუძლია განახორციელოს მისი პროფესიული პრაქტიკა როგორც ინდივიდუალურად, ისე იურიდიული პირის ნაწილად. აღმასრულებელს აგრეთვე შეუძლია სხვა აღმასრულებლებთან ერთად ჩამოაყალიბოს ასოციაცია. 1996 წლის 29 ნოემბრის კანონი, რომელიც ამკვიდრებს პროფესიულ არა კომერციულ კომპანიებს, ვრცელდება ყველა დამოუკიდებელ პროფესიებზე, მათ შორის აღმასრულებლებზე. 1969 წლის 31 დეკემბრის განკარგულებით, რომელშიც ცვლილება შევიდა 1992

¹⁴⁰ Global Code of Enforcement. Article 18. https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამომბობილია 22.05.2022.)

წლის განკარგულებით, აღმასრულებლებს შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ არაკომერციულ სტრუქტურებად. არაკომერციული კომპანია შეიძლება შეიქმნას ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც ეწვეიან ერთი და იგივე დამოუკიდებელ პროფესიას. არაკომერციული კომპანიის მიზანია მისი წევრების მიერ პროფესიული პრაქტიკის ერთობლივად განხორციელება. აღმასრულებლის ბიუროში არაკომერციული კომპანიის გამოყენება და თითოეული პარტნიორის ასოცირებულ აღმასრულებლად დანიშვნა ხდება იუსტიციის მინისტრის განკარგულებით.¹⁴¹

საფრანგეთში ჯერ კიდევ 1945 წლის 2 ნოემბრის კანონით შეიქმნა პალატის სამ საფეხურიანი სტრუქტურა. დეპარტამენტის, რეგიონის და ეროვნული მასშტაბით. დეპარტამენტის პალატები აერთიანებს ყველა აღმასრულებელს ერთი და იგივე დეპარტამენტში. თითოეული დეპარტამენტის პალატის ძირითადი მახასიათებლები შემდეგია: დეპარტამენტის ყველა აღმასრულებლის წარმომადგენლობის უფლებამოსილება ადმინისტრაციული თუ სასამართლო ხელისუფლების წინაშე; დისციპლინური პროცედურები რომლებიც ვრცელდება დეპარტამენტის ყველა აღმასრულებელზე. წარმომადგენლობა ხორციელდება არჩეული წევრების მიერ, რომლებიც ხმის მიცემით ირჩევენ პრეზიდენტს.

რეგიონული პალატები იქმნება ადგილობრივი სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ. რეგიონული პალატის ვალდებულებაა წარმოადგინოს და დაიცვას აღმასრულებელთა ინტერესები სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციაში. სააპელაციო სასამართლო განიხილავს აპელაციებს სხვადასხვა დეპარტამენტის სასამართლოსგან, რომლებიც შედიან სააპელაციო სასამართლოს „იურისდიქციაში“. რეგიონული პალატები ავსებენ დეპარტამენტის პალატების საქმიანობას და არ ახორციელებენ რაიმე უფლებამოსილებას მათზე, გარდა დისციპლინური ზომებისა. უფრო კონკრეტულად კი, ისინი წარმოადგენენ აღმასრულებლებს სააპელაციო სასამართლოს ყველაზე უფროსი მოსამართლეების წინაშე. მისი როლი ცოტა ხნის წინ გამყარდა ახალი უფლებამოსილებებით, რაც უკავშირდება ინსპექციის ორგანიზებას და სააღსრულებო ბიუროს ანგარიშების

¹⁴¹ აუიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 84-85.

აუდიტს.¹⁴² 2010 წლის 22 დეკემბრის კანონის შემდგომ, რეგიონულ პალატას უფლებამოსილება აქვს მიიღოს დისციპლინური ზომები რეგიონში მოქმედი აღმასრულებლების წინააღმდეგ. რეგიონულ პალატაში შემავალი წევრები აირჩევიან შესაბამისი იურისდიქციის თითოეული დეპარტამენტის აღმასრულებლების მიერ და მათი წარმომადგენლობა რეგიონულ პალატაში პროპორციულია დეპარტამენტში არსებული აღმასრულებლების რაოდენობისა.

ეროვნული პალატა შედგება 35 წევრისგან; თითოეული მათგანი წარმოადგენს მათ ადგილობრივ სააპელაციო სასამართლოს. თითოეული წევრი ირჩევა სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი ყველა აღმასრულებლის მიერ 6 წლის ვადით. ეროვნული პალატის 35 წევრი ირჩევენ საბჭოს 7 წევრის შემადგენლობით: პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი, მდივანი და ხაზინადარი, ხაზინადრის მოადგილე, მდივნის მოადგილე¹⁴³.

საფრანგეთის კერძო აღმასრულებლები გაერთიანებული არიან აღმასრულებელთა პალატაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ პარიზში. კერძო აღმასრულებელთა რაოდენობა ძირითადად მუდმივად მზარდია, 2021 წლისთვის შეადგენდა 3368 პირს¹⁴⁴. საფრანგეთი ამყობს საკუთარი სააღსრულებო სისტემის მოწყობით კერძო სააღსრულებო სისტემამ საკმაოდ კარგად დაიმკვიდრა თავი. არსებული სისტემის შეცვლაზე და სხვა მოდელზე გადასვლა არც მოიაზრება, აღმასრულებელს დამკვიდრებული აქვს მისი ადგილი თავისუფალ პროფესიებს შორის.

2.2 საჯარო მოდელი და სისტემათა ცვლილებები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე

აღსრულების საჯარო მოდელია და აღმასრულებლები საჯარო სტატუსით მოქმედებენ გერმანიაში, შვედეთში, ფინეთსა და დანიაში. გერმანიაში აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებაა სასამართლო, აღსრულებას ახორციელებენ სასამართლო აღმასრულებლები. იძულებითი აღსრულების

¹⁴² გოგელაშვილი ნ. საქართველოს სააღსრულებო სისტემის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4 (76), თბილისი 2022. გვ. 143-144.

¹⁴³ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 65-66.

¹⁴⁴ Number of judicial officers working in France <https://www.statista.com/statistics/1078721/judicial-officers-bailiffs-france/> (გამოხმობილია 06.06.2022.)

დაწყებისთვის კრედიტორმა უნდა წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი, აღმასრულებლის საქმიანობა რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით¹⁴⁵.

შვედეთში აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებაა ფინანსთა სამინისტრო, აღმასრულებლები არიან საჯარო მოხელეები¹⁴⁶ უნდა აღინიშნოს, რომ შვედეთში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სააღსრულებო წარმოებისას მხარეთა შორის ბალანსის დაცვას. ძირითადი ღირებულებები გაწერილია და ამბობენ, რომ მათი მისიის ფარგლებში ეხმარებიან მათ ვისაც არ გადაუხადეს და ამავე დროს უწყვენ მხარდაჭერას მათ ვინც უნდა გადაიხადონ და სწორედ მთავრობა ყოველ წლიურად განსაზღვრავს მათი საქმიანობის პრიორიტეტებს¹⁴⁷.

საჯარო მოწყობის სისტემაში ყურადღება გამახვილებულია აღსრულების მთლიან ორგანიზაციაზე და არა ცალკეულ აღმასრულებლებზე. საჯარო მოხელის სტატუსის მქონე აღმასრულებლები მონიტორინგს და კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო. ძირითადად ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურა მეტად ბიუროკრატიული და იერარქიულია.

სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში სააღსრულებო სისტემის განვითარების კვლევა ცხადყოფს რომ რიგ ქვეყნებში საჯარო მოწყობა იცვლება კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დანერგვით. შეიძლება ითქვას რომ სისტემის განვითარების სწორედ ეს მიმართულება იქნა მიჩნეული პრიორიტეტად.

მაგალითად ლიეტუვას რესპუბლიკაში 2003 წელს განხორციელდა რეფორმა, რომლის შედეგად სახელმწიფო აღსრულება მთლიანად შეიცვალა კერძო აღსრულებით. რეფორმის შემდგომ აღმასრულებელთა საქმიანობა მოექცა აღმასრულებელთა პალატის და იუსტიციის სამინისტროს კონტროლის ქვეშ, აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ, მოქმედებენ ტერიტორიული პრინციპის დაცვით.¹⁴⁸ შემაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ რეფორმას წარმატებულად აფასებენ, მიიჩნევენ, რომ ამაყმად დამოუკიდებელი, შედეგებზე ორიენტირებული სისტემა აქვთ. ასევე აღსანიშნავია, რომ რეფორმის

¹⁴⁵ European Judicial enforcement Germany | www.europe-eje.eu (გამოხმობილია 06.06.2022.)

¹⁴⁶ Kronofogden <https://kronofogden.se/om-kronofogden/var-organisation> (გამოხმობილია 06.06.2022.)

¹⁴⁷ Kronofogden <https://kronofogden.se/om-kronofogden/uppdrag-och-vardegrund> (გამოხმობილია 06.06.2022.)

¹⁴⁸ Bailiffs of lithuania <https://www.antstoliurumai.lt/en/lietuvos-antstoliu-rumai> (გამოხმობილია 06.06.2022.)

შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შემცირდა აღმასრულებელთა რაოდენობა იმატა დასრულებულ საქმეთა რაოდენობამ და 2018 წლის ბიზნესის კეთების რეიტინგში მეოთხე ადგილი მოიპოვეს.¹⁴⁹

ლიეტუვას მსგავსად ლატვიაშიც 2003 წლიდან მოქმედებს კერძო აღსრულების სისტემა, აღმასრულებელი არის კერძო, დამოუკიდებელი პროფესია. კერძო აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ და ახორციელებენ თავიანთ მუშაობას მკაცრად გაწერილ დისციპლინარული და პროფესიონალური სტანდარტების დაცვით. აღმასრულებლები მიმაგრებულნი არიან ხუთიდან ერთ-ერთ რეგიონულ სასამართლოს და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება იმ იურისდიქციით, სადაც ისინი მოღვაწეობენ. ყველა კერძო აღმასრულებელი გაწევრიანებულია კერძო აღმასრულებელთა ასოციაციაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ რიგაში. კერძო აღმასრულებლები მოქმედებენ სამოქალაქო სამართლის მკაცრად გაწერილი ნორმებით, რომლის დაცვასაც ახორციელებს კერძო აღმასრულებელთა ასოციაცია.¹⁵⁰

საინტერესოა, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები, სადაც მიმდინარეობდა საკანონმდებლო და მართლმსაჯულების სისტემების რეფორმები ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ფონზე, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა დაიწყეს დისკუსიები ფუნდამენტურ ცვლილებებთან დაკავშირებით, ქვეყნების უმრავლესობაში გადაიდგა პირველი ნაბიჯები კიდევ უფრო ქმედითი და ეფექტიანი სააღსრულებო სისტემის დასამკვიდრებლად. ალბანეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ხორვატიაში, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში, კოსოვოში, მონტენეგროსა (ჩერნოგორიასა) და სერბეთში მოქმედი სააღსრულებო სისტემები, იმყოფება ცვლილების ეტაპზე. მითითებული ქვეყნები, კოსოვოს გარდა, წარმოადგენს ევროსაბჭოს წევრს და ეკისრებათ შესაბამისი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ფარგლებში. ამასთან ქვეყნებმა უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და ეფექტიანი აღსრულების სტრუქტურა და პროცედურები¹⁵¹. ამ

¹⁴⁹ Bailiffs of lithuania <https://www.antstoliurumai.lt/en/lietuvos-antstoliu-rumai> (გამოხმობილია 06.06.2022.)

¹⁵⁰ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 71-75.

¹⁵¹ სამოქალაქო საქმეთა აღსრულება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში. თბილისი 2015. გვ. 9.

ქვეყნების სააღსრულებო სისტემის გაცნობის შემდგომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში დაიწყო მოძველებული აღსრულების სისტემის რეფორმირება, თუმცა რიგი საკითხების გამო კვლავ რჩება უამრავი გამოწვევა.

ალბანეთში მოქმედებს შერეული სისტემა. საჯარო აღმასრულებელთა სისტემა ფუნქციონირებს 2001 წლიდან ალბანეთის იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, ასევე კერძო სასამართლო აღსრულების სამსახურის შესახებ კანონის მიღებით, 2009 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა კერძო აღმასრულებელთა სისტემა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ალბანეთის პრაქტიკაში აღნიშნული სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ უამრავი გამოწვევა არსებობს.¹⁵²

რაც შეეხება ხორვატიას, ქვეყანამ 2010 წელს ევროკავშირში გაწევრიანებამდე, საკმაოდ დიდი საკანონმდებლო და მართლმსაჯულების სისტემების რეფორმები განახორციელა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ფონზე. აღიარებულ იქნა, რომ სამართალწარმოების მნიშვნელოვან ასპექტს, წარმოადგენდა სამოქალაქო და კომერციულ საქმეთა აღსრულება. ხორვატიაში აღმასრულებლები წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, დასაქმებული არიან სასამართლო აღმასრულებლებად იუსტიციის სამინისტროს თანხმობით და კონტროლის ქვეშ.¹⁵³

2.3 შერეული სააღსრულებო მოდელი ბულგარეთის მაგალითზე

ჩვენთვის ასევე საინტერესოა, ბულგარეთის სააღსრულებო სისტემის მოწყობა იმდენად რამდენადაც საქართველოს სისტემის მსგავსად იქაც მოქმედებს ორი პარალელური სააღსრულებო სისტემა, კერძო და სახელმწიფო¹⁵⁴. 2005 წლიდან კანონი კერძო აღმასრულებელთა შესახებ შევიდა ძალაში და 2006 წლიდან კერძო აღმასრულებლები შეუდგნენ აქტიურ მუშაობას. კერძო აღმასრულებლის იურისდიქცია შესაბამისი საოლქო სასამართლოს იურისდიქციაზეა

¹⁵² იქვე, გვ. 10

¹⁵³ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.14. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 06.06.2022.)

¹⁵⁴ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.13. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 06.06.2022.)

მიზმი. ინსტიტუტის შემოღების პირველ წლებში ბულგარეთში შედარებით ნაკლები კერძო აღმასრულებელი მოქმედებდა, ხოლო შემდგომ მუდმივად ხდებოდა ამ რიცხვის გაზრდა. რაც შეეხება სახელმწიფო აღმასრულებლებს, ისინი რაიონული სასამართლოს იურისდიქციაზე არიან მიზმი და მათ რაოდენობას იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს¹⁵⁵.

როგორც აღინიშნა ბულგარეთში შერეული სისტემა, კერძო და სახელმწიფო, ორივეს აქვს თანაბარი უფლებები, მცირე განსხვავებებით კერძო აღმასრულებლის მთავარი განსხვავება სახელმწიფო აღმასრულებლისგან ისაა, რომ კერძო აღმასრულებელს მოქმედების უფრო ფართო არეალი აქვს, რომელიც შემოიფარგლება ოლქით და არა რაიონით, როგორც სახელმწიფო აღმასრულებლის შემთხვევაშია. გარდა ამისა, სახელმწიფო აღმასრულებლისთვის გადახდილი აღსრულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება და სახელმწიფო აღმასრულებელი ხელფასს იღებს, ხოლო კერძო აღმასრულებლისთვის გადახდილი აღსრულების გადასახადი მას რჩება, ბიუჯეტისთვის დადგენილი გადასახადის გარდა. რაც შეეხება ვალებს სახელმწიფოს მიმართ ამისთვის არსებობენ ცალკე აღმასრულებლები - საჯარო აღსრულების ოფიცრები, ისინი არიან ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებებში და აღსრულებენ სახელმწიფო ვალებს. ბულგარეთის ყველა კერძო აღმასრულებელი ვალდებულია, ბულგარეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის წევრი გახდეს.¹⁵⁶ პირმა, რომელსაც კერძო აღმასრულებლობა სურს, უნდა შეავსოს განაცხადი კერძო აღმასრულებელთა პალატაში, რომელსაც შემდგომ ეს უკანასკნელი იუსტიციის სამინისტროს გადასცემს კანდიდატის შესახებ საკუთარ მოსაზრებასთან ერთად¹⁵⁷. პალატის მისიაა ხელი შეუწყოს თავისუფალი პროფესიის დამკვიდრებას და გააუმჯობესოს აღსრულების პროცესი. პალატა უზრუნველყოფს მის წევრებს შორის პროფესიონალიზმისა და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტების დაცვას და ასევე მიზნად ისახავს კერძო აღმასრულებლების მიმართ დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებასა და ნდობას.¹⁵⁸

¹⁵⁵LAW ON PRIVATE ENFORCEMENT AGENTS. Bulgarian law 2005. Article 2.

¹⁵⁶ იქვე. Article 3.

¹⁵⁷ იქვე. Article 7.

¹⁵⁸ Bulgarian Chamber of Private Enforcement Agents <https://www.bcpea.org/en/aboutus/mission> (გამოხმობილია 06.06.2022.)

2.4 საქართველოს მოდელის განვითარება

1999 წლის 15 მაისს ამოქმედდა და დღემდე მოქმედებს საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომლის თანახმად, სასამართლო სისტემიდან სასამართლო აღმასრულებლები გამოცალკევდნენ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდნენ. ხოლო, 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი. ქვეყანაში დღემდე ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო აღსრულება, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სახით, ასევე კერძო აღსრულება, დამოუკიდებელი კერძო აღმასრულებლების სახით. შესწავლილი ქვეყნების ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ როგორც წესი შერეული მოდელის არსებობა დროებითია და საბოლოოდ ქვეყანამ უნდა აირჩიოს მისთვის მისაღები მოდელი და ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ შეიმჩნევა კერძო მოდელზე გადასვლის ტენდენცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების ახალი კოდექსი.¹⁵⁹ რომლითაც იცვლება აღსრულების მოდელი და მოწყობა გადადის კერძო აღსრულებაზე. იქმნება აღმასრულებელთა პალატა, რომელიც იქნება აღმასრულებელთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამავე დროს ნარჩუნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი აღსრულების ეროვნული ბიურო. ცვლილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ეგრეთ წოდებული შერეული სისტემის გამთლიანების აუცილებლობა. თუმცა, კანონპროექტით აღსრულების ეროვნულ ბიუროს კვლავ რჩება გარკვეული კატეგორიის საქმეების წარმოების უფლებამოსილება რომელსაც ინსპექტორი უზრუნველყოფს¹⁶⁰, აღმასრულებელთან ერთად გაჩნდა ინსპექტორი, რომელიც აღმასრულებლის ფუნქციებს ასრულებს. ამდენად, კვლავ აქტუალურია ეგრეთ წოდებული შერეული სისტემის პრობლემა, ამასთან სრულიად გაურკვეველია დამატებით ინსპექტორის სახელწოდების გაჩენის აუცილებლობა, სახელის გადარქმევით არ იცვლება ის გარემოება, რომ იგი კვლავ აღმასრულებელია და ახორციელებს სააღსრულებო წარმოებას. ჩვენს მიერ

¹⁵⁹ საქართველოს პარლამენტი <https://parliament.ge/legislation/21636> (გამოხმობილია 06.04.2023.)

¹⁶⁰ საქართველოს პარლამენტი აღსრულების კოდექსის პროექტი, მუხლი 62 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269887> (გამოხმობილია 06.04.2023.)

შესწავლილ არც ერთი ქვეყნის მოდელში არ გვხვდება მსგავსი ორგანიზაციული მოწყობა.

3. საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი

3.1 პროფესიის მეთვალყურეობა

ეფექტიანი აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და კონტროლის კარგად ფუნქციონირებადი სისტემა. აღმასრულებლები უნდა იყვნენ კომპეტენტურები და საქმის პროფესიონალები, ასევე ისინი ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ ეთიკური პრინციპების დაცვით. უნდა იყვნენ მიუკერძოებლები სააღსრულებო წარმოებისას მხარეებთან ურთიერთობაში და გარდა ამისა, ისინი უნდა ექვემდებარებოდნენ კონტროლსა და მონიტორინგს. მძლავრი პროფესია იქმნება მტკიცე ზედამხედველობისა და დისციპლინარული ღონისძიებების მიღებით. განსაკუთრებული ყურადღება ასევე უნდა დაეთმოს მაღალ პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს.

დისციპლინარული ორგანოების შემადგენლობასა და საქმიანობაში თავს იჩენს გარკვეული სხვაობა. სხვადასხვა მოწყობის სისტემას აქვთ განსხვავებული სახის საზედამხედველო სტრუქტურები. ქვეყნებში სადაც აღმასრულებელი არის საჯარო მოხელე შესაბამისად ზედამხედველობას ახორციელებს ის ორგანო, სასამართლო ან/და სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის სააღსრულებო საქმიანობა¹⁶¹. ანალოგიური მოწესრიგებაა საქართველოში, სააღსრულებო საქმიანობა შედის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და შესაბამისად იუსტიციის სამინისტრო არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მაკონტროლებელი ორგანო.

სააღსრულებო საქმიანობა, მიუხედავად მისი მოწყობისა, არ არის სამეწარმეო საქმიანობა. აღმასრულებლის ფუნქცია არის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საქმიანობა და ამდენად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია,

¹⁶¹ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.17. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 20.05.2022.)

რომ თავად სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის არსებობა.

ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა კერძო სააღსრულებო მოდელის მოწყობის ქვეყნებში, თუ როგორ და რომელი ორგანოების მიერ ხდება საქმიანობის კონტროლი. ყოველ ქვეყანას გააჩნია განსხვავებული სისტემა დისციპლინარულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სააღსრულებო სფეროში განხორციელებული ღონისძიებები რეგულარულ შეფასებასა და კონტროლს დაექვემდებაროს, ამასთან ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული პროცედურები.

როგორც წესი აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება ხდება სააღსრულებო წარმოების მხარეების მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა თუ საჩივრების შესაბამისად, ამასთან შესაძლოა საზედამხედველო ორგანომ თავისი ინიციატივით მოახდინოს საქმეთა შესწავლა. საქმის შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგეს როგორც დისციპლინური ასევე სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესიის კონტროლი ეთიკის კუთხით. სპეციალისტთა სხვადასხვა ჯგუფისთვის პროფესიული ეთიკის სტანდარტების დანერგვა იქცა საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკად. უდავოა, რომ წესების ამგვარი კრებული კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ანიჭებს აღნიშნულ სპეციალისტებს სხვა ადამიანის უფლებებში ჩარევის უფლებამოსილებას. პროფესიის ეთიკური სტანდარტები თავსებადი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების მორალთან, მაგრამ ამავე დროს უნდა გასცდეს ამ ზოგად მორალს იმ კუთხით რომ, მან უნდა განმარტოს ეს ზოგადი წესები კონკრეტული დასაქმებული ჯგუფის სამუშაოს სპეციფიკურ დეტალებთან მიმართებით. ეთიკურ რეგულაციებს, რომელიც მორგებულია კონკრეტულ პროფესიაზე შეუძლიათ გაზარდონ ერთიანობის შეგრძნება წევრებს შორის, რომ ისინი ეკუთვნიან საერთო ღირებულებების და მისის მქონე ჯგუფს.¹⁶²

აღმასრულებლებისთვის ეთიკის კოდექსის შემუშავება და ხელშეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პროფესიის უფრო მაღალ

¹⁶² Kultgen J. Ethics and Professionalism. Philadelphia. University Press of Pennsylvania 1988. pp. 212-213.

სტანდარტებზე აყვანისა და მოსახლეობის ფარგლებში უფრო მასშტაბური დანერგვის უზრუნველსაყოფად. ევროსაბჭოს კომიტეტის მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ-ს რეკომენდაცია მიუთითებს სავალდებულო ეთიკური სახელმძღვანელო დირექტივების შემუშავების აუცილებლობაზე.¹⁶³ მასში გარკვევით არის მითითებული, რომ აღმასრულებელი უნდა იყოს საპატიო და კომპეტენტური პირი მის მიერ ნაკისრი მოვალეობების სისრულეში მოყვანისას და უნდა იმოქმედოს აღიარებული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად. ამდენად ყველა ევროპის ქვეყანაში სადაც გვაქვს კერძო სააღსრულებო სისტემა მოქმედებს ეთიკის კოდექსი და შესაბამისად ეთიკის კომისიები. საქართველოში ეთიკის მარეგულირებელი რაიმე ტიპის დოკუმენტი აღმასრულებლის პროფესიას არ აქვს და შესაბამისად არც კონტროლის რაიმე მექანიზმი არსებობს.

საქმიანობის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და კონტროლის გამართული მექანიზმები, რაც ეფექტიანი აღსრულების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

3.2 პასუხისმგებლობის დაზღვევა

კერძო აღმასრულებლის საქმიანობის წინაპირობაა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ტერმინი პასუხისმგებლობა კანონით გათვალისწინებული მოვალეობაა, რომელიც გულისხმობს პასუხისგებას საკუთარ ქმედებაზე ან უმოქმედობაზე. პასუხისმგებლობა შეიძლება აღებულ იქნეს ნებაყოფლობით ან ის პირს ნორმატიული აქტების საფუძველზე დაეკისროს¹⁶⁴, როგორც ეს არის საქართველოში¹⁶⁵ და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობით აღმასრულებელი პირადად, მთელი თავისი ქონებით არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ზიანისთვის, რაც დადგა სააღსრულებო წარმოების პროცესში მისი ბრალით. ამ ზიანის დასაფარად ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც მას ეკისრება არის პასუხისმგებლობის დაზღვევა პოტენციური

¹⁶³ EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) ENFORCEMENT OF COURT DECISIONS. FRANCE. P. 36. <https://rm.coe.int/european-commission-for-the-efficiency-of-justice-cepej-enforcement-of/168078829e> (გამოხმობილია 25.05.22.)

¹⁶⁴ ჭაბაშვილი ა. (რედ) ადამიანის უფლებათა ლექსიკონი თბილისი 1999წ. გვ. 128.

¹⁶⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14¹¹.

ზიანისთვის, რაც შეიძლება მიადგეს მესამე მხარეს მისი საქმიანობის განხორციელებისას. მოთხოვნები სადაზღვევო ხელშეკრულების დასაბუთებად და დაზღვევის მინიმალური ოდენობა როგორც წესი დგინდება მინისტრის ან პალატის მიერ.¹⁶⁶ საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული რეგულირდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით¹⁶⁷.

3.3 კერძო აღმასრულებელთა ზედამხედველობა საქართველოში

გამოვიკვლიეთ საქართველოს კერძო აღმასრულებელთა პასუხისმგებლობა და კონტროლის მექანიზმები. საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. კერძო აღმასრულებელი პასუხისმგებელია სააღსრულებო წარმოების მხარეების წინაშე მის მიერ მიყენებული ზიანისათვის¹⁶⁸. კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე მონიტორინგს, ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.¹⁶⁹ პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვნად ან სისტემატურად დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს კერძო ან საჯარო ინტერესებს, ამასთან, კერძო აღმასრულებლისათვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება. პასუხისმგებლობის ზომის სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს გაფრთხილება ან სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმება. დადგენილია აგრეთვე კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა და იგი შეადგენს სამ წელს დარღვევის ჩადენის დღიდან¹⁷⁰.

3.4 კერძო აღმასრულებელთა ზედამხედველობა ბულგარეთში

ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა კერძო აღმასრულებელთა საქმიანობის კონტროლი ბულგარეთში. სადაც საქმიანობაზე ზედამხედველობას იუსტიციის

¹⁶⁶ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 86.

¹⁶⁷ იუსტიციის მინისტრის ბრძანება №118 კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ.

¹⁶⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14¹⁶.

¹⁶⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 140 კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე.

¹⁷⁰ იქვე.

სამინისტრო ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს ინსპექტორების მეშვეობით,¹⁷¹ აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება ტარდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა დაინტერესებული პირის განცხადების ან საჩივრის, ან კერძო აღმასრულებელთა პალატის წინადადების საფუძველზე.¹⁷² კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმების ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ინსპექტორს უნდა ჰქონდეს თავისუფალი წვდომა კერძო აღმასრულებლის ოფისსა და მის ოფიციალურ არქივზე.¹⁷³ ყოველი წლის დასრულების შემდგომ სამ თვეში კერძო აღმასრულებელმა იუსტიციის სამინისტროს უნდა წარუდგინოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში.¹⁷⁴ როგორც აღვნიშნეთ კერძო აღმასრულებლები გაწევრიანებულები არიან კერძო აღმასრულებელთა პალატაში, რომლის წევრობა სავალდებულოა ყველა კერძო აღმასრულებლისთვის¹⁷⁵. პალატის ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, პალატის საბჭო, საზედამხედველო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი.¹⁷⁶ აღმასრულებელთა პალატას ჰყავს საკუთარი შიდა ინსპექტირება - ინსპექტორები ეწევიან კერძო აღმასრულებლების აუდიტს ჯგუფებად წელიწადში ერთხელ. კერძო აღმასრულებელთა პალატის დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც შედგება პალატისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისგან აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. ეს კომიტეტი არის უფლებამოსილი დააწესოს სანქციები მას შემდეგ რაც შეისწავლის დარღვევას.

შემაჯამებლად უნდა ითქვას, რომ ბულგარეთში კერძო აღმასრულებლები ექვემდებარებიან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით. ასევე, მაკონტროლებელი ორგანოებია ეთიკის კომისია და სადისციპლინო კოლეგია კერძო აღმასრულებელთა პალატაში¹⁷⁷. მნიშვნელოვანია აღვნიშნოს რომ კერძო აღმასრულებელთა საქმიანობას ასევე აწესრიგებს ეთიკის

¹⁷¹ LAW ON PRIVATE ENFORCEMENT AGENTS Bulgarian law 2005. Article 75.

¹⁷² იქვე. Article 75.

¹⁷³ იქვე. Article 76

¹⁷⁴ იქვე. Article 77

¹⁷⁵ იქვე. Article 3

¹⁷⁶ იქვე. Article 3

¹⁷⁷ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.17. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 20.05.2022.)

კოდექსი, რომელიც ადგენს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, რაც მიზნად ისახავს მათი პროფესიონალიზმისა და ზნეობის განმტკიცებას.¹⁷⁸

4. სააღსრულებო მოსაკრებელი

4.1 შრომის ანაზღაურება

ნებისმიერი პროფესიისთვის მნიშვნელოვანია შრომის ანაზღაურების საკითხი. სათანადო ხელფასს, ისევე როგორც შრომის პირობებს, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ამ პროფესიის და პროფესიაში დასაქმებული პირების განვითარებისთვის. ეს არის ერთ ერთი მთავარი პირობა პროფესიაში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად. მნიშვნელოვანია კორუფციული შესაძლებლობების შეფასებაც, რაც პირდაპირ კავშირშია არასაკმარის ანაზღაურებასთან. ეს საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სააღსრულებო საქმიანობაში. მოცემული საკითხების ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღმასრულებლის პროფესია მაღალი კორუფციული რისკების მატარებელია. კორუფცია კი საფრთხეს უქმნის სამართლის უზენაესობას, დემოკრატიას და ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ხელს უშლის სამართლიანობას და სოციალურ თანასწორობას, კონკურენციას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს. სამწუხაროდ, საქართველოს (და არა მხოლოდ) სააღსრულებო სისტემაში კორუფციული დანაშაულის არაერთი მაგალითია. ამიტომ ჩვენთან, მით უფრო, ახალი კოდექსის ამუშავების პარალელურად, დიდ გამოწვევად რჩება კორუფციულ შესაძლებლობათა შეფასება და კორუფციული რისკების გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია სააღსრულებო სისტემის და აღმასრულებლის ანაზღაურების იმდაგვარი მოწყობა, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული და გამორიცხული ეს რისკები. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში უდავო ფაქტს

¹⁷⁸ Bulgarian Chamber of Private Enforcement Agents <https://www.bcpea.org/en/legal-framework/legislation> (გამოხმობილია 06.06.2022.)

წარმოადგენს ის, რომ ნორმალური და საკმარისი ხელფასი, ეფექტიან და მკვეთრ კონტროლის მექანიზმებთან ერთად, წარმოადგენს პირველ ნაბიჯს პროფესიის ფარგლებში კორუფციის პრევენციასთან ან მის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია რომ სხვა და სხვა ქვეყნებში განსხვავებული შეხედულებაა აღმასრულებლის პროფესიის მიმართ. ზოგიერთ სისტემაში აღმასრულებელი განიხილება, როგორც მიმზიდველი და საპატიო აკადემიური პროფესია, ხოლო ზოგ სისტემებში, იგი ასოცირდება მძიმე, უარყოფილ და ნაკლებად ანაზღაურებად სამუშაოსთან. ქვეყნებში სადაც, აღსრულება საჯარო საქმიანობაა იგი ბიუჯეტიდან ფინანსდება და შედარებით დაბალ ანაზღაურებად პროფესიად ითვლება, აღმასრულებელი იღებს ფიქსირებულ ხელფასს და მისი საზღაური არ არის ამოსაღები მოთხოვნის ოდენობაზე ან და საქმის წარმატებით დასრულებაზე მიბმული,¹⁷⁹ ხოლო იქ სადაც, პროფესია კერძო საქმიანობად რეგულირდება, შედარებით მაღალი ანაზღაურებაა.

კერძო აღმასრულებლის შემთხვევაში შრომის ანაზღაურება გამომდინარეობს სააღსრულებო მოსაკრებლის ოდენობიდან. გამოკვლეულ იქნა კერძო სააღსრულებო მოწყობის ქვეყნებში როგორ ხდება სისტემის დაფინანსება და როგორი სახისაა სააღსრულებო მოსაკრებელი.

ქვეყნებში სადაც, კერძო სააღსრულებო სისტემაა და ურთიერთობა აღმასრულებელსა და კრედიტორს შორის შესაძლებელია დარეგულირდეს ხელშეკრულებით, მიუხედავად აღნიშნულისა, მოსაკრებლის ოდენობა ფიქსირებულია, რათა მოხდეს თვითნებობის თავიდან აცილება და მხარეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსაკრებლის ოდენობამ უნდა უზრუნველყოს აღმასრულებლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მითუმეტეს, რომ აღმასრულებელს ეკრძალება სხვა საქმიანობის განხორციელება.¹⁸⁰

¹⁷⁹ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.44. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 20.05.2022.)

¹⁸⁰ EU ENFORCEMENT ATLAS Civil enforcement in the EU: a comparative overview 2021. P.44. <https://www.enforcementatlas.eu/wp-content/uploads/2021/03/EU-Enforcement-Atlas-Comparative-Report.pdf> (გამოხმობილია 20.05.2022.)

საერთაშორისო სტანდარტები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ მოსაკრებლის სისტემა იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე და მკაფიო. როგორც წესი მოსაკრებლის სტრუქტურა რეგულირდება კანონით. მოსაკრებლის სტრუქტურა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. შესაძლებელია პირობითად ორი სახით დაყოფა თავდაპირველი, წარმოების დაწყების საფასური რომელსაც იხდის კრედიტორი და ძირითადი საფასური. ამასთან, რიგ ქვეყნებში საფასურის ოდენობა და გადახდა მიბმულია უშუალოდ აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ თითოეულ მოქმედებაზე.

4.2 მოსაკრებლის სისტემა საფრანგეთში

გამოკვლევულ იქნა საფრანგეთის მაგალითი სადაც, კერძო სააღსრულებო სისტემაა. აღმასრულებლის ანაზღაურების განაკვეთი განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ. შეთანხმებები ტარიფზე განსხვავდება აღმასრულებლის მიერ გაწეული მომსახურების მიხედვით. როდესაც მომსახურება ჯდება საჯარო სამსახურის კატეგორიაში როგორცაა ყადაღები, გაყიდვები საჯარო აუქციონზე და სხვა, ტარიფი დგინდება კანონით. თუმცა, ტარიფების დადგენა არ არის შეზღუდული, თუკი მომსახურება გამომდინარეობს საქმიანობისგან, რომელიც არ ჯდება მონოპოლიური საქმიანობის ნუსხაში, როგორც არის ფაქტების დადგენა, კონსულტაციები, კერძო შეთანხმებების შედგენა და ა.შ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმიანობა ეხება ვალის ამოღებას, რა შემთხვევაშიც საზღაურის დაანგარიშების სისტემა შეიძლება გამომდინარეობდეს აღმასრულებელსა და კლიენტს შორის შეთანხმებიდან და საზღაური შეიძლება დაეფუძნოს ამოღებული თანხის პროცენტს. მომსახურებებზე, რომლებიც გაწეულია მონოპოლიური აქტივობების კატეგორიიდან და რომლებიც ამგვარად ექვემდებარება ფიქსირებულ საზღაურს, ზოგიერთ შემთხვევაში აგრეთვე შეიძლება დამატებითი საზღაურის დაწესება მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობისას. როგორც წესი, აღმასრულებლის პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ანაზღაურება შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად: თუკი სასამართლო დოკუმენტის ჩაბარება მოხდა, როგორც გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილი, მაშინ ხარჯები ეკისრება

მოვალეს;¹⁸¹ თუკი ეს ეხება ამოღებას, აღმასრულებლის ხარჯები გაიღება კრედიტორის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ამოღება ხდება აღსრულების ბრძანების მეშვეობით, რა შემთხვევაშიც ხარჯები გადაიხდება მოვალის მიერ; თუკი აღმასრულებლის მომსახურება არის არა მონოპოლიური საქმიანობის ნაწილი (ფაქტების დადგენა, კონსულტაციები, კერძო შეთანხმებების შედგენა), აღმასრულებელს უხდის მომსახურების მომთხოვნი მხარე; თუკი აღმასრულებელი მოქმედებს როგორც იურიდიული წარმომადგენელი მოსამართლის მიერ დაკისრებული დავალების შესასრულებლად, (კონსულტაცია, დაკვირვება), აღმასრულებლისთვის გადასახდელ ოდენობას ადგენს მოსამართლე და ასევე განსაზღვრავს მხარეს, რომელმაც უნდა გადაიხადოს ხარჯები წინასწარ. როდესაც საქმეზე, სადაც მხარეები იღებენ უფასო იურიდიულ დახმარებას, დამხმარედ დანიშნულია აღმასრულებელი, მის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.¹⁸²

4.3 სააღსრულებო მომსახურების საფასური ბულგარეთში

ბულგარეთში, სადაც შერეული სააღსრულებო სისტემაა. კერძო აღმასრულებლები სავალდებულოდ გაერთიანებული არიან აღმასრულებელთა პალატაში. პალატა არის სრულად თვითდაფინანსებაზე. შენატანებიდან რომელსაც გასცემენ კერძო აღმასრულებლები და ასევე აქვს საკუთარი შემოსავლებიც მაგალითად სასწავლო სემინარების ორგანიზებიდან¹⁸³. რაც შეეხება სააღსრულებო მომსახურების ტარიფებს. ის როგორც საჯარო ასევე კერძო აღსრულების შემთხვევაში არის აბსოლუტურად იდენტური. კერძო საქმეების შემთხვევაში წინასწარი საფასური არის სავალდებულო, ეს დიდი პრობლემაა ბულგარეთში. იმ მიზნით რომ მოიზიდონ კრედიტორები კერძო აღმასრულებელთა ნაწილი არ იღებეს წინასწარ საფასურს. რაზეც ჩივიან სხვა კერძო აღმასრულებლები, რის გამოც შესაბამისი აღმასრულებელი ჯარიმდება და

¹⁸¹ გოგელაშვილი ნ. საქართველოს სააღსრულებო სისტემის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4 (76), თბილისი 2022. გვ. 148-151.

¹⁸² ა. უიტდევჰაგი. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 179-180.

¹⁸³ Bulgarian Chamber of Private Enforcement Agents www.bcpea.org (გამოხმობილია 06.06.2022.)

ისჯება მიუხედავად ამისა მაინც გრძელდება ეს პრაქტიკა. წინასწარი საფასურის გადახდა არ ხდება სახელმწიფოს მიერ. ასევე, თუ საქმიდან ვერ იქნა ამოღებული თანხა გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად კერძო აღმასრულებლები ვერ მიმართავენ სასამართლოებს დანახარჯების ანაზღაურების სახელმწიფოსთვის დასაკისრებლად. კერძო აღმასრულებელი საკუთარ გამომუშავებაზეა ხოლო სახელმწიფო აღმასრულებლები ფინანსდებიან ბიუჯეტიდან და არ გამოირჩევიან საქმის შესრულების მაღალი ხარისხით, თუმცა რჩებიან კერძო აღსრულების ალტერნატივად.¹⁸⁴

4.4 აღსრულების საფასური საქართველოში

საქართველოში როგორც აღვნიშნეთ გვაქვს შერეული სააღსრულებო სისტემა, ამდენად საფასურის გადახდევინების წესით განსხვავებულია საჯარო და კერძო საქმიანობის შესაბამისად. ორივე შემთხვევაში საფასურის ზღვრული ოდენობა დარეგულირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი განასხვავებს აღსრულების საფასურს და აღსრულების ხარჯს.

აღსრულების საფასურს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს, რომ აღსრულების საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.¹⁸⁵ ასევე მითითებულია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს შემოსავალი სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნულ ბიუროს, გარდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.¹⁸⁶

ძირითადად საფასურის გადახდევინება იყოფა ორ ეტაპად, წინასწარი საფასური, რომელსაც იხდის კრედიტორი სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნისას და საფასური რომელიც ამოიღება საქმის დასრულების ეტაპზე.

¹⁸⁴ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 175-176.

¹⁸⁵ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები. მუხლი 38.

¹⁸⁶ იქვე.

საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. როგორც ძირითადი საფასური ასევე, კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური ამოიღება მოვალისგან¹⁸⁷. საფასურის ოდენობა განსხვავებულია და იგი მიბმულია საქმის კატეგორიაზე, ასევე განსხვავებულია საფასურის დათვლის სისტემაც. ზოგ შემთხვევაში იგი პირდაპირ ოდენობით არის განსაზღვრული მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებისათვის რეგისტრაციას დაქვემდებარებულ თითოეულ ნივთზე და სხვა კატეგორიის საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენისას კრედიტორი თითოეულ მოთხოვნაზე იხდის აღსრულების საფასურს 200 ლარის ოდენობით¹⁸⁸. რიგ შემთხვევებში ხდება პროცენტული დათვლა. მაგალითად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%.¹⁸⁹

რაც შეეხება აღსრულების ხარჯს. იგი არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ უშუალოდ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი, პირობითად ქონების შენახვის, ტრანსპორტირების და სხვა. გაწეული ხარჯი დაეკისრება მოვალეს და ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად¹⁹⁰.

კერძო აღმასრულებლის მიერ გაწეული საქმიანობისთვის დაწესებული საზღაურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება დაინტერესებულ მხარესთან დადებული ხელშეკრულებით.¹⁹¹ კრედიტორის მიერ გადახდილი ან გადასახდელი საზღაურის გადახდა ეკისრება მოვალეს და იგი ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად.¹⁹² არ შეიძლება მოვალეს დაეკისროს საზღაურის გადახდა დადგენილი აღსრულების საფასურის ზღვრულ ოდენობაზე

¹⁸⁷ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები. მუხლი 38. პუნქტი 5.

¹⁸⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 144 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 3, პუნქტი 5.

¹⁸⁹ იქვე. მუხლი 3, პუნქტი 2.

¹⁹⁰ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები. მუხლი 39.

¹⁹¹ იქვე. თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14⁶.

¹⁹² იქვე. თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები. მუხლი 38.

მეტი ოდენობით.¹⁹³ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია, რომ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს¹⁹⁴, ხოლო თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის წარდგენისას გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 2%-ს.¹⁹⁵ აღნიშნული ნორმატიული აქტების გათვალისწინებით კერძო აღმასრულებლები, კონკურენციის პირობების გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში კრედიტორებს სთავაზობენ იმაზე ნაკლებ საფასურის გადახდას ვიდრე ეს დადგენილი აქვს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

შემაჯამებლად უნდა ითქვას, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ორგანიზაციას აქვს მხოლოდ საკუთარი შემოსავალი და ამდენად, მის მიერ გაწეული საჯარო სერვისების უმეტესობა ფასიანია. ღირებულება შესაბამის კანონმდებლობაში აისახება. თუმცა გამოკვლეული მასალით დგინდება, რომ მომსახურების საფასურის განსაზღვრის პოლიტიკა, ან დოკუმენტურად დადასტურებული დასაბუთება ორგანიზაციას არ გააჩნია. გაურკვეველია, რატომ და რა კომპონენტებზე დაყრდნობით დადგინდა და დგინდება ამა თუ იმ სერვისის ღირებულება ან არსებულ სერვისებზე ფასის გაზრდა. სერვისების განფასებას ქაოსური სახე აქვს და არ არსებობს ფასწარმოქმნის ნათელი მეთოდოლოგია.

4.5 მოსაკრებლისგან გათავისუფლების ძირითადი პრინციპები

საკითხის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ კერძო სააღსრულებო სისტემის შემთხვევაში, არც ერთი ქვეყნის შემთხვევაში საქმიანობა არ ფინანსდება ბიუჯეტიდან, ამასთან სახელმწიფო ადგენს ტარიფებს და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ეს ტარიფები და მოსაკრებელი იყოს სათანადოდ დარეგულირებული არ უნდა იყოს და არ არის მხოლოდ აღმასრულებელსა და კლიენტს, (კრედიტორს) შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული. ასევე

¹⁹³ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14¹⁷

¹⁹⁴ იქვე. თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები მუხლი 38, პუნქტი 6.

¹⁹⁵ იქვე. თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები მუხლი 38, პუნქტი 7.

მნიშვნელოვანია, რომ თუკი კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის წარდგენისას ვალდებულია გადაიხადოს მომსახურებისთვის წინასწარი საფასური ან და წარმოების ეტაპზე მას ეკისრება წინასწარი ხარჯი, ქვეყანაში აუცილებელია იყოს ნათელად ჩამოყალიბებული მექანიზმები, თუ რა შემთხვევაში არ ხდება ასეთი ტიპის ხარჯების გადახდა, რათა დაცული იყოს პირის უფლება სააღსრულებო წარმოების მისაწვდომობაზე.

სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ვ. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. დადგინდა, რომ აღსრულებაზე წვდომა არ შეიძლება შეიზღუდოს სააღსრულებო მოსაკრებლის გადახდიდან გამომდინარე: სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნას უფლების აღიარება, არამედ მოიცავს მართებულ მოლოდინს, რომ ეს გადაწყვეტილება აღსრულდება. აღსასრულებლად ხარჯების გადახდის ვალდებულების დაწესება წარმოადგენს წმინდად ფინანსური ხასიათის შეზღუდვას და ამდენად საჭიროებს განსაკუთრებულად მკაცრ შესწავლას სამართლიანობის ინტერესების თვალსაზრისით. მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით კრედიტორისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ აღსრულების საფასურის გადახდა, მისაწვდომი უნდა იყოს ალტერნატიული დაფინანსების სქემები მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსება; ხარჯების გადავადება; ხარჯებისგან გათავისუფლება და სხვა. როდესაც სახელმწიფოში ასეთი დახმარების სქემები არსებობს, იგი უფლებამოსილია გაითვალისწინოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ამ ხარჯების ანაზღაურება მოხდება სააღსრულებო წარმოების შედეგად ამოღებული თანხებიდან¹⁹⁶.

აღსრულების საფასური უნდა იყოს გონივრული ოდენობის, განსაზღვრული უნდა იყოს კანონით და წინასწარ უნდა იყოს ცნობილი მხარეებისთვის. აღნიშნულ საკითხს ეხება აღსრულების მსოფლიო კოდექსი სადაც, აღნიშნულია რომ: აღსრულების ხარჯებს იხდის მოვალე, მაგრამ კრედიტორმა ეს ხარჯები წინასწარ

¹⁹⁶ EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 28 February 2007 Strasbourg. Case APOSTIL v. Georgia №40765/02.

უნდა გადაიხადოს, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღსრულების ხარჯები იყოს ფიქსირებული, გამჭვირვალე და გონივრული. მათ უნდა უზრუნველყონ რომ ყველა კრედიტორს ჰქონდეს აღსრულებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობა. ასევე საჭიროა, რომ სააღსრულებო მომსახურება მოიცავდეს უფასო იურიდიული დახმარებას სააღსრულებო პროცესებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სააღსრულებო მომსახურებისთვის დაწესებულია გარკვეული გადასახადი აუცილებელია გვესმოდეს, რომ მართლმსაჯულება (აღსრულება) მხარეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.¹⁹⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს და დაწვრილებით არის გაწერილი ისეთი შემთხვევები როცა, სააღსრულებო წარმოების დაწყებისთვის წინასწარი საფასურის გადახდა არ ხდება და შემთხვევები როცა კრედიტორი წინასწარი საფასურის გადახდისგან თავისუფლდება¹⁹⁸. ასევე არის შემთხვევები როცა ხდება საფასურის გადახდისა და დაკისრებისგან გათავისუფლება¹⁹⁹.

5. პროფესიული კვალიფიკაცია

5.1. პროფესიაში შესვლის ძირითადი პრინციპები

მნიშვნელოვანია შევხვით აღმასრულებლის და მისი კვალიფიკაციის როლს. აღსრულების პროცესის წარმოებას უზრუნველყოფს აღმასრულებელი, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ სააღსრულებო წარმოების სისრულეში მოსაყვანად ჯეროვნად უფლებამოსილი პირი იმის მიუხედავად, აღნიშნული პირი წარმოდგენილი იქნება თუ არა საჯარო სამსახურში. არავითარი ფორმალური პოზიცია არ არის წარმოდგენილი აღმასრულებელთა პროფესიულ და ინსტიტუციურ სტატუსთან დაკავშირებით. აღმასრულებლის ცნება გულისხმობს სააღსრულებო წარმოებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა პირს. მაგალითად, სააღსრულებო მოსამართლეებს, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში

¹⁹⁷ Global Code of Enforcement. Article 5. https://uihj.com/archive-uihj/en/global-code-of-enforcement_2165010.html (გამოხმობილია 22.05.2022.)

¹⁹⁸ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი VIII აღსრულების საფასური და ხარჯები. მუხლი 38, პუნქტი 11;12.

¹⁹⁹ იქვე. მუხლი 38, პუნქტი 13.

წარმოდგენილ საჯარო მოხელეებს, სასამართლოების დაქვემდებარებაში მყოფ სასამართლო მოხელეებს, დამოუკიდებლად მოქმედ თვითდასაქმებულ პირებს და ზემოაღნიშნულის კომბინაციით მომუშავე პირებს. როგორც წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს სხვადასხვა სახელმწიფოში აღნიშნული პირების როლი, პასუხისმგებლობა, ორგანიზაცია და პროფესიონალური სტატუსი, ასევე მათი სამუშაო პირობები და ანაზღაურება განსხვავდება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიაში შესვლის საკითხს. CEPEJ ევროპის სამართლებრივი სისტემების შეფასებაში აღნიშნავს, რომ აღმასრულებელთა პოსტზე დასანიშნ კანდიდატებს ხშირად მოეთხოვებათ პრაქტიკული სტაჟირების გავლა და/ან იურისტის ხარისხის ქონა.²⁰⁰

ქვეყნების უმეტესობაში პროფესიაში შესასვლელად არსებობს სპეციალური წინასწარი ტრენინგი და საკვალიფიკაციო გამოცდა, აღმასრულებელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაფასებლად. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ აღმასრულებელმა უნდა გაიაროს საწყისი ტრენინგები და შემდგომი გადამზადება, ჩამოყალიბებული და ჯეროვნად სტრუქტურირებული მიზნების შესაბამისად.²⁰¹ აღნიშნული რეკომენდაციით, ევროსაბჭოს კომიტეტი მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ აღიარებს, რომ ეფექტიან სააღსრულებო სისტემას, კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე, ესაჭიროება პროფესიონალი და კვალიფიციური აღმასრულებლები, რომელთაც გააჩნიათ სათანადო უფლება და ეკისრებათ საწყისი ტრენინგების და შემდგომ გადამზადების გავლის ვალდებულება. წინამდებარე რეკომენდაციით გათვალისწინებული პრინციპი იცავს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონს იმ ადამიანების ხელში აღმოჩენისგან, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო განათლება.

აღმასრულებლების როლის, პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილების რეგულირება მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების მიზნით

²⁰⁰ EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) ENFORCEMENT OF COURT DECISIONS. FRANCE. <https://rm.coe.int/european-commission-for-the-efficiency-of-justice-cepej-enforcement-of/168078829e> pp. 328-329 (გამოხმობილია 25.05.22.)

²⁰¹ COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003. https://uihj.com/archive-uhj/en/ressources/21628/65/council_of_europe_recommendation_17_on_enforcement.pdf (გამოხმობილია 22.05.2022.)

მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას აღსრულების ხარისხი. სახელმწიფოებმა აკრედიტაცია უნდა მისცენ აღმასრულებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატებს გააჩნიათ მათი ფუნქციების სირთულესთან შესაბამისი სტანდარტი და ტრენინგი²⁰². პროფესიონალთა მაღალი დონის ტრენინგი მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად და იმისათვის რომ გაიზარდოს მომხმარებელთა ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს აღმასრულებლების პროფესიონალიზმი და მაღალი სტანდარტი. ეს უნდა მოხდეს იმის უზრუნველყოფით, რომ აღმასრულებლებმა, გარდა საწყისი ტრენინგისა, აგრეთვე გაიარონ განგრძობადი სწავლება. CEPEJ 2009 წლის სახელმძღვანელო დირექტივები დეტალურად აღწერს ასეთი ტრენინგების შინაარსს. დამატებით, CEPEJ 2009 წლის სახელმძღვანელო დირექტივების შესაბამისად აღმასრულებლები ასევე უფლებამოსილი უნდა იყვნენ მათ ფუნქციებთან დაკავშირებული მეორადი ფუნქციების შესრულებაზე, რაც მხარეების უფლებების აღიარებასა და დაცვასთან და სააღსრულებო პროცესის ხელშეწყობასთანაა დაკავშირებული.

5.2 სტაჟირება

ცალკე უნდა აღინიშნოს სტაჟირება, უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში სავალდებულოა სტაჟირება. აღნიშნულ პროფესიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილების ქონა. ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია, აღმასრულებლებს, დანიშვნამდე მოეთხოვებათ ასისტენტად რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილება. ჰოლანდიაში, აღმასრულებელს, უნდა ჰქონდეს სულ მცირე ორი წლის აღმასრულებლის ასისტენტად მუშაობის გამოცდილება. აღმასრულებლის ასისტენტად დასანიშნად კანდიდატს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს თეორიული გამოცდები და უნდა ჰქონდეს დასრულებული ერთწლიანი სტაჟირება, ბელგიაში სტაჟირება სულ მცირე ორი წელიწადია აღმასრულებლად დასანიშნად კანდიდატს სულ მცირე ხუთი წელი უნდა ჰქონდეს ნამუშევარი აღმასრულებლის ასისტენტად²⁰³.

²⁰² უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 47

²⁰³ იქვე. გვ. 145-157.

აღმასრულებლებთან მიმართებით უნდა გაიმიჯნოს ტრენინგი სამართლებრივ საკითხებში და ტრენინგი სხვა უნარებში, მაგალითად, მენეჯერულ უნარებში. ეს უკანასკნელი არ უნდა იქნას უგულვებელყოფილი, მითუმეტეს, რომ კერძო აღმასრულებელი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი პირი და ამგვარად, სააღსრულებო ქმედებების გარდა, პასუხისმგებელია ასევე ოფისის მართვაზე.²⁰⁴ ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ პროფესიის მიმართ მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ საწყისი ეტაპით და არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება შემდგომ განვითარებას.

5.3 აღმასრულებლად დანიშვნა ლიეტუვაში

ლიეტუვაში აღმასრულებლები ინიშნებიან და თავისუფლდებიან იუსტიციის მინისტრის მიერ²⁰⁵. ისინი მოქმედებენ ტერიტორიულ პრინციპზე დაყრდნობით. იმისთვის რომ პირი დაინიშნოს აღმასრულებლად იგი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით გაწერილ მოთხოვნებს კერძოდ ლიეტუვას აღმასრულებლები: არიან ლიეტუვას რესპუბლიკის მოქალაქეები; უმაღლეს დონეზე ფლობენ სახელმწიფო ენას; მიაღწიეს ოცდახუთი წლის ასაკს; გავლილი აქვთ პროფესიული ტრენინგი; აქვთ მაგისტრის ხარისხი იურსიპრუდენციაში; მიღებული აქვთ გამოცდილება სხვა იურიდიული სპეციალობის პოზიციაზე; ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის გამოცდა. ლიეტუვაში პირებს, რომლებსაც სურთ დაიკავონ სასამართლო აღმასრულებლის პოზიცია, უტარდებათ გამოცდა სპეციალური საგამოცდო საბჭოს მიერ, რომელთა წევრებიც ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ. იუსტიციის სამინისტროს, სასამართლოების, აკადემიური პერსონალის და სასამართლო აღმასრულებლების წარმომადგენლებისაგან. გამოცდა ტარდება სასამართლო აღმასრულებელთა ლიეტუვას საბჭოში. იუსტიციის მინისტრი, სასამართლო აღმასრულებელთა ლიეტუვას საბჭოს წინადადებით, განსაზღვრავს გამოცდის სტრუქტურას და ადგენს საგამოცდო კითხვებს. პირები, ვინც ჩააბარებენ გამოცდას, იღებენ შესაბამის სერტიფიკატს 3

²⁰⁴ იქვე. გვ. 158.

²⁰⁵ REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON JUDICIAL OFFICERS Vilnius 2002. Article 2. <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/02f9e912839011e5bca4ce385a9b7048?jfwid=5sjolfvw4> (გამოხმობილია 06.06.2022.)

წლის ვადით.²⁰⁶ თითოეული პირს, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს და რომელმაც ჩააბარა გამოცდა, პოზიციაზე დანიშვნისას ასევე დებს ფიცს. აცხადებს რომ: იქნება ერთგული ლიეტუვას რესპუბლიკის, დაიცავს მის კონსტიტუციას და კანონებს, იქნება პატიოსანი და კეთილსინდისიერად შეასრულებს მის მოვალეობებს.²⁰⁷ დამატებით ხდება აღმასრულებელთა შემდგომ კვალიფიკაციაზე ზრუნვა. ყოველი აღმასრულებელი აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ. პოზიციაზე დანიშვნის დღიდან ან წინა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დღიდან. ყოველ ხუთ წელიწადში სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია დააგროვოს საკვალიფიკაციო კრედიტები, რაც მას საშუალებს მისცემს სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან. საკრედიტო ქულები გაიცემა მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით აკადემიური ან სამეცნიერო საქმიანობისთვის, კურსებისა და სემინარების დასწრებისთვის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობებისთვის, რაც ზრდის აღმასრულებლების კვალიფიკაციას.²⁰⁸

5.4 პროფესიაში შესვლის სტანდარტი საფრანგეთში

საფრანგეთში კერძო აღმასრულებლები ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ. აღმასრულებლად დანიშვნისთვის გაწერილია მოთხოვნები და პირი მათ უნდა აკმაყოფილებდეს რომ მიიღოს უფლება აღმასრულებლად მუშაობის. დანიშვნის ზოგადი პირობებია: საფრანგეთის ეროვნება, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნების კოდექსით; არ უნდა ჰქონდეთ კრიმინალური ისტორია და არ უნდა იყოს მიღებული რაიმე დისციპლინური ზომები მათ წინააღმდეგ; არასდროს არ უნდა ჰქონდეთ ჩადენილი ღირსების, პატიოსნების და მორალის საწინააღმდეგო ქმედება; არასდროს არ უნდა იყვნენ ცნობილი გაკოტრებულად. დამატებითი მოთხოვნებია: კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ

²⁰⁶ Bailiffs of Lithuania <https://www.antstoliurumai.lt/en/lietuvos-antstoliu-rumai> (გამოხმობილია 06.06.2022.)

²⁰⁷ REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON JUDICIAL OFFICERS Vilnius 2002. Article 9. <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/02f9e912839011e5bca4ce385a9b7048?jfwid=5sjolfvw4> (გამოხმობილია 06.06.2022.)

²⁰⁸ უიტდეჰააგი ა. აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. 2017 წ. გვ. 145-170.

უნივერსიტეტის ხარისხი სამართალში; გავლილი უნდა ჰქონდეს პრაქტიკული ტრენინგი; ჩაბარებული უნდა ჰქონდეს პროფესიული გამოცდა²⁰⁹.

პროფესიაში შესვლის სტანდარტული მეთოდი კი შემდეგნაირია: მომავალ აღმასრულებელს უნდა ჰქონდეს იურისტის ხარისხი ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია პრაქტიკული ტრენინგის დაწყებამდე. პრაქტიკული ტრენინგის ხანგრძლივობა ორი წელია, რომლის ნახევარი გატარებულ უნდა იქნას აღმასრულებლის ოფისში. მეორე ნახევარი უნდა შესრულდეს ნოტარიუსის, აუქციონისტის, იურისტის, ბუღალტრის, საჯარო მმართველის, კომპანიის იურიდიული ან საგადასახადო დეპარტამენტის ან რეგულირებული იურიდიული ან სასამართლო პროფესიის წევრთან საზღვარგარეთ. პრაქტიკული ტრენინგის ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს ერთი წლით იმ კანდიდატებისთვის, რომელთაც ჩაბარეს კომერციული სასამართლოს თანაშემწის, აუქციონისტის, ნოტარიუსის გამოცდა ან კანდიდატისთვის, რომელსაც აქვს მეორე ხარისხის იურიდიული განათლება, რითაც მათ ენიჭებათ იურისტის კვალიფიკაცია. პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას და ტრენინგ კურსებს, რომლებიც ტარდება აღმასრულებელთა ეროვნული პალატისა და პროცესის ეროვნული სკოლის მიერ. პრაქტიკული ტრენინგის პერიოდი სრულდება პროფესიული გამოცდით გამომცდელთა ეროვნული საბჭოს წინაშე. ამ საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, უნივერსიტეტის უფროსო ლექტორი, სამი აღმასრულებელი და აღმასრულებლის მდივანი.²¹⁰

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი უშვებს გამონაკლისს, პროფესიაში შესვლის სტანდარტული მეთოდიდან, პრაქტიკული ტრენინგის სრული ან ნაწილობრივი მოთხოვნიდან, პროფესიული გამოცდის მოთხოვნიდან და ხარისხის კვალიფიკაციის მოთხოვნიდანაც კი, გამონაკლისი თითოეულ შემთხვევაზე გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის სამინისტრო აღმასრულებელთა ეროვნული პალატის რჩევის საფუძველზე.²¹¹

საფრანგეთში აღმასრულებლად დანიშვნის ერთ ერთი პირობაა აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ეს წესი რეგულირდება

²⁰⁹ იქვე.

²¹⁰ იქვე.

²¹¹ იქვე.

1975 წლის 14 აგვისტოს განკარგულების N° 75-770 შესაბამისად. გამოცდაზე დაიშვებიან: ყველა შიდა კადრი იურისტის ხარისხის გარეშე აღმასრულებლის ოფისში ათ წლიანი მუშაობის შემდეგ, რომლიდანაც სულ მცირე ხუთი წელი პირი მსახურობდა მთავარი მდივნის როლში და იმ პირობით, რომ მოპოვებულ იქნება ENP-ს²¹² დიპლომი; ყველა გარე კანდიდატი, რომელსაც აქვს ოთხწლიანი მაგისტრატურის ხარისხი სამართალში. აკადემიურ ეტაპს უნდა მოსდევდეს ორწლიანი ტრენინგის პერიოდი აღმასრულებლის ოფისში.²¹³

ყოველწლიურად ტარდება ორი გამოცდა პარიზში, გამომცდელთა ეროვნული საბჭოს მიერ, რომელიც ინიშნება იუსტიციის მინისტრის მიერ და რომელსაც ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. გამომცდელთა საბჭო შედგება მოსამართლეებისგან, უნივერსიტეტის ლექტორებისგან, აღმასრულებლებისა და მდივნებისა და უფროსი მდივნებისაგან. გამოცდა შედგება წერილობითი და ზეპირი ტესტისგან და გამოირჩევა სიმკაცრით 70-75%-მდე ჩაჭრის მაჩვენებლით. საბოლოო პროფესიული გამოცდა ფინანსდება აღმასრულებელთა ეროვნული პალატის მიერ.²¹⁴

ასევე დიდი ყურადღება ენიჭება აღმასრულებელთა სამომავლო კვალიფიკაციას. ამ მიზნით დაწესებულია ტრენინგები. 2005 წელს, პროცესის ეროვნულმა სკოლამ (ENP) შემოიღო ტრენინგის ახალი სისტემა. ENP-მა შექმნა სპეციალური განყოფილება სახელწოდებით ENP PRO, რომელიც საფრანგეთის მასშტაბით ორგანიზებას უწევს ტრენინგებს ექსკლუზიურად აღმასრულებლებისთვის და ატარებს განგრძობად ტრენინგებს აღმასრულებელთა რეგიონული ან დეპარტამენტული პალატების მოთხოვნით. განგრძობადი ტრენინგი შეიძლება აგრეთვე მიწოდებულ იქნას სხვა ეროვნული ან საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების ან შეკრებების მეშვეობით. სავალდებულო განგრძობადი ტრენინგის ვალდებულების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ რეგიონული პალატის მიერ გაგზავნილი ინსპექტორები ყოველწლიურად, რომლებიც ამოწმებენ აღმასრულებლების

²¹² Ecole nationale droit et procédure du personnel des avocats ENADEP - Ecole nationale droit et procédure du personnel des avocats (გამოხმობილია 06.06.2022.)

²¹³ იქვე.

²¹⁴ იქვე.

ოფისებსა და საქმიანობას რათა უზრუნველყონ, რომ ისინი აკმაყოფილებენ პროფესიული პრაქტიკის მოთხოვნებს.²¹⁵

5.5 კერძო და საჯარო აღმასრულებლის დანიშვნა საქართველოში

რაც შეეხება საქართველოს. აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით²¹⁶, ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროები დაკომპლექტებული არიან აღმასრულებლებით, რომლებიც აღსასრულებელ გადაწყვეტილებებს აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით უშუალოდ ადასრულებენ²¹⁷, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.²¹⁸ აღმასრულებლის თანამდებობაზე დანიშვნა მოწესრიგებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში აღსრულების ეროვნულ ბიუროში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“. აღსანიშნავია, რომ რაიმე სახის განსაკუთრებული მოთხოვნები პირის აღმასრულებლად დანიშვნის შემთხვევაში ნორმატიული აქტებით არ არის დარეგულირებული და მხოლოდ ბიუროს მიერ გამოცხადებულ კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნებშია ასახული, რომელიც დგინდება ინდივიდუალურად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში. სამწუხაროდ, არ ეთმობა სათანადო ყურადღება აღმასრულებელთა პროფესიაში შესვლას და შემდგომ უნარების მუდმივ განვითარებას. რამაც თავისი როლი შეასრულა აღსრულების ეფექტიანობის შემცირების შედეგის დადგომაში. მაღალია აღმასრულებელთა მოქმედებების გასაჩივრების სტატისტიკა როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასამართლო წესით.

რაც შეეხება კერძო აღმასრულებლებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი,

²¹⁵ იქვე.

²¹⁶ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თავი II აღსრულების ორგანოები მუხლი 5 პუნქტი 1.

²¹⁷ იქვე. მუხლი 5 პუნქტი 2.

²¹⁸ იქვე. მუხლი 4 პუნქტი 6.

რომელიც საჯარო უფლებამოსილებას, სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მას უფლება აქვს, სამუშაოზე აიყვანოს და სამუშაოდან გაათავისუფლოს მუშაკი საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად და განკარგოს სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებული საზღაური.²¹⁹ სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიას შესაბამისი წესით გაცემს აღსრულების ეროვნული ბიურო. ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: არის ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით. ასევე მას უნდა ჰქონდეს სათანადო წესით აღჭურვილი სამუშაო ადგილი²²⁰, სამსახურებრივი ბეჭედი, ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიში და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.²²¹ სააღსრულებო საქმიანობის დაწყების მომენტი პირდაპირ კავშირშია კერძო აღმასრულებლის რეგისტრაციასთან კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რომელსაც ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო.

კერძო აღმასრულებლის ლიცენზიის მოპოვების ერთ-ერთი წინაპირობაა აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, აღნიშნული რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად და მასში აღნიშნულია, რომ აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა შემდგომში აღმასრულებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ან/და კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს ოცდაერთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (განსაკუთრებულ შემთხვევაში,

²¹⁹ იქვე. თავი III² კერძო აღმასრულებელი მუხლი 14⁶.

²²⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №116 კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მოწყობის წესის დამტკიცების თაობაზე.

²²¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №118 კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობით, უმაღლესი განათლება) და ფლობს სახელმწიფო ენას. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შეფასების მიზნით, 9 წევრის შემადგენლობით იქმნება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე²²². უნდა აღინიშნოს, რომ აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ძირითადი მიზანი ის, რომ, მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა მოხდეს შემდგომში აღმასრულებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ფაქტობრივად არ სრულდება, უკანასკნელად აღმასრულებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 2010 წელს.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ თუ ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებადაა რეგულირებული როგორც პროფესიაში შესვლის, ასევე, შემდგომი კვალიფიკაციის საკითხები, საქართველოში აღმასრულებლად დანიშვნის პირობები მოუწესრიგებელია. არ არსებობს ასევე, რეგულაცია პროფესიაში მყოფ პირთა შემდგომი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და არც პროფესიის განვითარების სისტემა.

6. ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი კომპონენტები

ჩვენს მიერ, აღსრულების სისტემათა კვლევის შედეგად, აღსრულების ორგანიზაციული მოწყობის ძირითად კომპონენტებად მივიჩნიეთ და გამოკვლევულ იქნა ისეთი საკითხები როგორც არის ორგანიზაციული მოწყობა; საქმიანობის ზედამხედველობა და კონტროლი; სააღსრულებო მოსაკრებელი; პროფესიული და სამართლებრივი ჩარჩო. აღნიშნული შევისწავლეთ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების მაგალითზე.

გამოკვლევული მასალებით დგინდება, რომ მსოფლიოში არსებულ სისტემებს შორის შესაძლებელია სამი დომინანტი ფორმის გამოყოფა: სასამართლოს დაქვემდებარებული სააღსრულებო საქმიანობა; საჯარო სამსახურზე დაფუძნებული აღსრულება (ამ შემთხვევაში, რომელიმე სამინისტროს

²²² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 05.05.2009წ. ბრძანება №92 აღმასრულებლის საკვალიფიკაციო-საგამოცდო პროგრამის, მისი ჩატარების, საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის შექმნის და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 16.

დაქვემდებარებული საჯარო მოხელეები ეწევიან სააღსრულებო საქმიანობას) და დამოუკიდებელი, თვითდასაქმებული კერძო აღმასრულებლები. არსებობს ქვეყნები შერეული მოდელით, მათ შორის, საქართველო. ამ შემთხვევაში, აღმასრულებლები არიან აღმასრულებელ ხელისუფლებას დაქვემდებარებული მოხელეები და პარალელურად საქმიანობენ კერძო აღმასრულებლები.

მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები. კვლევამ ცხადყო, რომ სხვადასხვა მოწყობის აღსრულების ორგანოებს აქვთ განსხვავებული ზედამხედველობა. ჩვეულებრივ, ამ პროცესს ახორციელებს ის ორგანო, რომელსაც სააღსრულებო საქმიანობა ექვემდებარება. ცალკე გამოსაყოფი საკითხია პროფესიული ეთიკა. ჩვენ მიერ გამოკვლეულ ქვეყნებში არსებობს ეთიკის კოდექსი და მოქმედებს ეთიკის კომისია. საქართველოში აღმასრულებელს არა აქვს ეთიკის მარეგულირებელი დოკუმენტი და შესაბამისად, არც კონტროლის მექანიზმი.

მნიშვნელოვანი საკითხია აღსრულების საფასური. აღსრულების საერთაშორისო სტანდარტები დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ ქვეყნებში მოსაკრებლის სტრუქტურა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. ჩვეულებრივ, მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის წესი კანონმდებლობით რეგულირდება. აღნიშნული საკითხი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. პირობითად, შესაძლებელია ორგვარი დაყოფა: თავდაპირველი წარმოების დაწყების საფასური, რომელსაც იხდის კრედიტორი და ძირითადი საფასური, რომელსაც კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილ საფასურთან ერთად, იღებენ მოვალისგან. მსგავსი სისტემაა საქართველოში. რიგ ქვეყნებში, მათ შორის, საფრანგეთში, საფასურის ოდენობა და გადახდა არა მხოლოდ აღნიშნულ საფუძვლებს, ასევე, აღმასრულებლის მიერ განსახორციელებელ ცალკეულ ქმედებებს ებმება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის წარდგენისას ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების წინასწარი საფასური ან/და წარმოების ეტაპზე წინასწარი ხარჯი ეკისრება, აუცილებელია არსებობდეს მკაფიო კრიტერიუმები, რა შემთხვევაში არ უნდა გადაახდევინონ მსგავსი გადასახადები. ეს დაიცავს პირის უფლებას სააღსრულებო წარმოების მისაწვდომობაზე და თავისთავად ნიშნავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რაც

სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის და აღსრულების უფლებას მოიცავს.

რაც შეეხება პროფესიულ სტატუსს. კერძო თუ საჯარო მოწყობის მიუხედავად, მნიშვნელოვანია აღმასრულებლის სტატუსის განსაზღვრა. სახელმწიფოებმა აღმასრულებლების პროფესიული სტატუსი თავად უნდა განსაზღვრონ. აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერაა უფლებამოსილი და საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი საქმიანობა ევალება. შესაბამისად, სათანადოდ, მაღალპროფესიული და ეთიკური სტანდარტებით უნდა მოქმედებდეს. განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა დაეთმოს ბალანს სააღსრულებო წარმოებისას. აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანია მხარეთა შორის არსებული უფლებებისა და ინტერესების ბალანსის დაცვა. ამასთან, აღსრულების საერთაშორისო წესები ყურადღებას ამახვილებს აღსრულებაში მედიაციის მნიშვნელობაზე. ამდენად მნიშვნელოვანია აღსრულების ორგანიზაციული მოწყობისას გათვალისწინებულ იქნას სააღსრულებო მედიაციის განხორციელების შესაძლებლობა, რაც კერძო სააღსრულებო სისტემის მოწყობის ქვეყნებში მეტად არის აპრობირებული. სააღსრულებო მედიაცია ეხმარება სოციალური ფუნქციის გაძლიერებას, საზოგადოების სოციალურ ურთიერთობათა შენარჩუნებასა და სოციალურ-სამართლებრივ სტაბილურობას.

დასკვნა

აღსრულების როლი აღიარებული და ფასდაუდებელია, როგორც მართლმსაჯულების, ასევე ეკონომიკური განვითარების ჭრილში, საჯარო-სამართლებრივი წესრიგის აღდგენასა და ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში.

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში სააღსრულებო სფეროში პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება: მოძველებული საკანონმდებლო ჩარჩო, აღსრულების სფეროში ჩართული სუსტი ინსტიტუტები, ეკონომიკური და სოციალური გარემოებები, წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული პრობლემები, საბჭოთა წარსული, ოთხმოცდაათიანი წლები, ომი - ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე სააღსრულებო პროცესებზე. ამას ემატება მოვალის დამოკიდებულება დავალიანების გადაუხდელობისა და ზოგადად, შემწყნარებლური მიდგომა ვალდებულების შეუსრულებლობისადმი. აღმასრულებლის მიმართ უპატივცემულობა; ამავდროულად, სათანადო ყურადღება არ ეთმობა აღმასრულებელთა კვალიფიკაციას და პროფესიული უნარების მუდმივ განვითარებას, რაც აღსრულების ნაკლებ ეფექტიანობას განაპირობებს. პრობლემაა საქმეთა სიმრავლეც, რის გამოც აღსრულების ეფექტიანობა მკვეთრად იკლებს.

მსჯელობას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის სტატისტიკური მონაცემები. დღევანდელი მდგომარეობით, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია 400 286 საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ სააღსრულებო წარმოებაში ჩართულია სულ ცოტა, ორი ამდენი სუბიექტი. ეს შეუძლებელს ხდის ყველა კრედიტორისა და მოვალის ინტერესის თანაბრად და დროულად დაცვას, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის მართლმსაჯულების ხარისხზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის მიზანი მიღწეულია. ნაშრომით დასტურდება საქართველოში არსებული აღსრულების მოდელის ცვლილებისა და კერძო აღმასრულებლის სისტემაზე გადასვლის აუცილებლობა.

არსებული მასალების სიღრმისეული ანალიზისა და გამოწვევათა კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი დასკვნითი დებულებები და გაიცა

რეკომენდაციები, რომელთა ჩამოყალიბებაშიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა.

- საქართველოში აღსრულების სისტემის მოდერნიზების საკითხი კვლავაც აქტუალურია. ქვეყნის სწრაფვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, საჭირო გახადა არსებული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია. ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სააღსრულებო მოდელი, რომელიც დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და დღევანდელ რეალობას უპასუხებს.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სათანადოდ აცნობიერებდეს გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემის გამართული ფუნქციონირების როლს და იმას, რომ საჯარო თუ კერძო მოწყობის მიუხედავად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება და უნარი, უზრუნველყოს ქვეყანაში სათანადო აღსრულების სისტემის არსებობა.

- ნაშრომზე მუშაობისას გამოვიკვლიეთ საქართველოში მოქმედი სახელმწიფო და კერძო სააღსრულებო სისტემების შექმნისა და განვითარების ისტორია. სისტემამ არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ამასთან საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია აღსრულების კოდექსის პროექტი, რომლითაც არსებული მოდელი იცვლება. კერძოდ, აღსრულების მოქმედი, ეგრეთ წოდებული შერეული სისტემა, რომლის მიხედვითაც, აღსრულებას ახორციელებს როგორც სახელმწიფო ორგანო - იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნულ ბიურო, ისე კერძო აღმასრულებლები, ერთიანდება და ერთ სისტემად ყალიბდება. აღმასრულებლები აღმასრულებელთა პალატაში გაერთიანდებიან. ამასთან, აღსრულების ეროვნული ბიუროც რჩება. მივიჩნევთ რომ პროგრესული ნაბიჯია სრულად კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღება, რაც ხელს შეუწყობს

საქართველოში სააღსრულებო საქმიანობის მოქნილობას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ სააღსრულებო სისტემის ამდაგვარი ფორმირება, როდესაც არსებობს აღმასრულებელთა პალატა და ამავე დროს, აღსრულების ეროვნული ბიურო, ჩვენ მიერ გამოკვლეული არც ერთი ქვეყნის მოდელში არ გვხვდება. კანონპროექტის არსებული სახით მიღების შემთხვევაში, საფრთხილოა ამ ორ უწყებას შორის კომპეტენციების აღრევა და დუბლირება.

რეკომენდებულია, აღნიშნულის გათვალისწინება და შესაბამისად ჩამოყალიბდეს სისტემის რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები და მეთოდები, უნდა ჩამოყალიბდეს, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, ერთიანი სააღსრულებო მოდელი.

- საქართველოს პარლამენტის მიერ, პირველი მოსმენით, ჯერ კიდევ 2021 წლის მაისში, აღსრულების კოდექსის პროექტია მიღებული, რომელიც საბოლოოდ დღემდე არ მიუღიათ. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ საკითხი ხელოვნურად ჭიანურდება. რეკომენდებულია, დროულად მოხდეს ახალი კოდექსის მიღება და აღსრულების სისტემის რეფორმირება.
- ახალი კოდექსის მიღების პარალელურად, უნდა დაიგეგმოს და გამჭვირვალედ წარიმართოს სისტემის რეფორმირების პროცესი. ჩვენს მიერ რეკომენდებულია მასში სამოქალაქო და ბიზნესსექტორის ჩართულობა. ასევე, ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ინტერესებისა და საჭიროებების, პოლიტიკური, სოციალურ-სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინება.
- კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში სათანადო ყურადღება არ ეთმობა აღმასრულებლის პროფესიაში შესვლას და შემდგომ განვითარებას. აღსრულების კოდექსის პროექტით, ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან, კერძო აღმასრულებლები წარმოგვიდგებიან სისტემის მთავარ აქტორებად. აღმასრულებელს ევალება მართლმსაჯულების აღსრულების უმნიშვნელოვანეს საქმეს

გაუძღვეს, ისინი უნდა იცნობდნენ სამართლის სხვადასხვა დარგს, მუდმივად ეცნობოდნენ სასამართლო პრაქტიკას, ფლობდნენ საქმის მართვის და მხარეებთან კომუნიკაციის კარგად განვითარებულ უნარებს. საჭიროა აღმასრულებელთა პროფესიული განვითარების კარგად ორგანიზებული, ეფექტიანი სისტემის არსებობა. პირები, რომელთაც დაევალით აღსრულება, უნდა დაექვემდებარონ პროფესიული სტატუსის მომწესრიგებელ რეგულაციას.

ჩვენი რეკომენდაციაა, შეიქმნას აღმასრულებელთა სკოლა. რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებელთა პროფესიული განვითარების, ევროპული სტანდარტების, შესაბამისი სისტემის დანერგვას. შეიმუშავეს, საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებულ, აღმასრულებელთა პროფესიაში დაშვების, მომზადებისა და პროფესიული განვითარების ქართულ მოდელს. რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებელთა მაღალ პროფესიონალიზმს, კვალიფიციურობას და საქმეთა დამოუკიდებლად მართვის უნარების გამომუშავებას.

- აღსრულების სისტემის ორგანიზაციული მოწყობის ერთ-ერთი შემადგენელია მონიტორინგისა და კონტროლის კარგად ფუნქციონირებადი სისტემა. სხვადასხვა ქვეყნის კვლევამ აჩვენა, რომ უმეტეს ქვეყნებში განვითარებულია პროფესიის კონტროლი ეთიკის კუთხით, აღნიშნული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კერძო სააღსრულებო სისტემის მოწყობისას. საქართველოში აღმასრულებლის პროფესიას არ აქვს ეთიკის მარეგულირებელი რაიმე ტიპის დოკუმენტი და შესაბამისად არც კონტროლის მექანიზმი.

რეკომენდებულია საქართველოში დაინერგოს პროფესიის კონტროლი ეთიკის კუთხით. აღმასრულებლებისთვის შემუშავდეს ეთიკის კოდექსი, რაც პროფესიის უფრო მაღალ სტანდარტებზე აყვანისთვის მნიშვნელოვანია. ევროსაბჭოს კომიტეტის მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე CEPEJ-ს რეკომენდაცია, ასევე

მიუთითებს სავალდებულო ეთიკური სახელმძღვანელო დირექტივების შემუშავების აუცილებლობას. აღმასრულებელი უნდა იყოს საპატიო და კომპეტენტური პირი და იმოქმედოს ზნეობრივ-ეთიკური ნორმებისა და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

- სრული ბუნდოვანება და ქაოსია საქართველოში სააღსრულებო მოსაკრებლის ოდენობასთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს სააღსრულებო საფასურისა და ზოგადად, აღსრულების ეროვნული ბიუროს / აღმასრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ფასწარმოქმნის ნათელი მეთოდოლოგია. აღნიშნული კიდევ მეტად, საყურადღებოა კერძო სააღსრულებო სისტემის პირობებში, როცა ინდივიდუალურად იქნებიან აღმასრულებლები თანხის მიმღებები და გადასახადის, თუ მიმდინარე ხარჯების გადამხდელები.

რეკომენდებულია სერვისების განფასების ერთიანი სტანდარტის შემუშავება. უნდა შეიძლებოდეს სერვისის დანახარჯებისა და თვითღირებულების დადგენა და შესაბამისად, მისი ღირებულების განსაზღვრა. სერვისის ხარჯების ცოდნა შესაძლებელს გახდის გაანალიზდეს და შემუშავდეს ნაკლები ხარჯით ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობა. სტანდარტის არსებობა მეტად გამჭვირვალეს გახდის პროცესს და გაამარტივებს ახალი სერვისების დანერგვისას მათი ღირებულების განსაზღვრის საკითხს, ან/და არსებულ სერვისებზე ფასის გაზრდას. გამორიცხავს სუბიექტურ შეხედულებებს, იქნება უფრო გონივრული და სამართლიანი.

- ახალი აღსრულების კოდექსის მიღების შემთხვევაში, როდესაც საქართველო სრულად გადავა კერძო სააღსრულებო სისტემაზე, უდიდეს გამოწვევად რჩება ანაზღაურების საკითხი, რაც ასევე განაპირობებს კერძო აღმასრულებლებს შორის კონკურენციას. ჩვენ მიერ შესწავლილი ქვეყნებიდან, ვფიქრობთ, საფრანგეთის მოდელი საქართველოს რეალობას ყველაზე მეტად შეესაბამება.

რეკომენდებულია მოსაკრებლის ორად დაჯგუფება: ისეთ მომსახურებაზე, რომელიც განეკუთვნება საჯარო, აღსრულების მონოპოლიურ საქმიანობას, როგორცაა დაყადება, აუქციონის ჩატარება, ძებნა და სხვა, სახელმწიფომ ტარიფები კანონით უნდა განსაზღვროს და ყველა კერძო აღმასრულებლისთვის გაათანაბროს. თუ მომსახურება გამომდინარეობს საქმიანობიდან, რომელიც არ იქნება მონოპოლიური საქმიანობის ნუსხაში, საფასური შეიძლება აღმასრულებელსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმებით განისაზღვროს. თანხის ამოღების შემთხვევაში, ეს ციფრი, შესაძლოა, ამოღებული თანხის პროცენტს დაეფუძნოს. რა თქმა უნდა მოვალეზე დაკისრებული საფასურის მაქსიმალური ზღვარი ასევე კანონმა უნდა დაარეგულიროს. აღსრულების საფასური გონივრული, კანონით განსაზღვრული და მხარეებისთვის წინასწარ ცნობილი უნდა იყოს.

- სააღსრულებო სისტემის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა საქმეთა სიმრავლეა, რასაც განაპირობებს დაგროვილი სააღსრულებო წარმოება. სისტემის ცვლილების და ახალი კოდექსის ამოქმედების ეტაპზე ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდება. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ ახალ მოდელზე გადასვლის შემდგომ კერძო აღმასრულებლებს ტერიტორიული პრინციპის დაცვით ექნებათ საქმის წარმოებაში მიღების ვალდებულება. ამასთან, ბიუროს წარმოებაში ნაშთის სახით დაგროვილი საქმეები კერძო აღმასრულებლებზე გადანაწილდება. შესაბამისად, ერთ აღმასრულებელს იმდენი საქმე მიეცემა, რომელთა მართვაც ფაქტობრივად შეუძლებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ დაგროვილ საქმეთა 80% ადმინისტრაციული ჯარიმის კატეგორიის საქმეებია. ჩვენ მიერ რეკომენდებულია, აღსრულების ეროვნული ბიუროს ბაზაზე, ახალი კოდექსის ამუშავების გარდამავალ ეტაპზე, შენარჩუნდეს აღმასრულებელთა გუნდი, რომლებიც ადმინისტრაციული ჯარიმის კატეგორიის საქმეებს დაასრულებენ. ამასთან, აღსრულების კოდექსის

პროექტის თანახმად, აღსრულების შეწყვეტის საფუძველია, თუ ადმინისტრაციული სახდელის სახით, ჯარიმის შემთხვევაში, სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 წელი გავიდა. შესაბამისად, შესაძლებელია გუნდის ფორმირებისთვის საჭირო ვადის ზუსტად დადგენა. ეს შეამცირებს რისკებს, რომელთა წინაშეც გადატვირთულობის გამო დადგება სისტემა, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს აღსრულების ხარისხის მკვეთრად გაუარესება.

- საქართველოს რეალობაში პრობლემები ვლინდება სააღსრულებო წარმოების ეტაპზე - როგორც მხარეთა უფლებების ბალანსის, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით. თანაზომიერების პრინციპი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს შემადგენელია, სათანადოდ უნდა დაიცვან სააღსრულებო წარმოებისას. აღსრულების პროცესში განხორციელებული პრაქტიკული ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნის ოდენობას.

ჩვენ მიერ რეკომენდებულია, საკანონმდებლო რეგულაციით მოხდეს აღნიშნული საკითხის დაწესება. კერძოდ, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში ან სამომავლოდ, აღსრულების კოდექსის კანონპროექტში გაჩნდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ საქმის მწარმოებლის ნებასა და ბიუროს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ, კანონით განისაზღვროს პროპორციულობის პრინციპის დაცვის ვალდებულება.

- სააღსრულებო წარმოების ეტაპზე პრიორიტეტი ყოველთვის უნდა მიენიჭოს ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას, მხარეთა შორის შეთანხმებას. ამისთვის მნიშვნელოვანია საქმის მწარმოებლის სათანადო მიდგომები და საკანონმდებლო რეგულაციები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ვალდებულების შესრულების განწილვადებას, სადაც არის დათქმა, რომ ვალდებულების შესრულების განწილვადება მხოლოდ 12

თვემდე ვადით შეიძლება. ანალოგიური ჩანაწერია აღსრულების კოდექსის კანონპროექტში, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო მიდგომებს და ზღუდავს მხარეებს.

რეკომენდებულია ამ ნორმის ცვლილება. მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ ვალდებულების შესრულების განწილვადების ვადა - აღსრულების საერთო ხანდაზმულობის ფარგლებში.



- საქართველოში სულ უფრო ძლიერდება მედიაცია, მათ შორის, სააღსრულებო წარმოების ეტაპზე. კერძო სააღსრულებო სისტემის ფარგლებში კიდევ უფრო მეტად არის შესაძლებელი მედიაციის განვითარება. მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პოლიტიკას მხარი დაუჭიროს კანონმდებლობამაც. აღსრულების კოდექსის კანონპროექტში ვხვდებით მუხლს „მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება და მედიაცია“

რეკომენდებულია, მედიაცია არა მხოლოდ ვალდებულების განწილვადების ქრილში იქნეს დაშვებული, არამედ, მიეცეს უფრო ფართო უფლებამოსილება. კანონში გაჩნდეს ცალკე თავი, რომელიც სააღსრულებო მედიაციას მიემდგვნება. მასში კონკრეტულად და უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი მედიაცია სააღსრულებო წარმოებისას. ეს ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებას, პროცესი მხარეთა საუკეთესო ინტერესების დაცვით წარიმართება. შესაბამისად, გაიზრდება აღსრულების ეროვნული ბიუროსადმი კმაყოფილება და პოზიტიური დამოკიდებულება. განვითარდება სახელმწიფოს მხარდაჭერა.


დანართები

თავი I

დანართი 1.




დანართი 2.




დანართი 2.


გსმენიათ თუ არა აღსრულების შესახებ



გსმენიათ თუ არა სააღსრულებო საქმიანობის სპეციფიკის შესახებ




გქონდათ თუ არა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლება-მოვალეობებზე




დანართი 3

გამოკითხულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში




გამოკითხულთა პროცენტული რაოდენობა გენდერულ ჭრილში




დანართი 4.

გამოკითხულთა რაოდენობა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში


■ კაცი ■ ქალი



გამოკითხულ კაცთა პროცენტული რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში



გამოკითხულ ქალთა პროცენტული რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში




თავი III

დანართი №1

აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2023 წლის აპრილის ბოლოს წარმოებაში არსებული საქმეები კატეგორიების მიხედვით.

უზრუნველყოფილი იპოთეკით	1397
უზრუნველყოფილი გირავნობით	421
არაუზრუნველყოფილი სამოქალაქო საქმე	87312
ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა	3731
შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულება	627
ალიმენტი	8845
სახელმწიფო ბაჟი	10133
ადმინისტრაციული ჯარიმა	250025
სისხლის სამართლის საქმე	19840
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება	634
სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღსასრულებელი	258
საგადასახადო იპოთეკა/გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაცია	2684
სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელი	8520
ყველა სხვა კატეგორია	5859
სულ	400286


2023 წლის ბოლოს აებ-ს წარმოებაში დარჩენილ საქმეთა რაოდენობა



დანართი №3

საკმეთა კატეგორია	თბილ ისი	მცხე თ	კახე თი	ქვემ ო	სამც ხე	იმერ ეთი	სამეგრ ელო	აჭარა	პოლი ცია	ჯამე რი
უზრუნველყოფი ლი იპოთეკით	581	151	162	107	28	95	122	151	0	1397
უზრუნველყოფი ლი გირავნობით	294	16	7	22	5	33	10	34	0	421
არა უზრუნველყოფი ლი სამოქალაქო საქმე	24590	8825	5768	7701	2464	14276	11806	11882	0	87312
ნიეთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა	795	136	113	203	43	173	149	216	1903	3731
შრომითი ურთიერთობიდან წარმოებული ვალდებულება	487	11	4	17	6	35	17	50	0	627
ალიმენტი	2794	1088	662	1026	368	1234	643	1030	0	8845
სახელმწიფო ბაჟი	4299	749	526	869	313	1352	548	1477	0	10133
ადმინისტრაციუ ლი ჯარიმა	88134	22524	17850	25057	4409	31742	28604	31633	72	250025
სისხლის სამართლის საქმე	6816	1435	632	1805	361	2424	3371	2996	0	19840
სარჩელის უზრუნველყოფი ს დონისძიება	260	32	13	47	6	52	84	140	0	634
სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღსასრულებელი	213	27	0	9	3	3	3	0	0	258
საგადასახადო იპოთეკა/გირავნო ბით დატვირთული ქონების რეალიზაცია	867	308	96	177	115	191	273	657	0	2684
სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელი	703	989	2388	147	1664	1361	192	1076	0	8520
ყველა სხვა კატეგორია	1563	127	374	108	109	96	166	425	2891	5859
სულ	132396	36418	28595	37295	9894	53067	45988	51767	4866	400286

დანართი №4



დანართი №5

კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში 2022 წლის ბოლოს დარჩა 30 658 ერთეული სააღსრულებო წარმოება

კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში 2022 წლის ბოლოს დარჩენილი საქმეები კატეგორიებად შემდეგი სახისაა:


უზრუნველყოფილი იპოთეკით	1953
უზრუნველყოფილი გირავნობით	995
არა უზრუნველყოფილი საქალაქო საქმე	18543
ალიმენტი	1
ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა (გამოსახლება)	8
სამსახურში აღდგენა	4
სარჩელის უზრუნველყოფა	130
სხვა კატეგორია	9024

დანართი №6

2022 წლის შედეგების შედარება	საქმეთა კატეგორია	კერძო აღმასრულებლები	აღსრულების ეროვნული ბიურო (აებ-ი)
შემოვიდა	უზრუნველყოფილი იპოთეკით	489	514
	უზრუნველყოფილი მოძრავი ქონებით	226	178
	არაუზრუნველყოფილი	10135	25114
	სარჩელის უზრუნველყოფა	551	1484
	სხვა კატეგორია	5586	1248
აღსრულდა	უზრუნველყოფილი იპოთეკით	480	274
	უზრუნველყოფილი მოძრავი ქონებით	66	87
	არაუზრუნველყოფილი	3589	10163
	სარჩელის უზრუნველყოფა	535	1318
	სხვა კატეგორია	3300	252
დასრულდა	უზრუნველყოფილი იპოთეკით	572	500
	უზრუნველყოფილი მოძრავი ქონებით	109	157
	არაუზრუნველყოფილი	3880	14085
	სარჩელის უზრუნველყოფა	550	7619
	სხვა კატეგორია	4279	430


2022 წლის მანძილზე უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეების
მაჩვენებლების შედარება

■ (კერძო აღმ.) უზრუნველყოფილი იპოთეკით ■ (აგბ) უზრუნველყოფილი იპოთეკით




2022 წლის მანძილზე შემოსულ და აღსრულებულ „სხვა კატეგორიის“ საქმეთა შედარება

■ კერძო აღმასრულებლები ■ აღსრულების ეროვნული ბიურო



2022 წლის მანძილზე უზრუნველყოფილი კატეგორიის საქმეების
მაჩვენებლების შედარება

■ (კერძო აღმ.) უზრუნველყოფილი იპოთეკით ■ (აებ) უზრუნველყოფილი იპოთეკით



ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

აბულაძე ი. სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მომზადდა გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი) თბილისი 1991.

გაბაშვილი ვ. სპარსული დასტურლამალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1949.

გაბაშვილი ვ. დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით. ენიმკის მოამბე, 1943.

გეგენავა დ. წინათქმა, კრებულში: ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.

გოცირიძე ე. გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თსუ. თბილისი 2007.

გოგელაშვილი ნ. აღსრულების უფლება. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი. №36, თბილისი 2018.

გოგელაშვილი ნ. საქართველოს სააღსრულებო სისტემის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4 (76), თბილისი 2022.

გოგელაშვილი ნ. სააღსრულებო სისტემა საქართველოში და დღევანდელი გამოწვევები. საერთაშორისო ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში. კსუ თბილისი 2023.

დოლიძე ი. საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960.

დოლიძე ი. ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი 1963.

დოლიძე ი. ძველი ქართული სამართალი, თბილისი 1953.

ზაუერი ვ. სამართლიანობა, ჟურნალი იუსტიცია, თბილისი 2022.

ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში. თბილისი 2005.

თაყაიშვილის ე. (რედ.) ხელმწიფის კარის გარიგება. თბილისი 1920.

იმნაიშვილი ი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი ა. სანიძის რედაქციით. თბილისი 1949.

იზორია ლ. კორკელია კ. კუბლაშვილი კ. ხუბუა გ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი 2005.

კეკელია მ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, თბილისი, 1993.

კეკელია მ. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსთთან შეერთების წინ. თბილისი 1970.

კორკელია კ. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო. სტატიათა კრებული. თბილისი 2011.

ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. (მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა) თბილისი, 2007.

ლობჯანიძე გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია თბილისი 2017.

მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია თბილისი, 2009.

მეტრეველი ვ. რომის სამართალი, თბილისი 2009.

ნადარეიშვილი გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი 2005.

ჟორდანიას გ. გაზეთი ზაკავკაზიე №257. თბილისი 1911.

რედბრაუხი გ. კანონიერი უმართლობა და ზეკანონიკური სამართალი, სამართლის ჟურნალი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2012.

რაიდბრაუხი გ. სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი. თბილისი 2012.

სურგულაძე ი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის თბილისი 1952.

სურგულაძე ი. ქართული სამართლის ძეგლები. 1. ხელმწიფის კარის გარიგება. 2. დასტურლამალი. თბილისი 1970.

სურგულაძე ი. ქართული სამართლის ისტორიული წყაროები. თბილისი 2002.

სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტომი I. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1938.

უიტდეჰააგი ა (იოს). აღსრულების საკითხების მიმოხილვა ევროპაში. თბილისი 2017.

უიტდეჰააგი ა (იოს). საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა თბილისი 2013.

ქურდაძე შ. ქურდაძე გ. ხუნაშვილი გ. ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი 2018.

შუშკე ვ. სააღსრულებო სამართალი. თბილისი 2011.

ჩიტაშვილი ნ. მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდული ფაკულტეტი, გამოცემა 1, 2016.

ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი სახელმძღვანელო თბილისი 2011.

ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოების სუბიექტები. მართლმსაჯულება და კანონი N1 (32), თბილისი 2012.

ჭყონია ზ. რამდენიმე რეკომენდაცია მართლმსაჯულების არსრულების ეფექტიანობისთვის. სამართალი და მსოფლიო. თბილისი 2015.

ჭაბაშვილი ა. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. თბილისი 1999.

ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბილისი 2004.

ჯავახიშვილი ივ. თხზულებები 12 ტომად 1979 წ. თბილისი 1979.

სამოქალაქო საქმეთა აღსრულება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში. თბილისი 2015.

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2014.

უცხოურ ენაზე:

Kultgen J. Ethics and Professionalism. Philadelphia. University Press of Pennsylvania. 1988.

Kennet w. Enforcement of Judgments in Europe. Oxsford university press 2000.

Perez-Ragone I. Constitution, Fundamental Rights and Law of Enforcement 2014.

Underwood J. Exemptions as a Principle of Social Justice, Vol 22. The University of Chicago Press. 1916.

COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (90) 7 Regarding the adoption of the revised statute of the Council of Europe 32st meeting 1990.

COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS . Recommendation (2003) 17 of the Committee of Ministers to member states on Enforcement. (Adopted by the Committee of ministers on 9 September 2003 at the 851st meeting of the Ministers' Deputies) 2003.

EUROPEAN COMMISSION ON THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) Guidelines for a Better 2009.

REPORT Doc. 6788 on the adoption of a revised Statute of the Council of Europe (Rapporteur: Lord FINSBERG, United Kingdom, Conservative) 1993.

The Guardian magazine Most of the 2m people in England and wales contacted by bailiffs reports intimidating behavior 2023.

Civil enforcement in the EU: a comparative overview Comparative Report Project Deliverable D.8 February 2021.

კანონმდებლობა

ქართულ ენაზე:

საქართველოს კონსტიტუცია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს შრომის კოდექსი

საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ

საქართველოს კანონი (პროექტი) აღსრულების კოდექსი

საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ

კანონი სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ. 1939.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1963.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის მხარეთა ინტერესების დაცვისა და მედიაციის დეპარტამენტის დებულება.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2000 წლის 5 დეკემბერი კანონი №636.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №220 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №923 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №242 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომსახურებისთვის სპეციალური წოდების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №221 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №21 იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 144 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მართველისა და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება № 88 კერძო აღმასრულებლების მიერ სააღსრულებო საქმისწარმოების განხორციელების პირობებისა და ფორმის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №140 კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №116 კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მოწყობის წესის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №118 კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №92 აღმასრულებლის საკვალიფიკაციო-საგამოცდო პროგრამის, მისი ჩატარების, საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის შექმნის და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე.

უცხოურ ენაზე:

Global Code of Enforcement 2015.

LAW ON PRIVATE ENFORCEMENT AGENTS. Bulgarian

REPUBLIC OF LITHUANIA LAW ON JUDICIAL OFFICERS

სასამართლო გადაწყვეტილებები:

ქართულ ენაზე:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს მოქალაქე ზაალ გველესიანი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ. 24 ივლისი 2014. № 2/5/584

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 30 სექტემბერი 2016. № 1/2/596

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. „მკს სტერეო +“, ლუკა სვეერიანი , ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალევი საქართველოს პარლამენტის და იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ. 17 დეკემბერი 2019. № 2/6/1311

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს მოქალაქე რემზი შანიძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ. 18 სექტემბერი 2019. № N1447

ქუთაისის სააკლაციო სასამართლო. 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება N010310020003449798.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს-325-316(კ-08)

საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2007 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება №ბს-49-47(კს-07).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება Nბს-881(კ-19)

უცხოურ ენაზე:

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 19 March 1997 Strasbourg HORNSBY v. GREECE №18357/91.

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 10 February 2009 Strasbourg. Case Kharitonashvili v. Georgia №41057/04

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 7 May 2002 Strasbourg. Case Burdov v. Russia №59498/00

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, 12 June 2012 Strasbourg. Case Dadiani and Machabeli v. Georgia № 8252/08)

ინტერნეტ რესურსი:

აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ. გვერდი <https://www.nbe.gov.ge/>

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ. გვერდი <https://parliament.ge>

შვედეთის აღსრულების ბიუროს (კრონოფოგდენის) ოფიციალური ვებ. გვერდი <https://kronofogden.se/>

UIHJ - აღმასრულებელთა (სასამართლო) მოხელეთა საერთაშორისო ასოციაციის ოფიციალური ვებ. გვერდი <https://www.uihj.com/>

მსოფლია ბანკის ოფიციალური ვებ. გვერდი <https://subnational.doingbusiness.org>

ევროპული მართლმსაჯულება ოფიციალური ვებ. გვერდი <https://e-justice.europa.eu/>

ლიეტუვას აღმასრულებელთა პალატის ოფიციალური ვებ. გვერდი
<https://www.antstoliurumai.lt/>

ბულგარეთის კერძო აღმასრულებელთა პალატის ოფიციალური ვებ.
გვერდი <https://www.bcpea.org/>

საფრანგეთის სამართლისა და პროცედურების ეროვნული სკოლა
ოფიციალური ვებ. გვერდი <https://www.enadep.com/>

ევროსაბჭოს კომიტეტის მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე
ოფიციალური ვებ. გვერდი <https://www.coe.int/en/web/cepej>

ევროსაბჭოს ოფიციალური ვებ. გვერდი
<https://www.coe.int/en/web/portal/home>

ენციკლოპედია ბრიტანიკა Encyclopedia Britannica | Britannica